# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 22 აგვისტო 1998 №148 (683) ფასი 50 თეთრი


საქართველოს ჩემპიონატი

3 ტური

21 აგვისტო, პარასკევი

| | |
|---|---|
| მერანი | 0 |
| არსენალი | 0 |

22 აგვისტო, შაბათი

ბათუმი — ლოკომოტივი

სიონი — სამგურალი

კოლხეთი — გურია

23 აგვისტო, კვირა

თსუ — დილა

24 აგვისტო, ორშაბათი

ვიტ ჯორჯია — იბერია

ოდიში — ტორპედო



გუშინ სინათლეზე: მერანი — არსენალი.
არსენალელი ტარიელაშვილი ბევრს ეცადა, მაგრამ გოლი ვერ შეაგდო

# ოქრო ჯერაც ბევრია

მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატზე მეოთხე დღეც მიილია და თუ აქამდე ოქროს მედლებს მეტ-ნაკლები გაქანებით მრავალი ქვეყნის წარმომადგენლები იგებდნენ, პირველობის დასრულებამდე ორი დღით ადრე აშკარად გამოიკვეთნენ ის გუნდები, რომლებიც უნგრეთში უპირობო ლიდერების როლში გვევლინებიან.

უკრაინა, გერმანია, რუსეთი და ბრიტანეთი სწორედ ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნებიან და გუშინდელი ბრძოლები ძირითადად სწორედ ამ ოთხეულის წარმომადგენლებს შორის გაიმართა.

პარასკევს ბუდაპეშტის სტადიონზე მედლები ცხრა სახეობაში გათამაშდა. თითოეული ასპარეზობა იმდენად საინტერესო იყო, რომ შეუძლებელია, რომელიმე მათგანი გამოარჩიო.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი



REUTERS

დაგ უოლკერი: სპრინტს ზოგჯერ თეთრებიც იგებენ

# «მაქვს პატივი მოგახსენოთ»

გუშინ ერთდროულად რამდენიმე გაზეთმა გამოაქვეყნა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის განცხადება 10 აგვისტოს ბელგრადის აეროპორტში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით. შეგახსენებთ: ბათუმის საფეხბურთო დელეგაციის ხელმძღვანელებმა უხეშად ხელჰყვეს „სარბიელის" საგანგებო კორესპონდენტის მოქალაქეობრივი და პროფესიული უფლებები.

კომენტარისთვის მივმართეთ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტს, სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის კოორდინატორს კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებში, ბატონ ელგუჯა ბერიშვილს

— უწინარესად, მინდა მადლობა ვუთხრა იმ რედაქტორებსა და სააგენტოებს, რომლებმაც ოპერატიულად გაავრცელეს ჩვენი განცხადება. ეს ის შემთხვევაა, როცა მოქალაქეობრივი და პროფესიული ინტერესები ყველა სხვა ინტერესზე განსაკუთრებულად მაღლა უნდა დავაყენოთ. ასეც მოხდა — ბელგრადის ინციდენტმა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია და არა მარტო ჩვენს კოლეგებს შორის. ჟურნალისტთა მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, უდიერი დამოკიდებულების არაერთი ფაქტის გახსენება შეიძლება, მაგრამ ეს კონკრეტული შემთხვევა ყველა ზღვარს სცილდება, რადგან დარღვეულია ყველა პრინციპი: ადამიანური, მორალური, ზნეობრივი, სამართლებრივი, მოქალაქეობრივი და თუ გნებავთ თანამდებობრივი. დელეგაციის ხელმძღვანელობის მიერვე პროვოცირებული სიტყვიერი კამათის შემდეგ, პირადი წყენის მოტივით, თავს უფლებას აძლევენ უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე, ზედ სასაზღვრო ხაზთან, საფეხბურთო მატჩზე მივლინებულ ჟურნალისტს პასპორტი უკან მიუგდონ და დემონსტრაციულად განაცხადონ — ეს კაცი სიიდან ამოშალეთ, ამას ჩვენთან საერთო არაფერი აქვსო.

არანაკლებ საწყენი და დამაფიქრებელია, რომ ამხელა დელეგაციაში (სადაც, სხვათა შორის, კიდევ რამდენიმე ჟურნალისტიც იყო) ვერავინ გაბედა კობა ინასარიძეს გამოსარჩლებოდა და თუ ეს კაცი მართლაც დამნაშავე და „ქვეყნის დამქცევი" იყო, ეს ამბავი იუგოსლაველ მესაზღვრეთა ცხვირწინ კი არა, უკან მობრუნებულებს აქ, საქართველოში გაერკვიათ. მაგრამ, საქართველოში, როგორც ჩანს, ბატონობა და ყმობა, ალაგ-ალაგ, ჯერ კიდევ ჰყავის. კობა ინასარიძემ სწორედ ეს ვერ გაითვალისწინა: ბატონთა მორალით, ადამიანს აზროვნება იმისთვის აქვს მინიჭებული, რომ დიდმა თქვას: „მე შენ გიბრძანებ და ხმა უნდა გაიკმინდოო", და პატარამ მიუგოს: „მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ენა მუცელში ჩამივარდა, ბრძანებისამებრ თქვენისა".

ჩვენ, ბატონთა მორალის საწინააღმდეგოდ ვმოქმედებთ. ბელგრადის ინციდენტზე და მის „გმირებზე" არა მარტო ქართულ საზოგადოებას, არამედ იმ ორგანიზაციებსაც ვაცნობებთ, რომლებიც ევროპული ფეხბურთის განვითარებისთვის იღწვიან და ამ საქმეში სპორტული ჟურნალისტების განსაკუთრებულ როლსაც აღიარებენ.

## გერმანია

II ტური

**ჰანზა 3:3 ვოლფსბურგი**
1:0 პამიჩი (25), 1:1 კოვაჩევიჩი (31პ), 1:2 ისკოვიაკი (33), 2:2 კოვაჩევიჩი (39ს.კ.), 3:2 პამიჩი (59), 3:3 ბრეიტენრეიტერი (87)

**ვერდერი 2:3 ნიურნბერგი**
0:1 კუკა (19), 1:1 რუმბიაკი (22პ), 2:1 ტოდტი (24), კუკა (41), ჩირიჩი (62)

## მეორე ბუნდესლიგა

V ტური

ულმი 3:1 უნტერჰახინგი
მაინცი 2:1 კიოლნი
ურდინგენი 0:1 კიკერსი

## რუსეთი

XXII ტური

როტორი 0:0 ჟემჩუჟინა

## ბელგია

ოსტენდე 2:1 სტანდარდი
სენტ ტრუიდენი 0:2 მუსკრონი

## ჰოლანდია

I ტური

**სიტარდი 1:2 ფეიენოორდი**
0:1 კორნეევი (50), 1:1 ჰამინგი (64), 1:2 ვოსი (90)

## პორტუგალია

I ტური

**ბენფიკა 2:0 ამადორა**
1:0 პობორსკი (15), 2:0 ხალეი (72)

**ბრაგა 2:1 ბეირა მარი**
1:0 კაროგლანი (14პ), 2:0 ე. სილვა (32), 2:1 ჟ. სილვა (61)

## შვეიცარია

VII ტური

გრასჰოპერი 3:0 სერვეტი
ლოზანა 1:1 ციურიხი

## ინგლისი

II ტური

პირველი დივიზიონი

ბარნსლი 1:1 სტოკპორტი

# გოგლიძემ ათიანში მოარტყა

### იოზეფ ბლატერი სფფ-ს პრეზიდენტობის კანდიდატს გამარჯვებას უსურვებს



იოზეფ ბლატერი



LE PRÉSIDENT

FIFA

Mr. Ramaz Goglidze
State Department of Sports of Georgia
49 Chavchavadze Ave.
Tbilisi 380062
GEORGIA

Zurich, 3 August 1998
JSB/mw

Dear Mr. Goglidze,

Thank you for your letters, faxed on 3 June and 22 July 1998, the first of which I must apologise for not having replied to sooner, but as you can imagine, there was extreme pressure of work for our Congress, elections and the World Cup.

First and foremost, I wish to thank you for the belief you so kindly expressed in me prior to the presidential election. This faith in my ability and the knowledge of support stood me in good stead and was a great comfort to me.

Now it is my turn to wish you every success in the presidential elections in Georgia in October. With your vast experience of sport in Georgia and profound knowledge of the workings of football, you are obviously the perfect choice for the post.

I know just how very popular our sport is in your country and I shall attempt to do justice to this and to ensure that the amicable relations between FIFA and the national association in Georgia continue to flourish in every way.

Once again, I wish you the very best of luck and reiterate my thanks for your gracious support.

Yours sincerely,

Joseph S. Blatter

იხილეთ მეორე გვერდი



რამაზ გოგლიძე

## საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი, მწვრთნელი, სიმბოლური ნაკრები სარბიელის მკითხველთა აზრით

იხილეთ მეცხრე გვერდი

# გოგლიძემ ათიანში მოარტყა

## იოზეფ ბლატერი სფფ-ს პრეზიდენტობის კანდიდატს გამარჯვებას უსურვებს

1998 წლის 3 ივნისს, ფიფას პრეზიდენტის არჩევნებამდე ხუთი დღით ადრე, სფფ-ს თავკაცობის ერთ-ერთმა კანდიდატმა, რამაზ გოგლიძემ წერილი მისწერა იოზეფ ბლატერს და გამარჯვება უსურვა. დაგვეთანხმებით, იმ დროისთვის ამგვარი ნაბიჯის გადადგმა ერთგვარად სარისკო იყო პიროვნებისთვის, რომელიც მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროში დივიდენდების მოგროვებას ცდილობდა, რადგან ფიფას პრეზიდენტის პოსტზე ალზევებისთვის ლენარტ იუჰანსონსა და იოზეფ ბლატერს თითქმის თანაბარი შანსები ჰქონდათ. უფრო მეტიც, ევროპისა (ინგლისის, საფრანგეთის, დანიისა და შვეიცარიის გარდა) და აფრიკის სახელმწიფოთა ფეხბურთის ფედერაციების წარმომადგენლები არჩევნებში იუჰანსონს ჰპირდებოდნენ მხარდაჭერას. ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი, ალექსანდრე ჩივაძეც არ მალავდა უეფას პრეზიდენტისადმი სიმპათიებს. სწორედ ასეთ ვითარებაში რამაზ გოგლიძემ აქცენტი ბლატერზე გააკეთა და... როგორც იტყვიან, ათიანშიც მოარტყა.

22 ივლისს კი სფფ-ს პრეზიდენტობის კანდიდატმა მილოცვის წერილი მისწერა აწ უკვე მსოფლიო ფეხბურთის მესაჭეს და აღფრთოვანება გამოთქვა იმის გამო, რომ XXI საუკუნეში ფიფა ღირსეული წინამძღოლით შეაბიჯებს.

თავის მხრივ, ბლატერიც არ დარჩა ვალში მეგობარს და მადლობასთან ერთად სფფ-ს 23 ოქტომბრის ყრილობაზე გამარჯვების სურვილით ნაკარნახევი წერილი მოსწერა.

მაშ ასე, ჩივაძე-ჟორდანია-კვინიკაძესა და დათუნაშვილი-მოქალაქეთა კავშირის დაჯგუფებას მეტად სერიოზული ძალა — გოგლიძე-ბლატერის ალიანსი დაუპირისპირდა.

**ბატონ რამაზ გოგლიძეს**

*საქართველოს სპორტის*
*სახელმწიფო დეპარტამენტი*

*ციურიხი, 3 აგვისტო, 1998 წელი*

ძვირფასო ბატონო გოგლიძე

გმადლობთ თქვენი წერილებისთვის, რომლებიც ფაქსით მივიღე 1998 წლის 3 ივნისს და 22 ივლისს. უპირველეს ყოვლისა, ბოდიში უნდა მოგიხადოთ, რომ უფრო ადრე ვერ გიპასუხეთ, მაგრამ იმედია, გამიგებთ, რადგან ჩვენი კონგრესის, საპრეზიდენტო არჩევნებისა და მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისში ერთობ მოუცლელი ვიყავი.

უპირველეს ყოვლისა, მსურს, მადლობა გადაგიხადოთ რწმენისთვის, რომელიც ასე კეთილად და ზუსტად გამოხატეთ საპრეზიდენტო არჩევნების დროს ჩემს სასარგებლოდ. თქვენ გწამდათ ჩემი შესაძლებლობების. ეს მხარდაჭერა მაძლევდა საჭირო სიმტკიცეს და მიქმნიდა უდიდეს კომფორტს.

ახლა ჩემი ჯერია, გისურვოთ წარმატება საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელიც საქართველოში ოქტომბერში გაიმართება.

თქვენი უზარმაზარი სპორტული გამოცდილებით, ღრმა, საფუძვლიანი ცოდნით და ფეხბურთში საქმიანობით თქვენ ამ პოსტისთვის აშკარად სრულყოფილი კანდიდატი ბრძანდებით.

მე კარგად ვიცი, თუ რა დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენი სპორტის სახე თქვენს ქვეყანაში და უნდა ვეცადო, დავიცვა სამართლიანობა, თვალყური ვადევნო, რათა კვლავ გაგრძელდეს მეგობრული ურთიერთობა ფიფასა და საქართველოს ეროვნულ ასოციაციას შორის, ყოველმხრივ აყვავდეს და განვითარდეს ეს თანამშრომლობა.

კიდევ ერთხელ გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, წარმატებებს და მრავალჯერ ვიმეორებ ჩემს მადლობას თქვენი კეთილშობილური, გულითადი თანადგომისთვის.

*ჭეშმარიტად თქვენი იოზეფ ბლატერი, პრეზიდენტი*

# ოდიშთან ვერავინ გაისეირნებს

**ქართველი გულშემატკივრის წინაშე სოსო ჭედიას დიდი წარდგენა არ სჭირდება. და აი, საფეხბურთო კარიერის დამთავრების შემდეგ მან სამწვრთნელო საქმიანობას მიჰყო ხელი და მშობლიური ქალაქის მშობლიურ გუნდს ჩაუდგა სათავეში**

**— „ოდიშში“ თქვენი მოსვლა გუნდის კრიზისს დაემთხვა. როგორ შეაფასებთ არსებულ მდგომარეობას?**

— შარშანდელი სეზონის შემდეგ გუნდიდან თითქმის ყველა ფეხბურთელი წავიდა. ახალ ჩემპიონატს „ოდიში“ ახალგაზრდა, გამოუცდელი კადრებით შეხვდა. მე ვნახე ზუგდიდელთა ამ სეზონის ორივე მატჩი. შარშან მესამე ჯგუფში მონაწილე ფეხბურთელებით მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო.

**— როგორი კონტრაქტით დაუკავშირდით „ოდიშს“?**

— ჯერჯერობით არავითარ კონტრაქტზე ხელი არ მომიწერია. კლუბის პრეზიდენტთან, ვახტანგ ნანავასთან მხოლოდ სატელეფონო საუბარი მქონდა. უახლოეს დღეებში, მისი ჩამოსვლის შემდეგ, ფორმალური მხარე მოგვარდება.

**— რა მიზანი დაგისახათ გუნდის ხელმძღვანელობამ?**

— სატურნირო მდგომარეობას თუ შევხედავთ, მიზანი ნათელი გახდება. პირველ რიგში ცხრილის ფსკერიდან უნდა ამოვიდეთ. და ეს რაც უფრო ჩქარა იქნება, მით უკეთესი. ამის მერე ვიფიქრებთ მომავალ გეგმებზე. ჩემპიონატის სტარტი კი უცნაური გამოდგა. ის გუნდები, რომლებიც წინა სეზონში ლიდერებს განეკუთვნებოდნენ, მათთვის უჩვეულო პოზიციებზე იმყოფებიან და არ არის გამორიცხული, 2-3 ტურში სატურნირო მდგომარეობა ძირეულად შეიცვალოს.

**— მიუხედავად იმისა, რომ სეზონი უკვე დაიწყო, მოსალოდნელია თუ არა ცვლილებები გუნდში?**

— ბოლო დღეების განმავლობაში ცვლილებები მართლაც საკმაოა. „იბერიასთან“ მატჩის შემდეგ გუნდს დაუბრუნდა ენდელაძე და ტყემალაძე. დღეს კი ირაკლი ბარქაია, ლევან ანჯაფარიძე და თოლორდავა შემოგვიერთდნენ. ანჯაფარიძეს მცირე ტრავმა აწუხებდა და უკვე მომჯობინდა. თოლორდავას კი სატრანსფერო საბუთები აქვს წესრიგში მოსაყვანი და თუ მოესწრო, იქნებ მომდევნო ტურშიც ითამაშოს.

ადგილობრივი ახალგაზრდობისგან შევსების მიღება შესაძლებელია. რა თქმა უნდა, არც ჩამოყვანილ ფეხბურთელებზე ვიტყვით უარს, მაგრამ თუ ბავშვთა საფეხბურთო სკოლებზე არ გავამახვილეთ ყურადღება, წინ ვერ წავალთ.

**— გუნდი რომ მოამზადოთ, სათანადო პირობებიც საჭიროა. ამას კი დიდი ფული სჭირდება...**

— საქართველოში ყველა გუნდს უჭირს და, რა თქმა უნდა, დალხენილები არც ჩვენ ვართ. კლუბის პრეზიდენტი ყველა ღონეს ხმარობს გუნდში ნორმალური ვითარების შესაქმნელად, მაგრამ მარტო კაცი აბა რას გახდება. ჩვენ ქალაქის ხელმძღვანელობის დიდი იმედი გვაქვს. კერძოდ, ზუგდიდის მერი, ბატონი ლერი ჭითანავა ყველანაირ შესაძლებელ დახმარებას შეგვპირდა და იმედია, შეასრულებს კიდეც, რისთვისაც მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

**— მესამე ტურის მატჩი შინ უნდა გამართოთ, „ტორპედოსთან“, რომელიც საკმაოდ გაძლიერდა და დიდ მიზნებს ისახავს...**

— ქუთაისელებმა მართლაც ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება შეძლეს. მათთან მოგებას, მით უმეტეს, 4-5 დღეში გაკეთებული ახალი გუნდით, ვერავის შევპირდები, მაგრამ უბრძოლველად რომ არაფერს დავთმობთ, ესეც ფაქტია.

**— როგორ შეაფასებთ ქართული ფეხბურთის დღევანდელ მდგომარეობას?**

— ქართულ ფეხბურთში რომ კრიზისია, ამაზე არავინ დავობს. უკვე მეათე ჩემპიონატი ტარდება და სულ უკუსვლით მივდივართ. ჩვენი ჩემპიონატის დონეზე კლუბების ევროტურნირებზე გამოსვლა მეტყველებს. ვფიქრობ, „კოლხეთისა“ და „ბათუმის“ მარცხი ამის დამადასტურებელი იყო. ორ მატჩში 0:11 უკვე კატასტროფაა.

ცალკე საუბრის თემაა ეროვნული ნაკრები. უკრაინასთან დიდი ანგარიშით წაგებამ ყველას გული გვატკინა, მაგრამ ჯერ ყველაფერი წინაა. ახლა ბევრს ლაპარაკობენ ნორვეგიისა და საბერძნეთის ნაკრებების სიძლიერეზე, მაგრამ ავიწყდებათ წინა ორი კენჭისყრის შედეგები. ჩვენ აგვცდა ისეთი გუნდები, როგორიცაა გერმანია, იტალია, ინგლისი, საფრანგეთი... ამაზე უკეთესი შანსი შეიძლება არასოდეს მოგვეცეს. თუ ახლაც ვერ დავძლიეთ ეს ბარიერი, ჩათვალეთ, რომ ქართული ფეხბურთი კარგა ხნით ჩაკვდება.

**— საფეხბურთო ფედერაციის ყრილობა ოქტომბრისთვის გადაიდო. თქვენ როგორ ფედერაციას დაუჭერთ მხარს?**

— ახლა ქართულ ფეხბურთს მკურნალობა სჭირდება. ასე საქმის გაძღოლა არ შეიძლება, თუ დროულად არ მოხდა ფედერაციაში დიდი, ყოვლისმომცველი რეფორმის ჩატარება, მერე გვიან იქნება. ფედერაციაში ისეთი ხალხი უნდა მოვიდეს, რომლებიც შეძლებენ ფეხბურთის კრიზისიდან გამოყვანას. ეს კონკრეტულად ვინ იქნება, ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, ფეხბურთს შემთხვევითი ხალხი ჩამოშორდეს.

**— და ისევ „ოდიში“... რას ეტყვით ზუგდიდელ გულშემატკივარს?**

— ზუგდიდი ჩემი ქალაქია და ვიცი, როგორ უყვართ ფეხბურთი. მე მათ ციდან ვარსკვლავების მოწვეტას არ შევპირდები. მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია: ჩვენს წინააღმდეგ მოთამაშე ნებისმიერ გუნდს არ მივცემთ გასეირნების საშუალებას არც შინ და არც სტუმრად, ზუგდიდელებიც, ალბათ, რეალისტები იქნებიან.

**თენგიზ ძოჩუა**

მოგეხსენებათ, წლევანდელი სეზონისთვის გაძლიერებულ თბილისის „ლოკომოტივში“ მოსკოვის „ტორპედოდან“ წამოსული გიორგი ღუდუშაური და ლაშა მონასელიძე იმყოფებიან. ახლა კი გაირკვა, რომ მონასელიძე „დინამოში“ ვარჯიშობს და რკინიგზელებს უარი შეუთვალა. ისიც ცნო-

# ღუდუშაურს ნება დართეს

ბილია, რომ რკინიგზელები „ტორპედოს“ ხელმძღვანელებთან ღუდუშაურის ტრანსფერთან დაკავშირებულ პრობლემას წააწყდნენ და ამიტომაც იყო, პირველ ორ ტურში მათ რიგებში ხრუბეშა რომ ვერ ვიხილეთ. ახლახან შევიტყვეთ — „ტორპედომ“ როგორც იქნა, გამოგზავნა სატრანსფერო ფურცელი და ღუდუშაურსაც თამაშის ნება დაერთო, თუმცა გიორგი დღეს ბათუმში გუნდს ალბათ ვერ დაეხმარება, რადგან ხელის ტკივილმა შეაწუხა და მკურნალობს. მან ისიც გვაცნობა, რომ კლუბის ხელმძღვანელებთან შეთანხმების საფუძველზე, თუ მისი მსურველი უცხოური გუნდი გამოჩნდა, მყისვე დატოვებს „ლოკომოტივს“.

# ქართული ტანდემი აშდოდში

## დევაძეს ინალიშვილი შეუამხანაგდება

სამარის „კრილია სოვეტოვისა“ და ფოთის „კოლხეთის“ ყოფილი მოთამაშე გელა ინალიშვილი საბურთაოდ ისრაელს გაეშურა. ადრეც გაუწყეთ, რომ მას „კოლხეთიდან“ წამოსვლის შემდეგ უცხოეთში თამაში ერჩივნა სამარაში დაბრუნებას და გელამაც ისრაელის ვარიანტი ამჯობინა. აღთქმულ მიწაზე ინალიშვილი მარტო არ იქნება, აშდოდის „ირონში“ მას იქ მობურთალი კიდევ ერთი ჩვენებური, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მეკარე კაკო დევაძე დახვდება და ორივე აშდოდში ქართულ ტანდემს შექმნიან. ებრაელებმა ინალიშვილს ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს და არც გელაა უარზე, თუ, რა თქმა უნდა, პირობები დააკმაყოფილებს.

**გიორგი ვაშაძიძე**

თბილისი
21 აგვისტო
17 საათი
სინათდე
1500 (ტევადობა 2000)

## მერანი 0:0 არსენალი

**მერანი:** ნაჭყებია, ივანიშვილი (ჯიშკარიანი 46), ე. ალადაშვილი (დავითაძე 34), ასპინძელაშვილი, დანელია, გეწაძე, გ. კვეტენაძე, ცქიფურიშვილი, ბაჯელიძე (დავითაშვილი 40), ხუციშვილი, მესხი

*სათადარიგონი:* ლომაია, დევიძე, ჭინჭარაული, ხარებავა

**არსენალი:** ჩლაიძე, ფირცხალავა (ყუფარაძე 55), ცერცვაძე, ვ. გველესიანი, თევზაძე, მ. მაისურაძე, ლაცაბიძე, გ. ლომიძე, კორღალიძე (ლ. ყოლბაია 70), კაკაშვილი (სულაძე 44), ტარიელაშვილი

*სათადარიგონი:* აბაშიძე, კაპანაძე, ამირიძე, ქიქავა

**გაფრთხილება:** ფირცხალავა (20), ჩლაიძე (36), გეწაძე (56), თევზაძე (62), ცქიფურიშვილი (73)

**მსაჯები:** გ. ასკაროღლი (ქარელი), ა. მეშკოვი, ზ. მენთეშაშვილი (თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი)

**სფფ-ს დელეგატი:** რ. ჩალიჩავა

**ვანო ოძროპირიძე**

# აჩრდილად ქცეული მერანი

ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტური ტრანსპორტელებისა და მეთოფეების თბილისური დერბით გაიხსნა. უინტერესო და დუნე შეხვედრა ლოგიკურადვე დასრულდა — 0:0.

ამ მატჩს ორივე გუნდი თითო-თითო ქულით შეხვდა. ამიტომ გულშემატკივარი უშელავათო ბრძოლას ელოდა, მაგრამ...

თამაში საინტერესოდ დაიწყო, ოღონდ ასე დიდხანს არ გაგრძელდა. სტუმრებს პირველივე წუთზე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, როდესაც ფირცხალავამ ტარიელაშვილი მეკარეს შეატოვა. მასპინძლები ხარიხამ გადაარჩინა. ცოტა ხანში ტარიელაშვილმა იმავე ფირცხალავას პასით კარს ახლოდან ააცილა.

ამის შემდეგ თამაში დაწყნარდა. გუნდები შეტევას კი ცდილობდნენ, მაგრამ არ გამოსდიოდათ. ეს განსაკუთრებით „მერანს“ ეხება, რომელმაც პირველი რეალური მომენტი 36-ე წუთზე შექმნა. მესხი ჩლაიძესთან პირისპირ გავიდა, თუმცა ბურთი დროზე ვერ დაიმორჩილა და მეკარემ დაასწრო. ტაიმის ბოლოს „სინათლეზე“ შეკრებილი გულშემატკივარი ბულგარეთიდან მობრუნებული დავითაშვილის გამოჩენამ გამოაცოცხლა. აბრეზამაც მოედანზე გამოსვლისთანავე მცველებს ჩამოურბინა, მაგრამ მესხმა გარჯა წყალში ჩაუყარა, ახლოდან კარში დარტყმა ვერ შეძლო.

მეორე ტაიმი პირველზე უარესი სანახავი გამოდგა. ორივე გუნდი უსისტემოდ უტევდა და, ბუნებრივია, ხიფათიც იშვიათად იქმნებოდა. „არსენალს“ მეორე ნახევარში ზუსტად სამჯერ მიეცა გოლის გატანის შესაძლებლობა და ყველა ერთფეროვანი შეტევის შედეგად. მაისურაძის მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებულებს ტარიელაშვილმა სამჯერვე უხეიროდ შეაგება თავი. 58-ე წუთზე სტუმრები აშკარა გოლს გადაურჩნენ. კვეტენაძის კუთხურიდან ჩაწოდებულს მესხმა დაჰკრა ძლიერად თავი, ბურთი კარის ზედა ძელმა უკუაგდო. ათიოდე წუთში კვლავ მესხმა დაარტყა ძლიერად შორიდან, „არსენალი“ ამჯერად ჩლაიძემ იხსნა, ბურთი გაჭირვებით კუთხურზე მოიგერია. მატჩის მიწურულს ტრანსპორტელები კი უტევდნენ, მაგრამ ქაოსურად. აშკარაა, „მერანი“ შარშანდელი გუნდის აჩრდილადღაა ქცეული, ყოველ შემთხვევაში, პირველ სამ ტურში ასეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა.

# დაიმატეს, რათა დაამატონ

ბილბაოს „ატლეტიკთან“ საბრძოლველად გამზადებულმა თბილისის „დინამომ“ ორი ახალი ფეხბურთელი შეიმატა. ერთი პოლონეთიდან შინ ჩამოსული ლევან მიქაძეა, ხოლო მეორე გასულ სეზონში „ლოკომოტივში“ მოთამაშე, მცველი ზურაბ არჩვაძე. ესენი „დინამოსთან“ ერთად კი ვარჯიშობენ, მაგრამ ძლიერ საეჭვოა, მიქაძე და არჩვაძე ბილბაოში ვიხილოთ, მათი უეფას განაცხადში შეყვანა ველარ მოესწრება, მაგრამ თუ ქართველმა ჩემპიონებმა ლიგაში თამაში გააგრძელეს, ხურცილავა ამათაც დაიმატებს, ისევე როგორც უეფას თასზე გადანაცვლებისას.

რაც შეეხება გოჩა ჯამარაულს, მისი „დინამოში“ გადმოყვანის საკითხი კვლავ დღის წესრიგშია და ჩვენებურები „ტრაბზონთან“ მოლაპარკებებს აგრძელებენ, მაგრამ იმედი მეტად მცირეა — „ატლეტიკთან“ მატჩამდე მისი დაბრუნების და საერთოდ „დინამოს“ განაცხადში შეყვანის მხოლოდ ხუთპროცენტიანი შანსი არსებობს.

აქვე ერთსაც გეტყვით — თბილისის „დინამო“ საქართველოს ავიახაზების ჩარტერული თვითმფრინავით ბილბაოს ორშაბათს ესტუმრება. ვინ იცის, ამ თვითმფრინავმა ეგებ უკვე სალიგოდ გამზადებული გუნდი ამგზავროს.

**კობა ინასარიძე**

# ვაცალოთ მსაჯებს სტვენა

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში სადისციპლინო კომისიის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგის ყველაზე აქტუალური საკითხი წყალტუბოში მომხდარი ინციდენტი გახლდათ.

როგორც იცით, 15 აგვისტოს, საქართველოს ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩში, „სამგურალი“ „გორდას“ მასპინძლობდა. ამ შეხვედრის პერიპეტიებზე უკვე ვიუწყებოდით. მატჩის მე-60 წუთზე მომხდარ ინციდენტს კი კვლავ შეგახსენებთ — შეხვედრის მთავარი არბიტრის, ოთარ გუნთაძის მოქმედებაზე უკმაყოფილება გამოთქვა მასპინძელთა გუნდის პრეზიდენტმა, გრიგოლ ქათამაძემ (ჩვენი აზრით, ბატონ გრიგოლს ამის საფუძველი ნამდვილად არ ჰქონდა. იმ დღეს გუნთაძის თვალშისაცემი შეცდომები ხშირ შემთხვევაში მასპინძელთა წისქვილზე ასხამდა წყალს). იქვე მჯდარმა სფფ-ს დელეგატმა, მალხაზ კობიაშვილმა ქათამაძეს მოთხოვა, თავი შეეკავებინა და ამით სტადიონზე მოსული მაყურებლებისთვის მღელვარების საბაბი არ მიეცა. ამ მოთხოვნამ „სამგურალის“ პრეზიდენტი ალაშფოთა და საქმე ხელჩართულ ბრძოლამდეც მივიდოდა, მალხაზ კობიაშვილს სტადიონის ლოჟა დროზე რომ არ დაეტოვებინა. იმავე შეხვედრაში ნერვებმა უმტყუნა სტუმართა გუნდის მთავარ მწვრთნელ იასონ ალადაშვილსაც — მას მსაჯის „გულთბილი მოკითხვა“ ყვითელი ბარათის მიღებად დაუჯდა. სწორედ ეს საკითხები განიხილებოდა გუშინდელ სადისციპლინო სხდომაზე.

იასონ ალადაშვილმა სასტიკი საყვედური მიიღო და ფულადი თანხითაც დაჯარიმდა (რატომღაც კომისიას თანხის რაოდენობა არ დაუფიქსირებია). რუსთაველთა თავკაცს უახლოეს ორ შეხვედრაში მაყურებელთა შორის მოუწევს გადანაცვლება. რაც შეეხება გრიგოლ ქათამაძეს, მას არაეთიკური საქციელისთვის სასტიკი საყვედური გამოუცხადდა, უკანასკნელი გაფრთხილებით. ამასთანავე, კომისიის წევრებმა თხოვნით მიმართეს წყალტუბოს მერს, მირზა ქორქაშვილს და კლუბის დირექტორატს, რომ დღის წესრიგში დააყენონ გრიგოლ ქათამაძის თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხი. სხდომაზე კომისიის წევრებმა — გოგი დემეტრაძემ და ნუგზარ მდივანმა მოითხოვეს, უშუალოდ საფეხბურთო კლუბის დასჯაც, მაგრამ დებულებიდან გამომდინარე, ეს საკითხი ღიად დარჩა. დემეტრაძემ და მდივანმა დებულების გადასინჯვის მიზნით აღმასკომის რიგგარეშე სხდომის ჩატარებაც მოითხოვეს, რათა გუნდების წარმომადგენლობის მხრიდან სერიოზული დარღვევების შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს კლუბების დასჯაც.

კომისიაზე ოთარ გუნთაძის მოქმედებაც შეფასდა. იმ შეხვედრაში სუსტი მსაჯობის გამო მან საქართველოს ჩემპიონატის მესამე ტურში სამუშაო დაკარგა, თუმცა ამ სასჯელს მაინც პირობითი ეთქმის, რადგან მსაჯს თავისი მოვალეობის შესრულება უფრო მაღალ დონეზე მოუწევს — 27 აგვისტოს იგი თასების მფლობელთა თასის საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებით შეხვედრას იმსაჯებს ბუდაპეშტში.

**ბაადა ძვანტალიანი**

გიო ახვლედიანის

სვეტი

## მორიგე ტექსტი

ჩვენს ფეხბურთში საქმე ისე წავიდა, რომ ჟურნალისტიკის ყოველი სიტყვა აღიქმება როგორც წინასწარგანზრახული ბოროტება და კვანტი ამა თუ იმ კლუბის მიმართ. გამორჩევით, თუ ეს კლუბი ევროსაგზურს მოიპოვებს და მერე თავის დაბალ კლასს საერთაშორისო ტელეარხებზე ამტკიცებს. ამ კლუბების შორიახლოს მდგომი ხალხი ბევრ უსიამოვნებას ახვედრებს ჟურნალისტებს და იწყება ერთი ამბავი. ფეხბურთელთა სრული უმრავლესობა ასეთ დროს ადამიანურად იქცევა, რასაც ვერ ვიტყვით ზოგ მწვრთნელსა და ადმინისტრაციაზე, რომლებიც სხვა ვერცერთ ქვეყანაში ვერ იქნებოდნენ მწვრთნელები და ადმინისტრატორები.

ასეთი გაუგებრობები რომ აღარ მოხდეს, ქართველ საფეხბურთო ჟურნალისტებს ვთავაზობთ მორიგე ტექსტის ნიმუშს, რომელიც უნდა გამოიყენონ ჩვენი გუნდების საერთაშორისო თამაშებისას. ეს ტექსტი მოეწონება იმ ხალხს, ვისაც არ ძალუძს წარმოადგინოს და შექმნას ნამდვილი ფეხბურთი. ამიტომ უსიამოვნებებიც აღარ მოხდება და ჟურნალისტებსაც აღარ გამოლანძღავენ.

აი, ტექსტი:

„გუშინ ჩვენი მშვენიერი, განუმეორებელი და ძლიერი გუნდი (აქ გუნდის სახელი) შეხვდა მავან (მოწინააღმდეგე გუნდის სახელი) საწყალ გუნდს მისივე სტადიონზე და დამარცხდა 0:7. ფეხბურთი ისეთი თამაშია, რომ მის შინაარსს ანგარიში ვერ აღწერს. ჩვენმა ბიჭებმა საოცრად ითამაშეს, ჰქონდათ ორი საგოლე მომენტი და საკუთარი კარის ხაზიდანაც ოცჯერ (!) გამოიტანეს ბურთი, რაც მოწინააღმდეგემ ვერცერთხელ მოახერხა.

ჩვენს ბიჭებს თვალი დაადგეს დიდი კლუბების სელექციონერებმა, რომლებმაც ერთხმად აღნიშნეს ქართველთა ნიჭი და საუცხოო ტექნიკა. განსაკუთრებით ფასეულია ისრაელის „ხაიფას“ სელექციონერის სიტყვები, მომეცით ეს გუნდი და სულ ჩემპიონი ვიქნებიო. ჩვენ გუნდს ხელი შეუშალა იმან, რომ წვიმდა და გრუნტი დარბილებული იყო. ბალახის კრეჭის დონეც არ იყო სასურველი და მაყურებელიც აქტიურად უჭერდა მხარს ჩვენს მოწინააღმდეგეს, რომელიც უხეშობდა, საზიზღარი მსაჯი კი ჩვენებს აჯარიმებდა. მსაჯმა ოცდახუთი წუთი დაუმატა ძირითად დროს და ჩვენმა მშვენიერმა, განუმეორებელმა გუნდმა სწორედ ამ დროში გაუშვა ბოლო გოლი.

მიუხედავად მარცხისა, ჩვენი გუნდი მზად არის საბრძოლველად განმეორებით შეხვედრაში, რომელსაც ნამდვილად მოიგებს. თუმცა, რომც არ მოიგოს, ჩვენ ისედაც კარგად ვიცით, რომ ჩვენი გუნდი იმათსას ჯობია და რომ არა წვიმა და ის რომ სამი დღის წინათ ჩვენს კაპიტანს დაბადების დღე ჰქონდა და ბიჭებმა მიულოცეს, იქაც გავიმარჯვებდით და აქაც. სამწუხაროდ, (თუ საბედნიეროდ) განმეორებითი თამაშის წინ ერთი კარგი კაცის შვილის ნათლობა უწევს და ჩვენი კაიკაცობის გამო იქაც უნდა დაესწროს ჩვენი მწვრთნელი. ასე რომ, თუ გუნდის მოსამზადებელი დრო დაურჩა, იმათ დავანგრევთ. და რომც არ დაურჩეს, ჩვენ ხომ მაინც ყოველთვის ვჯობივართ იმათ, რომლებმაც არც ნაღდი ძმაკაცობა იციან და არც კიდევ კაცური საქციელი ეხერხებათ. ამიტომ, გუშინდელ წაგებას ნუ ჩათვლით ნაღდ წაგებად, იმიტომ რომ ჩვენ მაინც ვჯობივართ იმათ. სულიერად ჩვენ გავიმარჯვეთ, ვინაიდან გრუნტი რბილი იყო.

ჩვენს ფეხბურთელებს კი ვუსურვოთ მომავალი წარმატებები, ჭკვიან მწვრთნელებს კი კიდევ უფრო დაჭკვიანება“.

მე ვფიქრობ, რომ ასეთი მორიგე ტექსტი ყველას მოაწყობს და ჩხუბიც გულანთებულ გუნდისმოყვარულთა და ჟურნალისტთა შორის დასრულდება.

ჩვენი ფეხბურთიც კიდევ უფრო აყვავდება და აღორძინდება.

თანაც ჩვენთვის ხომ ფეხბურთი არ არის მთავარი?

მთავარი ხომ კაცობაა, რაც ამ ქვეყანაში უფრო ხშირად იმას ნიშნავს, რომ საკუთარი უვიცობა და პროფესიული უსუსურობა ხმაურიანად დამალო.

# ნუგზარ მიქაბერიძე:
# უფეხბუროდ გამიჭირდება

სამოციანი წლების საქართველო ფეხბურთის სიყვარულით ცხოვრობდა. ყოველ ახალშობილ ვაჟში „ოქროს ბიჭების“ მომავალ შემცვლელს ხედავდნენ, გამონაკლისი არც დიმიტრი მიქაბერიძისა და გულნარა ხოჭოლავას ოჯახი გახლდათ. ნუგზარის დაბადებამ უზომოდ გაახარა ფეხბურთზე თავდავიწყებით შეყვარებული დიმიტრი, რომელსაც ეს გრძნობა დღემდე არ განელებია.

ნუგზარ მიქაბერიძემ რიონის პირას აიდგა ფეხი და ბურთი მოითხოვა. მამის პირველი საჩუქარიც ბურთი იყო და მოუსვენარი, ონავარი ბიჭის შინ გაჩერება შეუძლებელი გახდა. მისი საკმაოდ ხანგრძლივი გზაც ქუჩიდან დაიწყო. შემდგომ, 10 წლისამ, ფოთის სპორტსკოლას მიაშურა, სადაც ბადრი ბასილაიამ საფეხბურთო ანბანი შეასწავლა.

არასტანდარტული აზროვნების გამო ნუგზარი ბავშვობაშივე გამოარჩიეს და „ტურა“ შეარქვეს. მეტსახელი მეტსახელად, მაგრამ მას დიდი სიყვარული და პატივისცემა ერგო, 35 წლის ასაკში კი ფეხბურთთან განშორების ჟამი მოვიდა, მოთამაშისთვის ერთობ ძნელი, მაგრამ, სამწუხაროდ, გარდუვალი.

ისევე, როგორც მინდორზე, მიქაბერიძის დაჭერა ძალიან ძნელი იყო. ასევე გახლავთ ცხოვრებაშიც, მაგრამ ორდღიანი დევნის შემდეგ „ტურა“ დაგვნებდა და ინტერვიუზეც დაგვთანხმდა:

***— თქვენი გადაწყვეტილება საბოლოოა?***

— ნამდვილად საბოლოოა. ასაკი მაინც ასაკია და 35 წლის მოხუცმა ბუცები დროულად უნდა გაიხადო, რადგან ადვილი შესაძლებელია, ყველაზე ცუდი რამ მოხდეს, საკუთარმა გულშემატკივარმა დაგისტვინოს, მაშინ კი გვიანღაა თითზე კბენანი.

***— მოდი, თქვენი საფეხბურთო გზა გავიხსენოთ.***

— ფეხბურთის თამაში ეზოში დავიწყე. დავიწყე და მეზობლების რისხვაც დამატყდა თავს: მათ ნერვებსა და ფანჯრებს არ ვინდობდი და მიუხედავად იმისა, რომ ხელს არც სხვები აკლებდნენ, მაინც მუდამ მე მადანაშაულებდნენ. მართალი რომ გითხრათ, უფროსების ყვირილს არად დაგიდევდით, დაღამება უფრო მანაღვლებდა, რადგან ბურთს უნდა დავშორებოდი, რა თქმა უნდა, მხოლოდ მეორე დილამდე. III კლასში ვიყავი, როცა მამაჩემმა სპორტსკოლაში მიმიყვანა, სადაც საუცხოო პედაგოგმა ბადრი ბასილაიამ ფეხბურთის ანბანას მაზიარა. 16 წლის ასაკში იური გვაზავამ შინ მომაკითხა და ფოთის „კოლხეთში“ მიმიყვანა, რაც ჩემი ოცნების ასრულება იყო.

***— სულ მალე ყველა ქართველისთვის საოცნებო გუნდში — თბილისის „დინამოში“ აღმოჩნდით.***

— დიახ, მანამდე კი ორი სეზონი „კოლხეთში“ გავატარე, სადაც მოლდოველი ცეკლერისა და ჯონი ჯანელიძის ხელში ვხვეწდი ოსტატობას, ხოლო 1982 წელს „დინამოში“ თავად ნოდარ ახალკაცმა ამიყვანა. მე იმ გუნდში მოვხვდი, სადაც ჩივაძე, სულაქველიძე, შენგელია, გუცაევი, გაბელია, დარასელია თამაშობდნენ (ზოგიერთი ვერსიით, „ტურა“ სწორედ მაშინ შეარქვეს და აი, რატომ: 19 წლის ბიჭი იმდენად მორიდებული გახლდათ ამ ვარსკვლავთა კომპანიაში, რომ მათთან ერთად საჭმელს პირს ვერ აკარებდა და ახლომდებარე სასადილოს მუდმივი კლიენტი გახდა. ეს ამბავი რომ გამჟღავნდა, თანაგუნდელებმა თურმე „ტურა“ უწოდეს). დიდ წარმატებას დაღმასვლა მოჰყვა და „დინამომ“ დიდი კრიზისი განიცადა. გუნდიდან ახალკაცი წავიდა და იგი ყიფიანმა შეცვალა. შემდეგ ისევ ახალკაცი და „დინამომ“ უეფას თასის საგზური მოიპოვა.

***— 1986-ში ლანჩხუთელებმა პატარა სასწაული მოახდინეს და სსრკ პირველობის უმაღლესი ჯგუფის საგზური დაისაკუთრეს. თქვენც „გურიას“ მიაშურეთ.***

— „გურია“ ჩემთვის და ყველასთვის საყვარელი გუნდი გახლდათ და იქ გატარებული წლები ჩემი ცხოვრების ულამაზესი მოგონება იქნება. ეს გუნდი კი არა, ერთი ოჯახი იყო, რაშიც დიდი წვლილი ცხონებულ ალიოშა კოტრიკაძეს მიუძღვის. შეუძლებელია არ აღინიშნოს მთელი რაიონის საფეხბურთო ენთუზიაზმი. მარტო იმის დავიწყება როგორ იქნება, რომ 25 ათასი მაყურებელი — კაცი და ქალი, მოხუცი და ბავშვი სულითა და გულით გვქომაგობდა. მიუხედავად იმისა, რომ ლიგაში ადგილის შენარჩუნება ვერ შევძელით, მაყურებელთა თანადგომას მაინც ბოლომდე ვგრძნობდით.

***— ორი სეზონი კვლავ „კოლხეთში“.***

— ფოთელებმა, რომლებიც II ლიგაში გამოდიოდნენ, I ლიგის საგზურისათვის ბრძოლა გადაწყვიტეს და მეც მშობლიურ ქალაქს დავუბრუნდი. გუნდს მაშინ ჩვენგან ნაადრევად წასული ბატონი ჯეელი კუჭუხიძე თავკაცობდა. მიუხედავად იმისა, რომ 89-ში ჯანელიძე დაბრუნდა, I ლიგის თითქმის მოპოვებული საგზური სოხუმელებმა წაგვართვეს. ამასობაში „გურია“ კვლავ უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა და მეც ლანჩხუთში გადავედი.



ტურას მუდამ გამოარჩევდა ძლიერი და ემმაყური დარტყმა

***— „გურია“ უმაღლესს კი დაუბრუნდა, მაგრამ საქართველომ ეროვნული ბურთაობა გაიჩაღა.***

— გახსოვთ, ალბათ, „გურიამ“ ამ საკითხს ერთმნიშვნელოვნად დაუჭირა მხარი და ჩვენც სიამოვნებით ჩავებით საქართველოს ეროვნულ პირველობაში. მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო I ჩემპიონატი, რომელიც მეტად დაძაბული იყო. ასე რომ გაგრძელებულიყო, ქართულ ფეხბურთში დღეს სხვა დონე იქნებოდა. რამდენი საინტერესო გუნდი იყო: „ბათუმი“, „გორდა“, „ცხუმი“, „კოლხეთი“, „ქუთაისი“, „მერცხალი“, „ოდიში“, მაგრამ დამეთანხმებით, ძირითადი ბრძოლა მაინც ჩვენსა და „იბერიას“ შორის წარიმართა. თუ ოქროს მედლები დინამოელებს დარჩათ, სამაგიეროდ, ეროვნული თასი ხელიდან არ გავუშვით, თანაც ნახევარფინალში ისინი ორჯერ დავამარცხეთ.

***— ამ პერიოდში პირველი შეხვედრა გამართა ეროვნულმა ნაკრებმა. თქვენ რჩეულთა შორის არ აღმოჩნდით, რა გრძნობა დაგეუფლათ?***

— იმ ისტორიულ მატჩში მონაწილეობა ნამდვილად მსურდა, მაგრამ მწვრთნელებმა ღირსად არ ჩამთვალეს. თუმცა რამდენიმე დღეში ლიტველებს დიდი ანგარიშით მოვუგეთ, სადაც ცუდად ნამდვილად არ მითამაშია.

***— ამ მატჩის შემდეგ ორი ლიტველი — მაჟეიკისი და ფრიდრიკასი „გურიაში“ გადმობარგდა. მათზე რას გვეტყოდით?***

— რიმას მაჟეიკისი და რობერტას ფრიდრიკასი ნამდვილი პროფესიონალები და კარგი მეგობრები იყვნენ და „გურიის“ წარმატებებში უზარმაზარი წვლილი შეიტანეს.

***— თბილისობაში ბევრი მეგობარი გყავდათ საფეხბურთო მინდორზე...***

— იმათ გარეშე ჩემი ცხოვრება წარმოუდგენელია. „დინამოც“, „გურიაც“ და „კოლხეთიც“ საკმაოდ შეხმატკბილებული გუნდები იყო და ამის გამო მათ უდიდეს პატივს ვცემ. „დინამოში“ განსაკუთრებით თანატოლებთან — გია გურულთან, მალხაზ მახარაძესთან, მალხაზ არზიანთან და ლევან ბარათაშვილთან ვმეგობრობდი და დღესაც ვმეგობრობ. ეგ არის, საქართველოდან წასვლის შემდეგ გურული მხოლოდ ერთხელ, რამდენიმე საათით ვნახე, ისიც თურქეთში. საერთოდ, ყველასთან თბილი დამოკიდებულება მაქვს, რადგან კონფლიქტური პიროვნება ნამდვილად არა ვარ. ამას, მგონი, სხვებიც აღიარებენ.

***— საკმაოდ ბევრი მწვრთნელის ხელში გამოიარეთ. ვის გამოარჩევდით?***

— ჩემი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში ძალიან გამიმართლა, რომ კარგი სპეციალისტები მწვრთნიდნენ. ყველას მადლობელი ვარ, მაგრამ უპირატესობას მაინც ნოდარ ახალკაცს მივანიჭებდი. იგი უდავოდ დიდი მწვრთნელი იყო.

***— თქვენი საუკეთესო გოლი...***

— ჩემთვის ყველა გატანილი ბურთი ძვირფასია, მაგრამ ერთს მაინც გამოვარჩევ: ფოთში „ბათუმს“ ვმასპინძლობდით და საკმაოდ ლამაზი ფეხბურთი გაჩაღდა. ბათუმელები ორი ბურთით დაწინაურდნენ. ჯერ ერთი ბურთი გავქვითეთ, მერე მეორე და ჩემი ჯერიც დადგა. მოედნის სიღრმიდან გრძელი პასი მომაწოდეს მარცხენა ფლანგზე, სადაც გელა შეყილაძემ დასწრებაზე სცადა თამაში. გულმა მიგრძნო, რომ მასთან ბრძოლაში უნდა ჩავბმულიყავი. წამოვეპარე და ბურთს დავეუფლე, მალხაზ მახარაძემ დაზღვევა ველარ მოასწრო და მეც ტოგონიძის პირისპირ აღმოვჩნდი. გოლიც გავიტანე და მატჩიც მოვიგეთ.

***— ყველაზე დასანანი წაგება?***

— შარშან მინსკის „დინამოსთან“ 1:2, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს წაგებული ორთაბრძოლა ფოთის „კოლხეთის“ საუკეთესო მატჩად მიმაჩნია.

***— საქართველოს ნაკრებზე რას გვეტყოდი?***

— ჩავარდნა ვის არ ჰქონია, წაგების სწორი ანალიზია საჭირო და მიზეზთა დროული გაანალიზება. თუ ეს ახალგაზრდები შეძლებენ თავიანთი ნიჭის მაქსიმალურად გამოვლენას, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლაც რეალურია.

***— სულ მალე სფფ-ს პრეზიდენტის არჩევნები იქნება.***

— მერაბ ჟორდანია, ჩემი აზრით ის პიროვნებაა, რომელსაც ქართული ფეხბურთისთვის ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება ძალუძს.

***— ცოტა რამ ოჯახზეც გვითხარით.***

— მყავს დედა, მამა, მეუღლე და ქალვაჟი — 12 წლის ლევანი და 4 წლის მაიკო. ლევანი ვარჯიშობს და უზომოდ უყვარს ფეხბურთი. იმედია, ჩემს სათქმელს ბოლომდე ის იტყვის.

***— დავუშვათ, „კოლხეთს“ ძალიან გაუჭირდა. არ დაბრუნდებით?***

— მწვანე მინდორზე, ალბათ, აღარ გამოვჩნდები, რადგან ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა და საკმაო ფიქრისა და განსჯის შედეგად მივიღე. თუმცა ვაღიარებ, რომ უფეხბუროდ ძალიან გამიჭირდება.

***— მწვრთნელობაზე ხომ არ გიფიქრიათ?***

— 35 წლის ასაკში ახალი ცხოვრება უნდა დავიწყო. ჯერ მივიხედ-მოვიხედავ, საჩემო საქმეს ავირჩევ და თუ ეს მწვრთნელის პროფესია იქნება, მომავალი გვიჩვენებს.

***— ახალგაზრდა ფეხბურთელებს რას ეტყოდით?***

— რაც შეიძლება მეტი იშრომონ, რაც შეიძლება მეტად დაიტვირთონ თავი. უნდა ახსოვდეთ, რომ ეს უეჭველად მოიტანს შედეგს.

*ნუგზარ მიქაბერიძე თავაწეული ტოვებს სარბიელს. ბოლოს, ერთი შეკითხვაც დავუმატე — რას უსურვებდა საკუთარ თავს და ჩვენ.*

— მინდა, მუდამ კარგი ფეხბურთი ვიხილო, მით უმეტეს, ქართველთა მონაწილეობით. „სარბიელს“ კი ვუსურვებ, ჩვენი ნაკრებისა და კლუბების წარმატებები ემცნოს მკითხველისთვის.

*ჩვენც ეს გვინდა, ჩემო ტურა და საერთო საქმის სასიკეთოდ ყველა დასაშვებ გზას გამოვიყენებთ. შენ კი უფეხბუროდ, ვატყობ, ნამდვილად გაგიჭირდება.*

ბიძინა დარჩია

## საჭირბოროტო
## კითხვა-პასუხი

***— ხედავ?***

— ვხედავ.

***— მერე რას იტყვი?***

— რა უნდა ვთქვა?

***— მოიცა... შენ რას ხედავ?***

— მე ვხედავ, რომ ზაფხულის სიცხემ გადაიარა.

***— აბა ერთი ესა ყოფილა. სხვას ვერაფერს ხედავ?***

— სხვა რა უნდა დავინახო?

***— როგორ, ქართულ ფეხბურთს რომ ეხაზება, ვერ ხედავ?***

— მე ვხედავ მზეს.

***— გუშინწინაც კიევში 0:4 წავაგეთ.***

— მერე რა?

***— როგორ თუ რა? 0:4 რა ამბავია?***

— შენ რამდენი გინდოდა?

***— 0:2 მაინც.***

— რა განსხვავებაა?

***— ღირსების ამბავია.***

— და 0:2 როდის წაუგიათ ჩვენებს?

***— ყოფილა ერთი ორჯერ.***

— და ეს საამაყოა?

***— როგორ გითხრა. 0:4-ს ჯობია.***

— მე მივხვდი, რატომაც აგებენ.

***— რატომ?***

— ფრენა არ უყვართ. სადაც თვითმფრინავით მიდიან, ყველგან 0:4-ს აგებენ.

***— ეგ რა მიზეზია?***

— აბა, ყველა ამბობს იდგნენო და...

***— მართალია. ჩვენები იმიტომ აგებენ, რომ დგანან.***

— და რატომ დგანან?

***— უტყდებათ.***

— რა უტყდებათ?

***— სირბილი.***

— სირბილი რატომ უტყდებათ?

***— ზოგს ეზარება, ზოგს რცხვენია, ზოგიც ამბობს არაქურდულიაო.***

— რა არის არაქურდული?

***— ბურთის აუტიდან მოწოდება.***

— და ქურდული რა არის?

***— მოედანზე გავლა-გამოვლა და მთქნარება.***

— ესე იგი, რომ არ დადგნენ, მოიგებენ?

***— ვერა, მაგრამ, ხალხს იმედს ჩაუსახავენ და არ უნდათ.***

— რატომ?

***— მერე რომ დადგნენ, ხალხი რას იტყვის?***

— ხალხი ყოველთვის ერთიდაიგივეს ამბობს.

***— რას?***

— ივერია გაბრწყინდებაო.

***— ეგ რას ნიშნავს?***

— აი, იტალიას რომ თბილისში ნიჩია გავუკეთეთ.

***— ოო, ეგ კარგი იყო. კიდევ როდის მოვახერხებთ?***

— როცა ჩეზარეს დააბრუნებენ.

***— ესე იგი, ჩვენზე არ არის დამოკიდებული?***

— ჩვენზეც არის, მაგრამ ძირითადად ჩეზარეზე.

***— და გაზა?***

— რა გაზა?

***— გაზამ იცის, რომ არაქურდულია?***

— გაზა ბოზია და არაქურდი.

***— მერე?***

— რონალდო ჭრელია.

***— და ჩვენ?***

— ჩვენ კაი ბიჭები ვართ.

***— რატომ?***

— გაქცევა გვიტყდება და იმიტომ.

# საქართველოს X ჩემპიონატის კალენდარი. II ჯგუფი. I წრე.

## დასავლეთი. „ა" ქვეჯგუფი

| | |
|---|---|
| დინამო | *გაგრა* |
| იბერია 2 | *სამტრედია* |
| იმერეთი | *ხონი* |
| მაღაროელი | *ჭიათურა* |
| მარგვეთი | *ზესტაფონი* |
| მეშახტე | *ტყიბული* |
| ოკეანე | *სამტრედია* |
| რაჭა | *ამბროლაური* |
| რიონი | *ქუთაისი* |
| საირმე | *ბაღდათი* |
| სამგურალი 2 | *წყალტუბო* |
| სულორი | *ვანი* |
| ტორპედო 2 | *ქუთაისი* |
| ჩიხურა | *საჩხერე* |

I ტური
26 აგვისტო. ოთხშაბათი
მაღაროელი - საირმე
მარგვეთი - ჩიხურა
მეშახტე - რიონი
იმერეთი - სამგურალი 2
გაგრა - ოკეანე
ტორპედო - იბერია 2
სულორი - რაჭა

II ტური
30 აგვისტო. კვირა
იბერია 2 - სულორი
სამგურალი 2 - გაგრა
ჩიხურა - მეშახტე
31 აგვისტო. ორშაბათი
საირმე - რაჭა
ოკეანე - ტორპედო 2
რიონი - იმერეთი
მაღაროელი - მარგვეთი

III ტური
7 სექტემბერი. ორშაბათი
მეშახტე - მაღეროელი
იმერეთი - ჩიხურა
გაგრა - რიონი
ტორპედო2-სამგურალი2
სულორი - ოკეანე
რაჭა - იბერია 2
8 სექტემბერი. სამშაბათი
მარგვეთი - საირმე

IV ტური
12 სექტემბერი. შაბათი
საირმე - იბერია 2
ოკეანე - რაჭა
რიონი -ტორპედო 2
ჩიხურა - გაგრა
მარგვეთი - მეშახტე
13 სექტემბერი. კვირა
სამგურალი 2-სულორი
მაღაროელი - იმერეთი

V ტური
22 სექტემბერი. სამშაბათი
მეშახტე - საირმე
იმერეთი - მარგვეთი
რაჭა - სამგურალი 2
სულორი - რიონი
23 სექტემბერი. ოთხშაბათი
გაგრა - მაღაროელი
ტორპედო 2 - ჩიხურა
იბერია 2 - ოკეანე

VI ტური
30 სექტემბერი. ოთხშაბათი
საირმე - ოკეანე
სამგურალი 2 - იბერია 2
რიონი - რაჭა
ჩიხურა - სულორი
მაღაროელი-ტორპედო2
მარგვეთი - გაგრა
მეშახტე - იმერეთი

VII ტური
4 ოქტომბერი. კვირა
იმერეთი - საირმე
გაგრა - მეშახტე
ტორპედო 2 - მარგვეთი
სულორი - მაღაროელი
რაჭა - ჩიხურა
იბერია 2 - რიონი
5 ოქტომბერი. ორშაბათი
ოკეანე - სამგურალი 2

VIII ტური
16 ოქტომბერი. პარასკევი
საირმე - სამგურალი 2
რიონი - ოკეანე
ჩიხურა - იბერია 2
მეშახტე - ტორპედო 2
17 ოქტომბერი. შაბათი
მაღაროელი - რაჭა
მარგვეთი - სულორი
იმერეთი - გაგრა

IX ტური
22 ოქტომბერი. ხუთშაბათი
ოკეანე - ჩიხურა
23 ოქტომბერი. პარასკევი
გაგრა - საირმე
ტორპედო 2 - იმერეთი
სულორი - მეშახტე
რაჭა - მარგვეთი
იბერია 2 - მაღაროელი
სამგურალი 2 - რიონი

X ტური
30 ოქტომბერი. პარასკევი
საირმე - რიონი
მაღაროელი - ოკეანე
მეშახტე - რაჭა
გაგრა- ტორპედო 2
ჩიხურა - სამგურალი 2
მარგვეთი - იბერია 2
იმერეთი - სულორი

XI ტური
5 ნოემბერი. ხუთშაბათი
იბერია 2 - მეშახტე
რიონი - ჩიხურა
6 ნოემბერი. პარასკევი
ტორპედო 2 - საირმე
სულორი - გაგრა
რაჭა - იმერეთი
ოკეანე - მარგვეთი
სამგურალი 2-
მაღაროელი

XII ტური
10 ნოემბერი. სამშაბათი
საირმე - ჩიხურა
მაღაროელი - რიონი
მარგვეთი-სამგურალი2
მეშახტე - ოკეანე
იმერეთი - იბერია 2
გაგრა- რაჭა
ტორპედო 2 - სულორი

XIII ტური
14 ნოემბერი. შაბათი
სულორი - საირმე
რაჭა - ტორპედო 2
იბერია 2 - გაგრა
რიონი - მარგვეთი
15 ნოემბერი. კვირა
ოკეანე - იმერეთი
სამგურალი 2 - მეშახტე
ჩიხურა - მალაროელი

*„ოკეანე" სამტრედია ითამაშებს „მარანის" ბაზაზე, გაგრა — წყალტუბოს ბაზაზე. „რიონი" — ქუთაისის „ვივი კილაძის" სათადარიგო მინდორზე.*

## დასავლეთი. „ბ" ქვეჯგუფი

| | |
|---|---|
| ბახმარო | *ჩოხატაური* |
| ეგრისი | *სენაკი* |
| ენგური | *განმუხური* |
| კოლეჯი | *ბათუმი* |
| კოლხეთი 2 | *ფოთი* |
| კოლხეთი | *ხობი* |
| მერცხალი | *ოზურგეთი* |
| ოდიში 2 | *ზუგდიდი* |
| სამეგრელო | *ჩხოროწყუ* |
| სალხინო | *მარტვილი* |
| ფაზისი | *ფოთი* |
| შუქურა | *ქობულეთი* |

I ტური
26 აგვისტო. ოთხშაბათი
მერცხალი - ბახმარო
ფაზისი - კოლეჯი
სქური - ოდიში 2
ენგური - სალხინო
სამეგრელო - კოლხეთი 2
ეგრისი - შუქურა
კოლხეთი ისვენებს.

II ტური
30 აგვისტო. კვირა
კოლხეთი 2 - ეგრისი
სალხინო - სამეგრელო
ოდიში 2 - ენგური
ბახმარო - ფაზისი
კოლხეთი - მერცხალი
31 აგვისტო. ორშაბათი
კოლეჯი - სქური
შუქურა ისვენებს.

III ტური
7 სექტემბერი. ორშაბათი
ფაზისი - კოლხეთი
სქური - ბახმარო
ენგური - კოლეჯი
სამეგრელო - ოდიში 2
ეგრისი - სალხინო
შუქურა - კოლხეთი 2
მერცხალი ისვენებს.

IV ტური
12 სექტემბერი. შაბათი
კოლხეთი - სქური
13 სექტემბერი. კვირა
სალხინო - შუქურა
ოდიში 2 - ეგრისი
კოლეჯი - სამეგრელო
ბახმარო - ენგური
მერცხალი - ფაზისი
კოლხეთი 2 ისვენებს.

V ტური
22 სექტემბერი. სამშაბათი
სქური - მერცხალი
სამეგრელო - ბახმარო
შუქურა - ოდიში 2
23 სექტემბერი. ოთხშაბათი
ენგური - კოლხეთი
ეგრისი - კოლეჯი
კოლხეთი 2 - სალხინო
ფაზისი ისვენებს.

VI ტური
30 სექტემბერი. ოთხშაბათი
ოდიში 2 - კოლხეთი 2
კოლეჯი - შუქურა
ბახმარო - ეგრისი
კოლხეთი - სამეგრელო
მერცხალი - ენგური
ფაზისი - სქური
სალხინო ისვენებს.

VII ტური
4 ოქტომბერი. კვირა
ენგური - ფაზისი
სამეგრელო - მერცხალი
ეგრისი - კოლხეთი
შუქურა - ბახმარო
კოლხეთი 2 - კოლეჯი
სალხინო - ოდიში 2
სქური ისვენებს.

VIII ტური
16 ოქტომბერი. პარასკევი
კოლეჯი - სალხინო
ბახმარო - კოლხეთი 2
სქური - ენგური
17 ოქტომბერი. შაბათი
კოლხეთი - შუქურა
მერცხალი - ეგრისი
ფაზისი - სამეგრელო
ოდიში 2 ისვენებს.

IX ტური
22 ოქტომბერი. ხუთშაბათი
სამეგრელო - სქური
კოლხეთი 2 - კოლხეთი
ოდიში 2 - კოლეჯი
23 ოქტომბერი. პარასკევი
ეგრისი - ფაზისი
სალხინო - ბახმარო
შუქურა - მერცხალი
ენგური ისვენებს.

X ტური
30 ოქტომბერი. პარასკევი
ბახმარო - ოდიში 2
კოლხეთი - სალხინო
მერცხალი - კოლხეთი 2
ფაზისი - შუქურა
სქური - ეგრისი
ენგური - სამეგრელო
კოლეჯი ისვენებს.

XI ტური
6 ნოემბერი. პარასკევი
ეგრისი - ენგური
შუქურა - სქური
კოლხეთი 2 - ფაზისი
სალხინო - მერცხალი
ოდიში 2 - კოლხეთი
კოლეჯი - ბახმარო
სამეგრელო ისვენებს.

XII ტური
10 ნოემბერი. სამშაბათი
კოლხეთი - კოლეჯი
მერცხალი - ოდიში 2
ფაზისი - სალხინო
სქური - კოლხეთი 2
ენგური - შუქურა
სამეგრელო - ეგრისი
ბახმარო ისვენებს.

XIII ტური
14 ნოემბერი. შაბათი
შუქურა - სამეგრელო
კოლხეთი 2 - ენგური
სალხინო - სქური
ოდიში 2 - ფაზისი
კოლეჯი - მერცხალი
ბახმარო - კოლხეთი
ეგრისი ისვენებს.

*„ფაზისი" თამაშობს მალანიას სახელობის სტადიონზე, ბათუმის „კოლეჯი" — „ბნზ"-ზე.*

## ცენტრალური

| | |
|---|---|
| განთიადი | *კასპი* |
| დინამო 2 | *თბილისი* |
| დილა 2 | *გორი* |
| ვარძია | *ასპინძა* |
| თორი | *ბორჯომი* |
| იბერია | *თბილისი* |
| იბერია | *ქარელი* |
| ივერია | *ხაშური* |
| ლოკომოტივი 2 | *თბილისი* |
| მესხეთი | *ახალციხე* |
| ჟინერი | *ჟინვალი* |
| საუ | *თბილისი* |
| ცხინვალი | *ცხინვალი* |
| ცხუმი | *სოხუმი* |

I ტური
26 აგვისტო. ოთხშაბათი
ივერია - მესხეთი
ს.კ. იბერია - ცხუმი
ლოკომოტივი 2 - საუ
იბერია ქ. - ჟინერი
დილა 2 - განთიადი
27 აგვისტო. ხუთშაბათი
ვარძია - დინამო 2
ცხინვალი - თორი

II ტური
30 აგვისტო. კვირა
საუ - იბერია ქ.
ცხუმი-ლოკომოტივი 2
ივერია - ს.კ. იბერია
31 აგვისტო. ორშაბათი
მესხეთი - დინამო 2
განთიადი - ვარძია
თორი - დილა 2
ჟინერი - ცხინვალი

III ტური
7 სექტემბერი. ორშაბათი
ლოკომოტივი 2- ივერია
დილა 2 - ჟინერი
ვარძია - თორი
8 სექტემბერი. სამშაბათი
ს.კ. იბერია - მესხეთი
იბერია ქ. - ცხუმი
ცხინვალი - საუ
9 სექტემბერი. ოთხშაბათი
დინამო 2 - განთიადი

IV ტური
12 სექტემბერი. შაბათი
მესხეთი - განთიადი
ჟინერი - ვარძია
სკ.იბერია-ლოკომოტივი
13 სექტემბერი. კვირა
თორი - დინამო 2
საუ - დილა 2
ივერია - იბერია ქ.
14 სექტემბერი. ორშაბათი
ცხუმი - ცხინვალი

V ტური
21 სექტემბერი. ორშაბათი
ლოკომოტივი2-მესხეთი
დილა 2 - ცხუმი
ვარძია - საუ
დინამო 2 - ჟინერი
22 სექტემბერი. სამშაბათი
იბერია ქ. - ს.კ. იბერია
ცხინვალი - ივერია
განთიადი - თორი

VI ტური
29 სექტემბერი. სამშაბათი
მესხეთი - თორი
საუ - დინამო 2
ცხუმი - ვარძია
30 სექტემბერი. ოთხშაბათი
ჟინერი - განთიადი
ივერია - დილა 2
ს.კ. იბეირა - ცხინვალი
ლოკომოტივი2-იბერია ქ.

VII ტური
4 ოქტომბერი. კვირა
იბერია ქ. - მესხეთი
ვარძია - ივერია
დინამო 2 - ცხუმი
5 ოქტომბერი. ორშაბათი
ცხინვალი-ლოკომოტივი
განთიადი - საუ
თორი - ჟინერი
6 ოქტომბერი. სამშაბათი
დილა 2 - ს.კ. იბერია

VIII ტური
16 ოქტომბერი. პარასკევი
მესხეთი - ჟინერი
საუ - თორი
ივერია - დინამო 2
ს.კ. იბერია - ვარძია
ლოკომოტივი 2 - დილა 2
იბერია ქ. - ცხინვალი
18 ოქტომბერი. კვირა
ცხუმი - განთიადი

IX ტური
22 ოქტომბერი. ხუთშაბათი
დილა 2 - იბერია ქ.
ვარძია - ლოკომოტივი
დინამო 2 - ს.კ. იბერია
განთიადი - ივერია
23 ოქტომბერი. პარასკევი
ცხინვალი - მესხეთი
თორი - ცხუმი
ჟინერი - საუ

X ტური
30 ოქტომბერი. პარასკევი
მესხეთი - საუ
ს.კ. იბერია - განთიადი
ლოკომოტივი2-დინამო2
31 ოქტომბერი. შაბათი
ცხუმი - ჟინერი
ივერია - თორი
იბერია ქ. - ვარძია
ცხინვალი - დილა 2

XI ტური
6 ნოემბერი. პარასკევი
დილა 2 - მესხეთი
ვარძია - ცხინვალი
დინამო 2 - იბერია ქ.
განთიადი-ლოკომოტივი
თორი - ს.კ. იბერია
ჟინერი - ივერია
საუ - ცხუმი

XII ტური
10 ნოემბერი. სამშაბათი
მესხეთი - ცხუმი
ს.კ. იბერია - ჟინერი
იბერია ქ. - განთიადი
ცხინვალი - დინამო 2
11 ნოემბერი. ოთხშაბათი
ივერია - საუ
ლოკომოტივი - თორი
დილა 2 - ვარძია

XIII ტური
16 ნოემბერი. ორშაბათი
ვარძია - მესხეთი
დინამო 2 - დილა 2
განთიადი - ცხინვალი
თორი - იბერია ქ.
ჟინერი - ლოკომოტივი 2
საუ - ს.კ. იბერია
ცხუმი - ივერია

*„დინამო" 2 თამაშობს დიღმის ბაზაზე, საუ — აგრარული უნივერსიტეტის სტადიონზე.*

## აღმოსავლეთი

| | |
|---|---|
| არსენალი 2 | *თბილისი* |
| ალგეთი | *მარნეული* |
| ალაზანი | *გურჯაანი* |
| დინამო 3 | *თბილისი* |
| შავნაბადა | *თბილისი* |
| კახეთი | *თელავი* |
| მრეტები | *თბილისი* |
| უნივერსიტეტი | *თბილისი* |
| ქანაგკო | *სართიჭალა* |
| ღარწყალი | *ძველი ანაგა* |
| ყვარელი | *ყვარელი* |
| შსს აკადემია | *თბილისი* |
| ჭაბუკიანი | *ჭაბუკიანი* |
| ხალიბი | *რუსთავი* |

I ტური
26 აგვისტო. ოთხშაბათი
შსს აკადემია - მრეტები
არსენალი 2 - კახეთი
ყვარელი - ჭაბუკიანი
დინამო 3 - შავნაბადა
ალგეთი - ხალიბი
27 აგვისტო. ხუთშაბათი
იბერია - ქანაგკო
ალაზანი - ღარწყალი

II ტური
30 აგვისტო. კვირა
ღარწყალი - ალგეთი
ჭაბუკიანი - იბერია
შავნაბადა - ალაზანი
შსსაკადემია-არსენალი2
31 აგვისტო. ორშაბათი
მრეტები - ხალიბი
ქანაგკო - დინამო 3
კახეთი - ყვარელი

III ტური
7 სექტემბერი. ორშაბათი
არსენალი 2 - მრეტები
ყვარელი - შსს აკადემია
ხალიბი - ღარწყალი
იბერია - კახეთი
დინამო 3 - ჭაბუკიანი
8 სექტემბერი. სამშაბათი
ალაზანი - ქანაგკო
ალგეთი - შავნაბადა

IV ტური
12 სექტემბერი. შაბათი
მრეტები - ღარწყალი
ქანაგკო - ალგეთი
ჭაბუკიანი - ალაზანი
13 სექტემბერი. კვირა
შსს აკადემია - იბერია
კახეთი - დინამო 3
შავნაბადა - ხალიბი
არსენალი 2 - ყვარელი

V ტური
21 სექტემბერი. ორშაბათი
იბერია - არსენალი 2
ალაზანი - კახეთი
ხალიბი - ქანაგკო
ღარწყალი - შავნაბადა
22 სექტემბერი. სამშაბათი
ყვარელი - მრეტები
დინამო 3 - შსს აკადემია
ალგეთი - ჭაბუკიანი

VI ტური
30 სექტემბერი. ოთხშაბათი
მრეტები - შავნაბადა
ქანაგკო - ღარწყალი
ჭაბუკიანი - ხალიბი
კახეთი - ალგეთი
არსენალი 2 - დინამო 3
ყვარელი - იბერია
1 ოქტომბერი. ხუთშაბათი
შსს აკადემია - ალაზანი

VII ტური
4 ოქტომბერი. კვირა
იბერია - მრეტები
ალგეთი - შსს აკადემია
ღარწყალი - ჭაბუკიანი
5 ოქტომბერი. ორშაბათი
დინამო 3 - ყვარელი
ალაზანი - არსენალი 2
ხალიბი - კახეთი
შავნაბადა - ქანაგკო

VIII ტური
15 ოქტომბერი. ხუთშაბათი
იბერია - დინამო 3
16 ოქტომბერი. პარასკევი
მრეტები - ქანაგკო
კახეთი - ღარწყალი
არსენალი 2 - ალგეთი
ყვარელი - ალაზანი
17 ოქტომბერი. შაბათი
ჭაბუკიანი - შავნაბადა
შსს აკადემია - ხალიბი

IX ტური
22 ოქტომბერი. ხუთშაბათი
ღარწყალი-შსსაკადემია
ალგეთი - ყვარელი
23 ოქტომბერი. პარასკევი
დინამო 3 - მრეტები
ალაზანი - იბერია
ხალიბი - არსენალი 2
შავნაბადა - კახეთი
ქანაგკო - ჭაბუკიანი

X ტური
29 ოქტომბერი. ხუთშაბათი
მრეტები - ჭაბუკიანი
კახეთი - ქანაგკო
დინამო 3 - ალაზანი
30 ოქტომბეირ. პარასკევი
არსენალი 2 - ღარწყალი
შსს აკადემია - შავნაბადა
ყვარელი - ხალიბი
1 ნოემბერი. შაბათი
იბერია - ალგეთი

XI ტური
6 ნოემბერი. პარასკევი
ალაზანი - მრეტები
ალგეთი - დინამო 3
ხალიბი - იბერია
ღარწყალი - ყვარელი
შავნაბადა - არსენალი 2
ქანაგკო - შსს აკადემია
ჭაბუკიანი - კახეთი

XII ტური
10 ნოემბერი. სამშაბათი
მრეტები - კახეთი
ყვარელი - შავნაბადა
11 ნოემბერი. ოთხშაბათი
შსს აკადემია - კახეთი
არსენალი 2 - ქანაგკო
დინამო 3 - ხალიბი
ალაზანი - ალგეთი
12 ნოემბერი. ხუთშაბათი
იბერია - ღარწყალი

XIII ტური
16 ნოემბერი. ორშაბათი
ალგეთი - მრეტები
ხალიბი -ალაზანი
ღარწყალი - დინამო 3
შავნაბადა - იბერია
ქანაგკო - ყვარელი
ჭაბუკიანი - არსენალი 2
კახეთი - შსს აკადემია

*„შსს აკადემია", „მრეტები" „უნივერსიტეტი იბერია" თამაშობენ მაუდკომბინატის სტადიონზე (სუკონკა). „დინამო 3" თამაშობს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე.*

II ჯგუფის ყველა ქვეჯგუფში თამაშები აგვისტო-სექტემბერში დაიწყება 17.00 საათზე, ოქტომბერში - 16.00 საათზე, ნოემბერში - 15.00 საათზე.

# არდადეგები დასრულდა, რონალდო მზად არის

„ჩემს ცხოვრებაში ყველაზე გრძელი და საუკეთესო არდადეგები ახლა გავატარე“ — ეს სიტყვები ბოლო ორი წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს, 21 წლის ლუის ნაზარიო დე ლიმას, უბრალოდ კი რონალდოს ეკუთვნის. ალბათ, გეხსომებათ, მასთან დაკავშირებით ატეხილი ვაი-უშველებელი, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩის დღეს, 12 ივლისს, იგი ცუდად გახდა, როგორც მისი თანაგუნდელები და თვითმხილველები ამბობენ, საკმაოდ ცუდადაც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც გავიდა მოედანზე და სხვაზე ნაკლებად (ბრაზილიელები გვყავს მხედველობაში) ნამდვილად არ უთამაშია. თუმცა რონალდო იმიტოა რონალდო, რომ ყოველთვის სხვაზე მეტი მოეთხოვება. 12 ივლისის ისტორიას მთელი მსოფლიოც იმიტომ გამოეხმაურა. წარმოიშვა უამრავი ვერსია, ზოგი ამტკიცებდა, არაფერი ცუდად არ გამხდარა, სუზანთან (რონალდოს საცოლე) მოუვიდა უსიამოვნებაო, ზოგი — ფეხის ტრავმა ჰქონდაო, უმეტესობას კი სჯერა, რომ ფეხბურთელი მართლაც შეუძლოდ იყო, ოღონდ ეს უმეტესობაც ორ ნაწილად არის გაყოფილი — ერთნი გაიძახიან, ვერ იყო ჯანზე, მაგრამ თავისი ინიციატივით ითამაშაო, ხოლო მეორენი დარწმუნებულნი არიან, რონალდოზე ზეწოლა მარიო ზაგალომ და სპონსორებმა მოახდინეს. ასე რომ, ვარიანტები უამრავი და მრავალფეროვანია. ფინალის შემდეგ უკვე საკმაო დრო, დაახლოებით თვენახევარი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე და ტელევიზიაში ბევრმა თვითმხილველმა გამოთქვა თავისი შეხედულება, მაგრამ თავად რონალდო ყველანაირად არიდებდა თავს მედიის წარმომადგენლებს და თუ მათი უცაბედი შეხვედრა მაინც ხდებოდა, იგი უჩვეულოდ სიტყვაძუნწობდა. მოკლედ, ვერ იყო ბიჭი ხასიათზე. შემდეგ იგი დასასვენებლად გაემგზავრა, ჯერ სამშობლოში, ხოლო მერე მექსიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. არდადეგებზე ყოფნისას მან ბიზნესისთვისაც გამონახა დრო და რიოში თავის რესტორანიც გახსნა, რომელსაც R9 ჰქვია. თუ როგორ დაისვენა რონალდომ, ეს წერილის დასაწყისში თავად მოგახსენათ. ახლა კი, მის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება — იტალიის ჩემპიონატი, ევროტურნირები და ბევრი სხვა. ხუთშაბათს 21 წლის თავდასხმელი უკვე მილანში იმყოფებოდა და თავისი კლუბის „ინტერის“ შტაბ-ბინაში ჟურნალისტების ცნობისმოყვარეობას აკმაყოფილებდა.

პირველ რიგში პრესის წარმომადგენლები ისევ და ისევ საფრანგეთი 98-ს და მისი გადამწყვეტი შეხვედრის დღეს დაუბრუნდნენ. რონალდომაც ცოტა უხასიათოდ, მაგრამ მაინც კვლავ გაიხსენა 12 ივლისი: „თამაშამდე ვისადილე და ჩემს ოთახში დავბრუნდი. ცოტათი გადაღლილი ვიყავი და ამიტომ წავუძინე. როდესაც გამომეღვიძა, მთელ სხეულში საშინელი ტკივილი ვიგრძენი, ძალიან ცუდად გავხდი. შემდეგ უკვე საავადმყოფოში ამოვჩნდი, სადაც ექიმებმა გულისყურით შემამოწმეს და მითხრეს, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები მქონდა, რის გამოც თამაშს ვერ შევძლებდი. მაგრამ უკან არ დავიხიე და სამედიცინო პერსონალს ჩემი ტესტებით შემოწმება ვთხოვე. იმ დღეს ხომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის, ჩემი ოცნების დღე იყო. ტესტები წარმატებით ჩავაბარე, მაგრამ ექიმებმა მაინც მირჩიეს, მოედანზე გასვლისგან თავი შემეკავებინა. მიუხედავად ამისა, იმ მომენტში მხოლოდ ჩემპიონობაზე ვფიქრობდი და არც დავფიქრებულვარ, ისე მივაშურე სტადიონს“ — გაიხსენა 12 ივლისი იტალიაში ფენომენად შერაცხულმა რონალდომ, რომელმაც ფინალში თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა (ისევე, როგორც მთელმა ბრაზილიის ნაკრებმა). სხვათა შორის, მან ისიც აღნიშნა, რომ ფრანგები სავსებით იმსახურებდნენ ჩემპიონობას, მათ ღირსეულად გაიმარჯვეს და მისი ავადმყოფობა არაფერ შუაში იყო.

პრესკონფერენციაზე მყოფი ჟურნალისტები იმითაც დაინტერესდნენ, სამშობლოში დაბრუნებული რონალდო აეროპორტში რატომ იყო გაფითრებული და გადაღლილი. რაზეც მან მომღიმარი სახით უპასუხა, ჯერ ერთი, თვითმფრინავში მეძინა და ახალი გაღვიძებული ვიყავი, თანაც 30-კილოგრამიანი ჩანთის თრევა ადვილი საქმე ხომ არ არისო.

შემდეგ რონალდოს უკვე იტალიაში შექმნილ სკანდალურ სიტუაციაზე დააყარეს კითხვები: „ამის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცი, რადგან არდადეგებზე ყოფნისას ფეხბურთის გაგონება არ მინდოდა. მაგრამ ვფიქრობ, მიმდინარე მოვლენები ფეხბურთის განვითარებაზე სასიკეთოდ იმოქმედებს. იმ კლუბებში, სადაც აქამდე გამოვდიოდი, ისეთი პრეპარატის შესახებ, როგორიც კრეატინია, არ გამეგო. სხვა გუნდებში რა ხდება, არ ვიცი“ — განაცხადა რონალდომ, რომელმაც ჟურნალისტებთან შეხვედრა მეტად ოპტიმისტურ ნოტაზე დაასრულა და ყველას აცნობა, წარსული უსიამოვნებანი უკვე დავივიწყე, მთავარი ახლა ის არის, რომ თავს გადასარევად ვგრძნობ და დიდი იმედი მაქვს, წლევანდელი სეზონი მხოლოდ გამარჯვებებით და სიხარულით ჩაივლისო.

რონალდომ დასვენების შემდეგ თანაგუნდელებთან ერთად პირველად გუშინ ივარჯიშა და სავარაუდოდ „ინტერის“ შემადგენლობაში პირველ შეხვედრას ოთხშაბათს, რიგაში გამართავს „სკონტოსთან“, რომელსაც მილანურმა კლუბმა პირველ მატჩში 4:0 მოუგო. სწორედ ამ შედეგისა და ლატვიელთა დონის გათვალისწინებით, ზოგნი ამტკიცებენ, ჯიჯი სიმონი მას კიდევ დაასვენებსო. თუმცა ამას უკვე აღარა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, მთავარია, რომ რონალდომ ცუდი დროება უკან მოიტოვა, ახლა მშვენიერ ხასიათზეა და კარს მომდგარ საფეხბურთო სეზონში თავის მილიონობით გულშემატკივარს კვლავ გაახარებს ზღაპრული ტექნიკით, რეაქტიული სისწრაფით და ულამაზესი გოლებით.

**დავით ძოვზირიძე**



REUTERS მილანიდან

დასვენებული რონალდო ქომაგებს გამარჯვებას დაჰპირდა

# იტალიელთა გამოკრიეტინება



REUTERS რომიდან

დელ პიერო, რატომ გაქვს ასეთი დიდი კუნთები?

**იტალიის** ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ თავდამსხმელი, ალესანდრო დელ პიერო რომში, ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტში, დოპინგთან მებრძოლი კომისიის წინაშე წარსდგა. იქიდან გამოსულმა განაცხადა, რომ კომისიის წევრებს უპასუხა ზუსტად ის, რაც ტურინის პროკურატურას. რაც შეეხება პრესასთან საუბარს, ის სულ ორი კითხვითა და ერთი პასუხით შემოიფარგლა.

პირველი შეკითხვა ასეთი გახლდათ: ყოველთვის იცით თუ არა, რა აბებს ყლაპავთ?

ვიციო, უპასუხა დელ პიერომ, ხოლო მეორე კითხვაზე, წამლებით ძალიან გაჭყეპილი ხომ არ ბრძანდებითო, არ უპასუხა და დარბაზი დატოვა.

რატომ დაიბარეს ტურინელი ფორვარდი ოლიმპიურ კომიტეტში, ცნობილი ამბავია: „რომას“ ჩეხმა მწვრთნელმა, ზდენეკ ზემანმა განაცხადა, რომ იტალიური ფეხბურთი დოპინგს აქვს წალეკილი და დელ პიეროს ათლეტური სხეულიც (ისევე როგორც „ჩელსის“ მწვრთნელის, ჯანლუკა ვიალის) აბების ყლაპვის შედეგია.

ზემანის განცხადებას, როგორც იცით, დიდი სკანდალი მოჰყვა, თუმცა, ჩეხ მწვრთნელს ზემოთქმულზე უფრო კონკრეტულად არაფერი განუცხადებია.

— ვგონებ, ზემანს სურდა საზოგადოებრიობის ყურადღება პრეპარატ კრიეტინზე გაემახვილებინა. მართალია, კრიეტინი აკრძალული არ არის, მაგრამ მისმა ხანგრძლივმა სმამ შესაძლოა, ადამიანის ჯანმრთელობაზე ცუდი გავლენა იქონიოს. რაც შეეხება სკანდალს, კაცს, რომელიც მას გაზეთებიდან იცნობს, შეიძლება შეექმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ კრიეტინი დოპინგია — ბრძანა „კორიერე დელა სერასთვის“ მიცემულ ინტერვიუში „სკუადრა ამურას“ ახალმა მწვრთნელმა, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა მეკარემ დინო ძოფმა, რომელიც აქამდე რომაული „ლაციოს“ პრეზიდენტი გახლდათ და ერთიხანობა ზემანი მწვრთნელად ჰყავდა მიწვეული.

„ლაციოს“ ახლანდელმა თავკაცმა, შვედმა სვენ გორან ერიკსონმა იტალიის ოლიმპიურ კომიტეტში სტუმრობისას განაცხადა:

— „კრიეტინი? რაც მე „ლაციოში“ ვარ, ფეხბურთელებს ის არ დაულევიათ. საქმე ისაა, რომ ამ პრეპარატს არ ვენდობი. მწამს, წამლის სმას სირბილი და ვარჯიშები ათასჯერ სჯობია. ვეჭვობ, ფეხბურთი დოპინგს მართლა წალეკილი ჰქონდეს, მაგრამ თუ ასეთი ეჭვი არსებობს, მაშინ ახლავე უნდა შევიტყოთ ყველაფერი. ზოგადად კი, თუ ფეხბურთელები წლის განმავლობაში მუხლჩაუხრელად იშრომებენ, 60 თამაშიც რომ დაუგროვდეთ, არანაირი აბები არ დასჭირდებაც.

კრიეტინი, რომლის გარშემოც ასეთი აურზაური ატყდა, გახლავთ ამინომჟავა, რომელსაც ადამიანის სხეული ბუნებრივად გამოიმუშავებს და ის კუნთების შეკუმშვაში მთავარ როლს თამაშობს.

— როდესაც ჩვენი მწვრთნელი ზემანი იყო, კრიეტინის აბებს მართლა ვყლაპავდით, ხოლო მას მერე, რაც ერიკსონი ჩაგვიდგა სათავეში, მათ ახლოსაც არ გავკარებივართ. აშკარაა, რომ ეს პრეპარატი სასურველ შედეგს არ იძლევა და ამიტომ იგი „ლაციოს“ მედიკამენტების სიიდან ამოიღეს. პირადად მე კარგად ვიცი, რაც მიხდება. როდესაც ინტენსიურად ვვარჯიშობ და რამდენიმე კილოგრამს ვიკლებ, ვიტამინებს და მინერალურ სასმელებს ვეტანები, მეტს არაფერს — არ დაიშურა სიტყვები „ლაციოს“ მცველმა, პაოლო ნეგრომ.

ამ დღეებში კიდევ დაკითხეს „იუვენტუსის“ სამი ფეხბურთელი: დანიელ ფონსეკა, მარკ იულიანო და ფაბიო პეკია.

## ფეხბურთის რუკასთან



**შვეიცარიელმა** კრისტიან გროსმა, რომელიც ინგლისურ „ტოტენჰემ ჰოტსპურს“ უდგას სათავეში, განაცხადა, რომ „ბლექბერნ როვერსი“ 10 მილიონ გირვანქას (16,28 მილიონი დოლარი) სთავაზობდა მისი გუნდისა და ინგლისელთა ნაკრების მცველის, ზანგი სოლ კემპბელის სანაცვლოდ, მაგრამ უარი განაცხადა. „ბლექბერნიდან რამდენიმე კვირის წინ დაგვიკავშირდნენ და სოლის მიყიდვა გვთხოვეს, მაგრამ ჩვენთვის არ არსებობს თანხა, მის გაყიდვად რომ გვიღირდეს. ამიტომაც კემპბელი არსად წავა“ — განუცხადა გროსმა ჟურნალიტებს.

**სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ფედერაციამ მეტად უცნაური გადაწყვეტილება მიიღო: იგი აპირებს საკუთარი ქვეყნის ორი კლუბი თავად იყიდოს, შემდეგ გააუქმოს და ამით ჩემპიონატის გადატვირთული კალენდარი ცოტა განტვირთოს. ფედერაციის აღმასრულებელი შეფის დენი ჯორდანის განცხადებით, მისი ორგანიზაცია ამ კლუბთა მეპატრონეებს სათითაოდ 5 მილიონ რანდს ანუ 750 ათას დოლარს ჰპირდება. თუ გეგმა განხორციელდება, ქვეყნის ჩემპიონატში გუნდების რაოდენობა 18-დან 16-მდე შემცირდება. ასეთ არგაგონილ აზრამდე ფედერაციაში იმიტომ მივიდნენ, რომ საკუთრივ საფეხბურთო პრემიერლიგის ხელმძღვანელებმა უარი განაცხადეს ორი გუნდის შეკვეცაზე, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს შინაური ჩემპიონტისადმი ინტერესი მკვეთრად დაეცა.**

**ჰოლანდიის** ჩემპიონატის პირველი ტურის პირველ შეხვედრაში „ჰერენვეენმა“ „ტვენტეს“ 1:0 მოუგო. ერთადერთი გოლი თავდამსხმელმა ჯეფრი ტალანმა გაიტანა. სხვათა შორის, ტალანი გახდა არა მხოლოდ ახალი ჩემპიონატის პირველი გოლის ავტორი, არამედ პირველი გაძევებულიც. მას წითელი ბარათი ბუდევინ პალპლაცის წინააღმდეგ უხეშობისთვის აუფრიალეს. თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე „ჰერენვეენს“ მეორე გოლის გატანის საუცხოო შანსიც მიეცა. ეს იყო პენალტი, რომლითაც ზემოხსენებული პალპლაცი იან ვან ჰალსტის წინააღმდეგ უხეშობისათვის დაისაჯა, მაგრამ რადუ გასატუმ ბურთი მიზანს ააცილა.

**გერმანიის ნაკრების მცველს შტეფან როიტერს, ეტყობა, ქვეყნის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში ვეღარასოდეს ვიხილავთ, რადგან მან განაცხადა, რომ სანამ ეროვნულ გუნდს სათავეში ბერტი ფოგტსი უდგას, იქ მისი ფეხი არ იქნება, არადა როიტერი უკვე 31 წლისაა. „ჩემს გადაწყვეტილებას ასაკთან არანაირი კავშირი არ აქვს, იგი მთლიანად ჩემი და ფოგტსის ურთიერთობებიდან გამომდინარეობს“ — განაცხადა დორტმუნდის „ბორუსიას“ კაპიტანმა. 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, საფრანგეთი 98-ის მონაწილეც გახლდათ, მაგრამ მოგეხსენებათ, იქიდან გერმანელთა ნაკრები ნაადრევად გამოვარდა. როიტერს ნაკრებში 69 შეხვედრა აქვს ჩატარებული. შეგახსენებთ, რომ იმავე მიზეზით ნაკრები დატოვა 32 წლის ოლაფ ტონმაც.**

**საფრანგეთის** უმთავრესი სარბიელის, „სტად დე ფრანსის“ ერთ-ერთი ადმინისტრატორის განცხადებით სენ დენში აგებულ ამ სტადიონს ყოველდღიურად ათასზე მეტი ადამიანი აკითხავს. მიზეზი: ხალხი მიდის იქ, სადაც მათი ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. საგანგებო ბუკლეტებში, რომელთაც დამთვალიერებლებს ურიგებენ, წერია: „წარმოიდგინეთ, რომ დღეს 12 ივლისია, დაახლოებით საღამოს 7 საათი, ტრიბუნებზე 80 ათასი ადამიანი ზის. სტადიონის ფარეხში კი საფრანგეთის ნაკრების ავტობუსი შევიდა.“ ასეთი სახის ტურიზმი „სტად დე ფრანსს“ შემოსავლს აძლევს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყნის სპორტის სამინისტრომ მეორე დივიზიონის „წითელ ვარსკვლავსაც“ კი უარი უთხრა სარბიელის საკუთარ სახლად ქცევაზე. ამ პატარა გუნდს იქვე, ორ კილომეტრში მდებარე 10 ათასიანი „სად მარვილი“ უბოძეს. ახლა, „სტად დე ფრანსს“ შემოსავალი ფაქტობრივად, მხოლოდ ზემოხსენებული ტურიზმიდან და ფეხბურთისა და რაგბის ნაკრებთა მატჩებიდან აქვს.

**ზიმბაბვეს ნაკრებს თავისი ხელმძღვანელის თანამდებობაზე მეზობლის, სამხრეთ აფრიკის ეროვნული გუნდის თავკაცის კლაივ ბარკერის ხილვა სურს. ამასობაში კი თავად ბარკერი, რომელიც გასულ წელს საუდის არაბეთში, კონფედერაციის თასზე ულიმღამო თამაშისთვის მოხსნეს, არ მალავს, რომ ძველ თანამდებობაზე დაბრუნება სურს. მოკლედ, როგორც ჩანს, ბარკერი ზიმბაბვეში არ წავა, მაგრამ ვერც ძველ პოსტს დაუბრუნდება, რადგან „ბაფანა ბაფანას“ ანუ სამხრეთ აფრიკის ნაკრებს ჰოლანდიელი რუუდ გულიტის მიწვევა ამოუჭრია გულს.**

**ამერიკული** მეიჯორ სოკერ ლიგა, მოგეხსენებათ, ყოველთვის რაღაც ექსპერიმენტებით იყო გართული. ჯერ იყო და პენალტები გადაასხვაფერეს, პირდაპირ დარტყმის მაგივრად მეკარესთან პირისპირ შესვლები მოიგონეს, მერე ფიფას ახალი წესი, უკნიდან შეტევის აკრძალვა დააჭაშნიკეს პირველებმა და აი, ახლა ახალ ცდას ატარებენ: ლიგის თამაშებს ქალები იმსაჯებენ. 29 აგვისტოს ასეთი რამ პირველად მოხდება. ქალი არბიტრების ვინაობა, ბუნებრივია, უკვე გარკვეულია: სანდრა ჰანტი და ნენსი ლეი ხუთ მანდილოსანს შორის ამოარჩირეს. „მე მინდა პატივი მცენ როგორც მსაჯს და არა როგორც ქალს“ — განაცხადა აშშ-ის ქალთა ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა ნენსი ლეიმ.

**ინგლისში „ნოტინგემ ფორესტმა“ 2,5 მილიონ გირვანქად ანუ 4,07 მილიონ დოლარად „მიდლსბროს“ მცველი, კოლინ კუპერი მიჰყიდა. კუპერი მიდლსბროელი კაცია და ახლა თავისი ქალაქის გუნდს ოთხი წლის განმავლობაში მოემსახურება. მან გასულ კვირას „ასტონ ვილასთან“ შეხვედრაში კოჭი დაიზიანა. ადრე კუპერი შვიდი წლის განმავლობაში თამაშობდა „მიდლსბროში“, საიდანაც 1991 წელს „მილუოლს“ შეუერთდა. ცენტრალურ მცველს, რომელსაც ნახევარმცველობაც ეხერხება, 1995 წელს ინგლისის ნაკრებში ორი შეხვედრა აქვს ჩატარებული.**

**იამაიკელი** ფეხბურთელი, 25 წლის მცველი ინანდი ლოვე ორშაბათიდან შეეცდება ინგლისური პრემიერლიგის გუნდის, „უიმბლდონის“ ხელმძღვანელებს თავი მოაწონოს. „უიმბლდონის“ მწვრთნელს, ჯო კინიარს ლოვე იამაიკის ნაკრების ფეხბურთელებმა, მისმა ქვეშევრდომებმა, რობი ერლიმ და მარკუს გეილმა უქეს. „მათ მითხრეს, რომ ის ძლიერი მოთამაშეა, რომელსაც რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია მოქმედება“ — თქვა მწვრთნელმა. აღსანიშნავია, რომ ინგლისის პრემიერლიგაში ერთადერთი კლუბი „უიმბლდონია“, რომელსაც გასული სეზონის შემდეგ ახალი ფეხბურთელი არ აუყვანია.

# ფერგიუსონმა თავისი გაიტანა

როგორც იქნა! დიდი ბრძოლისა და ვაჭრობის შემდეგ არცთუ საფეხბურთო ქვეყნის, ტრინიდად და ტობაგოს შვილი დუაიტ იორკი ბირმინგემის „ასტონ ვილადან“ ინგლისური ფეხბურთის გრანდ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავიდა. ფასს არ იკითხავთ? ოლდტრეფორდელებს იგი 12,6 მილიონი გირვანქა ანუ 20,51 მილიონი დოლარი დაუჯდათ. იორკისთვის ალექს ფერგიუსონი საკმაოდ დიდხანს იბრძოდა. თავიდან „ვილას“ ხელმძღვანელობამ მას ასტრონომიული თანხა — 16 მილიონი გირვანქა მოსთხოვა, რაზეც, ბუნებრივია, უარი მიიღო. ამის შემდგომ მსოფლიო საინფორმაციო სააგენტოები ყოველდღიურად იუწყებოდნენ ორ კლუბს შორის მიმდინარე ვაჭრობისა და ურთიერთობების თაობაზე. და აი, დუაიტ იორკის მომავალიც გუშინ საბოლოოდ გაირკვა. მან თავის ახალ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ეს უკანასკნელი კი ბირმინგემელებს ჯერ 6,6 მილიონ გირვანქას გადაუხდის, ხოლო შემდეგ, 12 თვის განმავლობაში ოთხჯერ 1,5 მილიონს. სხვათა შორის, ეს ტრანსფერი სარეკორდოა „მანსესტერ იუნაიტედის“ ისტორიაში. აქამდე ეს პატივი, მართალია ძალიან ცოტა ხნით, „ეინდჰოვენიდან“ გადმოსულ მცველ იაპ სტამს ხვდა წილად — მასში „ალისფერმა ეშმაკუნებმა“ 10,75 მილიონი გირვანქა გაიღეს.

იორკსა და „მანჩესტერ იუნაიტედს“ შორის ხელშეკრულების გაფორმება და პრესკონფერენციის გამართვა ერთი იყო. პირველმა კლუბის შოტლანდიელმა თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა ისაუბრა: მანჩესტერელი დიდებული ფეხბურთელების წინააღმდეგ ბევრჯერ მითამაშია და იმ ვარიანტმა, რომ შეიძლება ერთ დღესაც მათთან ერთად გავიდე მოედანზე, ძლიერ მომხიბლა. ჩემდა საბედნიეროდ, დღეს უკვე ამ დიდი კლუბის წევრი ვარ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ძირითადში ჩემთვის ადგილი გარანტირებულია. ახლა კიდევ უფრო თავდაუზოგავი შრომა მომიწევს, რათა სასტარტო შემადგენლობაში ადგილი დავიკავო და შევინარჩუნო“ — განაცხადა გახარებულმა იორკმა.

საკმაოდ დამწუხრებული ჩანდა გუნდის ლიდერის დაკარგვის გამო „ასტონ ვილას“ თავმჯდომარე, დაგ ელისი: „არაფრის დიდებით არ გვინდოდა „იუნაიტედისთვის“ იორკის დათმობა, მაგრამ ვერაფერი გავაწყვეთ. მას დიდი სურვილი ჰქონდა მანჩესტერში გადაბარგებისა, რამაც ამ გარიგებაში მთავარი როლი შეასრულა. კი, ჩვენ შეგვეძლო მისი არგაშვება, დუაიტს „ვილასთან“ ხომ კიდევ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებდა, მაგრამ ფეხბურთელის ფიზიკურად შენარჩუნება ბევრს არ ნიშნავს, იგი მთელი თავისი ფიქრებით იქ უნდა იყოს, სადაც თამაშობს“ — აღნიშნა ელისმა.

ასეა თუ ისე, იორკი ამიერიდან „მანჩესტერ იუნაიტედის“ ღირსებას დაიცავს, თანაც იგი კლუბის ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშეც გახდა. მის გარდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოლდტრეფორდელებმა ჰოლანდიელი მცველი (მსოფლიოში უძვირფასესი ამ ამპულაში) იაპ სტამი და „პარმაში“ მოთამაშე შვედეთის ნაკრების ნახევარმცველი, იესპერ ბლომკვისტი გადაიბირეს. ეს უკანასკნელი ინგლისურ კლუბს 4,4 მილიონი გირვანქა დაუჯდა. ჯამში ალექს ფერგიუსონმა მხოლოდ სამი ახალბედას შესაძენად 27,75 მილიონი გირვანქა (!) გადაიხადა. მაგრამ, ეტყობა, ფული მას ნაკლებად ანაღვლებს, რადგან გუნდის დაკომპლექტებით მეტად კმაყოფილი ჩანს: „ახლა კარგად დაბალანსებული, ძლიერი გუნდი მყავს, რომლის თითოეულ რგოლში მსოფლიოს უძლიერესი ფეხბურთელები არიან. ასე რომ, „მანჩესტერ იუნაიტედი“ მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს“.



„იუნაიტედის“ თავმჯდომარე მარტინ ედვარდსი, დუაიტ იორკი და მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი კმაყოფილებას ვერ მალავენ

„ბოლო წლებში იმ თავდამსხმელთაგან, ვისაც ჩვენს წინააღმდეგ უთამაშია, ყველაზე დიდი პრობლემები სწორედ დუაიტმა შეგვიქმნა. იგი ორივე ფეხით შესანიშნავად თამაშობს, აქვს გოლის გატანის იდეალური ალღო და თანაც მოედნის ყოველ მონაკვეთზე თავგანწირულად იბრძვის. ვფიქრობ, მას ადაპტაციის პრობლემა არ შეექმნება და გუნდს მალე შეეწყობა“.

თავად 26 წლის ფორვარდმა ჟურნალისტებთან საუბარი „ასტონ ვილაში“ გატარებული წლების გახსენებით დაიწყო და აღნიშნა, რომ ბირმინგემში ცხრა „ფანტასტიური სეზონი“ გაატარა. ხოლო მას შემდეგ, რაც პირველად გაიგო ფერგიუსონის მისით დაინტერესების შესახებ, თურმე გამუდმებით „მანჩესტერ იუნაიტედზე“ ფიქრობდა: „მე

როგორ ხასიათზე იქნება იგი სეზონის ბოლოს, ამას მხოლოდ და მხოლოდ დრო გვიჩვენებს.

**ნოდარ ძასრაძე**

## მსოფლიოს უძვირფასესი ფეხბურთელები

| | ყოფილი კლუბი | ახლანდელი კლუბი | გადასვლის თარიღი | |
|---|---|---|---|---|
| დენილსონი | სან პაულუ | ბეტისი | ივლისი,97 | 21 მლნ £ |
| რონალდო | ბარსელონა | ინტერი | ივნისი,97 | 18 მლნ £ |
| ალან შირერი | ბლექბერნი | ნიუკასლი | ივლისი,96 | 15 მლნ £ |
| ჯანლუიჯი ლენტინი | ტორინო | მილანი | ივლისი,92 | 13 მლნ £ |
| ჯანლუკა ვიალი | სამპდორია | იუვენტუსი | ივნისი,92 | 12,5 მლნ £ |
| რონალდო | ეინდჰოვენი | ბარსელონა | ივლისი,96 | 12,5 მლნ £ |
| რივალდო | დეპორტივო | ბარსელონა | ივლისი,97 | 12,5 მლნ £ |
| დუაიტ იორკი | ასტონ ვილა | მანჩესტერი | აგვისტო,98 | 12 მლნ £ |
| ხუან ვერონი | სამპდორია | პარმა | ივლისი,98 | 12 მილიონი |
| ჟუნინიო | მიდლსბრო | ატლეტიკო (მად) | ივლისი,97 | 12 მლნ £ |
| კრისტიან ვიერი | იუვენტუსი | ატლეტიკო (მად) | ივლისი,97 | 12 მლნ £ |
| სონი ანდერსონი | მონაკო | ბარსელონა | ივლისი,97 | 12 მილიონი |
| მარსელო სალასი | რივერ პლეიტი | ლაციო | თებერვალი,98 | 12 მილიონი |

### ლივერპული

დაარსდა 1892 წელს
სტადიონი: ენფილდ როუდი, 41 000 მაყურებელი
ინგლისის ჩემპიონი: 1901, 1906, 1922, 1923, 1947, 1964, 1966, 1973, 1976, 1977, 1979, 1980, 1982, 1983, 1984, 1986, 1988, 1990
ინგლისის თასი: 1965, 1974, 1986, 1989, 1992
ინგლისის ლიგის თასი: 1981, 1982, 1983, 1984, 1985
ჩემპიონთა თასი: 1977, 1978, 1981, 1984
უეფას თასი: 1973, 1976
ყველაზე მეტი მატჩი: იან კალაჰენი 640 (1960-78)
ყველაზე მეტი გოლი: როჯერ ჰანტი 245 (1959-69)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე

### არსენალი

დაარსდა 1886 წელს, როგორც „დელ სკუერი“. 1886-91 წლებში „როიალ არსენალი“, 1891-1914 „ვულვიჩ არსენალი“, 1914 წლიდან „არსენალი“.
სტადიონი: ჰაიბერი, 38 500 მაყურებელი
ინგლისის ჩემპიონი: 1931, 1933, 1934, 1935, 1938, 1948, 1953, 1971, 1989, 1991, 1998
ინგლისის თასი: 1930, 1936, 1950, 1971, 1979, 1993, 1998
ინგლისის ლიგის თასი: 1987, 1993
უეფას თასი: 1970
თასების თასი: 1995
ყველაზე მეტი მატჩი: დევიდ ოლიირი 558 (1975-93)
ყველაზე მეტი გოლი: იან რაიტი 185 (1991-98)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი

# LIVERPOOL vs ARSENAL
# ისევ ენფილდზე და ისევ ლივერპულთან

დღეს პრემიერლიგაში უდიდესი დაპირისპირებაა — „ლივერპული“ ქვეყნის ჩემპიონ „არსენალს“ მასპინძლობს.

ლივერპულელებს ახლაც კარგად ახსოვთ ძველი წყენა. 1989 წელს, როცა თითქოსდა მათ გაჩემპიონებას ხელს აღარაფერი უშლიდა, ესტუმრა „ენფილდ როუდს“ „არსენალი“ და ოცნება წაართვა. ვერაფერს იტყვი, მეტად „თავხედური“ საქციელია სტუმრისგან. მაშინ, ჰილსბროს ტრაგედიის წელს, „ლივერპულს“ უკვე მოეგო ასოციაციის თასი და ბოლო სამ წელიწადში დუბლის მეორედ შესრულებას ლამობდა, თუმცა მერსისაიდელთა ცდას შედეგი არ მოჰყოლია. „ლივერპულის“ დუბლს ასრულება არ ეწერა.

...1989 წლის 26 მაისს ლივერპულში, „ენფილდ როუდზე“, ინგლისის ჩემპიონი უნდა გამოვლენილიყო. „არსენალთან“ რვაქულიანი ჩამორჩენის გაბათილების შემდეგ პირველობას უმეტესობა „ლივერპულს“ უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ ქომაგთა წინათგრძნობა არ გამართლდა. მოხდა ის, რამაც ეშინოდათ ლივერპულელებს და ის, რაშიც „არსენალი“ გააჩემპიონა — ინგლისის ყველაზე ტიტულოვან გუნდს ჩემპიონობისთვის ერთბურთიანი მარცხიც (!) ჰყოფნიდა, მასპინძლებმა კი სტუმრებთან 0:2 წააგეს, არადა, შესვენებისთვის ანგარიში ნულოვანი იყო. მეორე ტაიმში „არსენალმა“ გაილაღა — ჯერ იყო და ალან სმიტმა გახსნა ანგარიში, მერე კი რამდენიმე წლის შემდგომ „ლივერპულში“ გადაბარგებულმა მაიკლ ტომასმა სხვაობა ორამდე გაზარდა. ჩემპიონობა „მეთოფეებს“ დარჩათ. „წითლები“ კი პირში ჩალაგამოვლებულები დარჩნენ. „არსენალისთვის“ ტკბილადმოსაგონარი ეს ისტორია ლივერპულელთა ქომაგებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ ამბად ითვლება.

საინტერესოა, ვინ მოიგებს? „ლივერპულიც“ და „არსენალიც“ ძლიერი კლუბებია, ახალი სეზონი ორივემ გამარჯვებით, რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, ერთნაირი ანგარიშით — 2:1 მოგებით დაიწყო, ერთი სიტყვით, ჭირს გამარჯვებულის წინასწარ დასახელება. ისე, თუ ლივერპულში მასპინძლებისა და ლონდონელი „მეთოფეების“ ბოლო ოთხ პრემიერლიგურ დაპირისპირებას გავითვალისწინებთ, უპირატესობა, თანაც აშკარა, ჟერარ ულიეს და როი ევანსის ბიჭებს უნდა მივანიჭოთ: 4:0, 2:0, 3:1, 3:0 — აი, ის ანგარიშები, რომლითაც ბოლო ოთხი ჩემპიონატის მანძილზე „ლივერპული“ შინ „არსენალს“ უსწორდება. ძალიან საინტერესოა, დღეს რა მოხდება.

— არ მეგონა, არსენი ორ წელიწადში ამხელა წარმატებას თუ მიაღწევდა. [illegible]

მწვრთნელს ჟერარ ულიეს დიდი იმედი აქვს, რომ მისი კლუბი შინ, „არსენალთან“, შთამბეჭდავი გამარჯვებების სერიას გააგრძელებს. საინტერესოა, რას ფიქრობს ამაზე არსენ ვენგერი:

— ხშირად ხდება ხოლმე, როცა ჩემპიონი ხდები, მომდევნო პირველობა უფრო ძნელად გეჩვენება, მაგრამ საქმე ასე სრულიადაც არაა. პრემიერლიგის მოგებას უდიდესი ძალა და ენერგია შევალიეთ, დარწმუნებული ვარ, ახლაც ასე იქნება. რაც შეეხება მომავალ თამაშს, ვფიქრობ, ურთულესი დაპირისპირება გველის. „ლივერპული“ წლეულს მართლაც ძლიერი უნდია, ჩემპიონობისთვის ბრძოლა რომ ძალუძს ისეთი, მაგრამ ნუ გგონიათ, რომ ჩვენ დავსუსტდით. პირიქით. ძალას მაშინ ამტკიცებ, მოგებულის შენარჩუნებას რომ შეძლებ! ულიეს თანამემამულე, როგორც ჩანს, კვლავ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. ისე, ინგლისის ჩემპიონატების ისტორიაში ჯერ არ მომხდარა, გუნდს არაბრიტანელი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ზედიზედ ორი ჩემპიონატი მოეგოს.

როი ევანსის „ლივერპულში“ მოღვაწეობის პერიოდში კლუბი შემტევი ფეხბურთით გამოირჩეოდა, თუმცა დაცვაში ნაპრალებითაც ხასიათდებოდა, რის გამოც ისეთ მეტოქეებთან მარცხდებოდა, სეზონის ბოლოს ჩემპიონობის დაკარგვად რომ უღირდა. ქარს გატანებული ქულები — აი ის, რაც ლივერპულელთა აქილევსის ქუსლს წარმოადგენს. საინტერესოა, თუ შეიცვლება რაიმე ჟერარ ულიეს თავკაცობისას. ძნელია, გუნდის ძალასა და [illegible]ზე ერთი შეხვედრით იმსჯელო, თუმცა პირველ ტურში, „საუთჰემპტონთან“ სტუმრად მოგებულ შეხვედრაში ნათლად გამოიკვეთა „ლივერპულისთვის“ ერთი მეტად დამახასიათებელი რამ — გუნდში შესანიშნავადაა შერწყმული თავდასხმის და ნახევარდაცვის ხაზები, რაც მეტოქეებს ძალიან დიდ ხიფათს უქმნის და ეჭვი არაა, კიდევ შეუქმნის.

მერსისაიდელების პლუსად ყოველთვის ითვლებოდა სწრაფი თამაში, უცაბედი შეტევები, ერთი სიტყვით, ის, რაც სისწრაფეს უკავშირდება. ამასთანავე „ლივერპული“ მუდამ შემტევი გუნდი გახლდათ, განსაკუთრებით „არსენალისგან“ განსხვავებით. ახალ სეზონში ვის რა ტაქტიკა აურჩევია, ამას მომავალი ჩემპიონატი დაგვანახებს, თუმცა ის, რომ ჩვეულის დავიწყება მეტოქეთ კარგს არაფერს მოუტანს, ფაქტია. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მასპინძელთა თავდასხმა — მაიკლ ოუენი, კარლ ჰაინც რიდლე, სტივ მაკმანამანი, ამას დაუმატეთ შუახაზელები პოლ ინსი და ჯეიმი რედნაპი და უმალ თვალშისაცემი გახდება ენფილდროუდელთა „დარტყმის ძალა“. არაა გამორიცხული ლივერპულელთა ახალწვეულმა შონ დანდიმ დიდი როლი ითამაშოს გუნდის შედეგიანობის გაზრდაში.

„მეთოფეთა“ დადებით მხარეს ერთ მუშტად შეკრული გუნდი წარმოადგენს. „არსენალი“ ჭეშმარიტად გუნდია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ძნელია პრემიერლიგაში მოძებნო მეორე ისეთი კლუბი, სადაც ფეხბურთელები ასე არიან ერთმანეთთან შეთამაშებულნი. „არსენალი“ მობილურია და ხშირ შემთხვევაში მათ ძალისმიერი თამაში ტოტალურ ფეხბურთსაც გვაგონებს. დენის ბერხკამპი, მარკ ოვერმარსი მსოფლიოს ჩემპიონი ემანუელ პეტი და პატრიკ ვიეირა ძალიან დიდ ძალას წარმოადგენენ. გუნდს ნაკლი, თუ უმნიშვნელო ხარვეზებს არ ჩავთვლით, ფაქტობრივად არც გააჩნია, მაგრამ არაა გამორიცხული, კლუბის ლეგიონერების ზედმეტად გადატვირთულმა სეზონმა მათ თამაშს დაღი დაასვას, ეს კი, ცხადია, „არსენალის“ შედეგებზეც ერთობ იმოქმედებს.

...პირველად მეტოქენი 1905-06 წლების სეზონში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მაშინ „ლივერპულმა“ 3:0 დაამარცხა „არსენალის“ წინამორბედი „ვულვიჩ არსენალი“, იმ წელს კი, საბოლოოდ ჩემპიონობასაც შესწვდა. 92 წლის წინანდელი მატჩიც სწორედ 22 აგვისტოს შედგა...

**ლაშა გოდუაძე**



მაიკლ ოუენი (წინა პლანზე) შარშანაც დასდევდნენ...

# ის გამოვიდა

მოსახდენი მოხდა: მილიონობით ბრიტანელმა ქომაგმა გლენ ჰოდლის ერთობ გაკრიტიკებული და უამრავთაგან სკანდალურად შერაცხული წიგნი — „მოთხრობა 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე" იხილა. გუშინწინ, 20 აგვისტოს, ინგლისის ნაკრების მწვრთნელის წიგნის პრეზენტაცია შედგა.

ორი კვირაა, ჰოდლის ქმნილება საყოველთაო განსჯის საგნად იქცა. ორი კვირაა, გულშემატკივრები, ფეხბურთის სპეციალისტები და ფეხბურთზე მწერლები, თვით ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებიც კი, ამ წიგნზე საუბრობენ. მითქმა-მოთქმა არ წყდება.

გაზეთ „სანში" დაბეჭდილმა წიგნის რამდენიმე თავმა ხალხში უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა. ზოგი ჰოდლის მიმართ კეთილად განეწყო, ზოგმაც მწვრთნელზე აზრი იცვალა. ეს მოსალოდნელიც გახლდათ. რამდენი ადამიანიცაა, იმდენი განსხვავებული აზრია, ჰოდა, რაღა გასაკვირია, მწვრთნელი ბევრმა რომ გააკრიტიკა.

რამდენიმე დღის წინ ჰოდლმა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდგომ ნაკრების პირველი შეკრება მოაწყო. „ბიშემ ებიში" შეკრებილ მოთამაშეებს, თითო-ოროლას გარდა, მწვრთნელის წიგნის თაობაზე ბევრი არ უმსჯელიათ. არც თავად ავტორს გამოუდვია თავი მაინცდამაინც მისი გარჩევით. ვინმეს რაიმე შენიშვნა ხომ არ გაქვთო — უკითხავს გლენს ფეხბურთელებისთვის, მათაც ბევრი არაფერი უთქვამთ და საუბარიც ახალშობილ, ვითომდა სკანდალზე ამით დასრულებულა.

ინგლისელებს და ინგლისში მცხოვრებ გადამთიელებს წიგნის — „მოთხრობა 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე" შეძენა უკვე შეუძლიათ, ჩვენ კი, ქართველი გულშემატკივრები, სანამ ჰოდლის მოგონებებს წიგნად გავეცნობოდეთ, მოდით, ჯერჯერობით ერთი თავით დავკმაყოფილდეთ, იმ ნაწილით, ძირითადად დევიდ ბექემს, ჰოდლის ფსიქოლოგს, მავანთაგან გრძნეულ ქალად შერაცხულ ეილინ დრიუვერს და ამათ ურთიერთობებს რომ ეხება. დანარჩენი შეძლებისდაგვარად მომავალში იყოს.

## ბექემს ეილინი ისე სჭირდება, როგორც არასდროს

*მე ყველას ვურჩევდი, ენახა ეილინ დრიუვერი, მაგრამ ნაკრებში ჩემი მოღვაწეობის ორწლიან მონაკვეთში მხოლოდ ფეხბურთელთა მესამედმა დამიჯერა*

მათ შორის, ვინც ეილინ დრიუვერს ესტუმრა, დევიდ ბექემიც იყო. მაშინ, მსოფლიოს ჩემპიონატამდე საკმაო ხნით ადრე, ერთ-ერთი ამხანაგური მატჩის წინ დევიდს ვურჩიე, ეილინთან მისულიყო. იმ ხანებში მას ფეხის მყესის ტრავმა ტანჯავდა. მეცოდებოდა. ეილინთან სხვებიც დადიოდნენ. დევიდი მარტო არ იყო.

ძალიან საინტერესო იყო ეილინისგან დაბრუნებული ფეხბურთელების ნახვა და მათთან გასაუბრება. ზოგს სწამდა ქალის ნათქვამი, ბევრიც ხუმრობად აღიქვამდა ყოველივეს და გართობის მიზნით ამ ვიზიტებს არ წყვეტდა. ისინი, ვინც ირწმუნა დრიუვერის ნათქვამი, სულიერად გამოჯანმრთელდნენ, ხოლო მათ, ვინც ყურად არ იღო მისი რჩევა, არაფერი ეშველათ.

შენ უნდა აღიქვა ის, რასაც ეილინი გეუბნება. უნდა იფიქრო მასზე, ყოველ სიტყვას ჩაუღრმავდე, უნდა ეცადო, გაითავისო ნათქვამი და მის დედააზრსაც ჩაწვდები. მიხვდები, რომ შეიძლება მართლაც, სულ მალე გამოჯანმრთელდე, ცხოვრება უკეთესობისკენ შეგეცვალოს.

18 წლის ვიყავი, ეილინთან პირველად რომ მივედი. მაშინ მან მიხსნა. მას შემდეგ, როცა რაიმეს გარკვევა მსურდა, ეილინს მუდამ ვეკითხებოდი აზრს და ისიც მეხმარებოდა. ნაკრების მწვრთნელად რომ დამნიშნეს, ერთ-ერთ პირველივე შეკრებაზე ბიჭებს დავეკითხე, ვინმეს ეილინის ნახვა ხომ არ გსურთ-მეთქი. ზოგი არ წამომყვა, ზოგი კი, მათ შორის ლეს ფერდინანდი, იან რაიტი, სოლ კემპბელი და დარენ ანტერტონი ჩემს რჩევას ენდნენ.

* * *

*როდესაც ფეხბურთელები ეილინისგან ბრუნდებოდნენ, განსხვავებულნი ჩანდნენ — საგრძნობლად მხიარულნი, ენთუზიაზმით აღსავსე*

ნაკრების შეკრების დროს ფეხბურთელები ეილინთან ხშირად მიდიოდნენ ხოლმე. ზოგ-ზოგიერთი მიხვდა, რომ მის საუბრებს სიკეთე მოჰქონდა. პროგრესიც თვალშისაცემი გახდა.

ამის ნათელი მაგალითია ტოტენჰემელი დარენ ანდერტონი. სანამ იგი ეილინთან სიარულს დაიწყებდა, თითქმის ერთი წელიწადი ვერ თამაშობდა. „ტოტენჰემის" მწვრთნელ ჯერი ფრენსისს შევხვდი, მასაც სმენოდა ეილინის შესახებ. სხვათა შორის, ფრენსისის „ქუინზ პარკ რეინჯერსში" მოღვაწეობის დროს ეილინმა დერი მედიქსი განკურნა. მოკლედ არც შევყოვნებულვართ და დარენს ეილინის ნახვა ვურჩიეთ.



რამდენიმე მეტ-ნაკლებად შედეგიანი ოპერაციის შემდეგ, რაც დარენს თითქმის ერთწლიან უმოქმედობად დაუჯდა, იგი ესტუმრა ეილინს. პირველი შთაბეჭდილებები იმდენად ძლიერი და სიკეთის მომტანი აღმოჩნდა, რომ დარენი ჩვენს უკითხავად ხელახლა ესტუმრა მას. ანდერტონის ფიზიკური მდგომარეობა თანდათან უმჯობესდებოდა და მანაც ეილინთან სიარულს მოუხშირა — თავიდან ორ კვირაში ერთხელ დადიოდა, შემდეგ ყოველ კვირას, მერე კვირაში ორჯერ. რაც მთავარია, შედეგი იგრძნობოდა, სასიკეთო ძვრები იყო და რატომ უნდა შეჩერებულიყო?

დარენ ანდერტონი ერთ-ერთია ფეხბურთელთა იმ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფიდან, ეილინს მუდმივად რომ სტუმრობს და შედეგსაც, ცხადია, სასიკეთოს, იმკის.

* * *

*ხალხმა რომ გაიგოს, რამდენი ადამიანი სტუმრობს ეილინს, განცვიფრდება. ფეხბურთელთა გარდა დრიუვერი დახმარების ხელს სხვებსაც უწვდის*

ეილინი არ არის წმინდანი ან ღმერთისგან მოვლენილი წმინდა სული. იგი ერთი ჩვეულებრივი ქალია, აქვე, ჩვენს გვერდით რომ ცხოვრობს. მას სხვებისგან მხოლოდ უფლისგან ბოძებული ნიჭი და ამ ძალის კეთილად გამოყენების უნარი გამოარჩევს. ეს ძალაუფლება სიყვარულთანაა შერწყმული და შედეგად ის სიკეთე მოაქვს, ხალხს, ჩვენს მეგობრებს, ახლობლებს რომ ახარებს.

ვხედავთ ღმერთს? — ვერა, მაგრამ გვწამს მისი, ვხედავთ უფლის კეთილ საქმეებს. დაახლოებით ასეა ეილინის შემთხვევაშიც. მთავარია, იწამო მისი კეთილი ძალა და შენ საქმე ჩინებულად წავიდა, თავს ბედნიერად იგრძნობ. განეწყვე პატივისცემით მის მიმართ და წარმატება შენი მუდმივი თანამდევი იქნება.

საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების წინ ყველას ვურჩევდი, ეილინი მოენახულებინათ, დევიდ ბექემს კი დაჟინებით მოვთხოვე.

ტურნირამდე რამდენიმე დღით ადრე ბექემს ვესაუბრე. მოგვიანებით მივხვდი, რომ მას იგივე პრობლემა აწუხებდა, რაც პოლ გესქოინს 1990 წელს. ვიგრძენი, რომ დევიდს სჭირდებოდა ადამიანი, არა თანაგუნდელი, არა ოჯახის წევრი, არამედ სულ სხვა, ვიღაც, რომელსაც იგი დარდს გაუზიარებდა, გულისნადებს ეტყოდა. ასეთად სწორედ ეილინი მივიჩნიე.

სამწუხაროდ, ბექემმა ჩემი რჩევა ყურად არ იღო. უფრო სწორად, ესტუმრა დრიუვერს, მაგრამ საკითხს სერიოზულად არ მიუდგა, მსოფლიოს ჩემპიონატზე იმავე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში გაემგზავრა, როგორშიც მანამდე იყო და შედეგიც საკადრისი მიიღო. საფრანგეთი 98-ის შემდეგ დევიდი ეილინს აღარ შეხვედრია, მას შემდეგ კი ბიჭს ცხოვრება აერია. ხალხმაც აითვალწუნა.

დევიდს სწორედ ახლა სჭირდება ჩვენი თანადგომა, ეილინის დახმარება. უდიდესი ფსიქოლოგიური ბარიერი — აი, რა ვერ გადალახა ბექემმა! ის შეცდომაც, მერვედფინალში რომ დაუშვა, გარკვეულწილად გაუწონასწორებელი ფსიქოლოგიური მდგომარეობის ბრალი იყო. იმ შემთხვევას მოჰყვა ის, რომ ფანებმა დევიდი მსოფლიოს ჩემპიონატიდან ინგლისის გამოვარდნაში უმთავრეს დამნაშავედ ჩათვალეს.

დევიდს არაერთხელ ვთხოვე, ეილინთან მისულიყო. იგი არ მივიდა, არ დამიჯერა. ახლა თქვენ გთხოვთ, გულშემატკივრებო: ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონატზე მერვედფინალს რომ ვერ გასცდა, ეს მხოლოდ დევიდის ბრალი არაა, ამაში ჩვენ, ყველანი ვართ დამნაშავენი. უაზრობა იქნება მარცხში მარტო დევიდი დავადანაშაულოთ.

* * *

*ეშმაკმა დალახვროს, ის ტალანტია. მის კლუბს სჭირდება იგი, ინგლისს სჭირდება დევიდი. ჩვენ არ გვინდა, ის დავკარგოთ*

დევიდმა ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლოს, ოღონდ არა მსაჯთან და მეტოქეებთან კამათი. მან ეს ისედაც ჩინებულად იცის.

ადამიანები ვართ და კარგად ვუწყით, რომ ცხოვრებაში შეიძლება ყველაფერი მოხდეს. გულს ვერ უბრძანებ, ვინ შეიყვაროს. ძალიან მიხარია, დევიდს ვიქტორია ადამსი რომ უყვარს, მაგრამ გადამეტებულიც არაფერი ვარგა.

დევიდი ტუნისთან მატჩში რომ არ ვათამაშე, ბევრმა ვერ გამიგო. ვიგრძენი, რომ იგი კონცენტრირებული არ იყო და სხვა ვამჯობინე. როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობ, გარკვეული დროის განმავლობაში სხვა ყველაფერი უნდა დაივიწყო. დევიდმა ეს კარგად ვერ გაათვითცნობიერა. სეზონის მიწურულს მან გარკვეულწილად ჩვეული ფორმაც დაკარგა, რასაც სათანადო შედეგი მოჰყვა.

ცუდად ნუ გამიგებთ — დევიდი მართლაც ძლიერი მოთამაშეა, მაგრამ მაშინ უნდა დაგვესვენებინა. ის რომ სათანადოდ მომზადებული ყოფილიყო, დარენ ანდერტონის ნაცვლად ვათამაშებდი, თუმცა...

კარგად ვიცი, რომ ჩემი გადაწყვეტილება დევიდისთვის დამთრგუნველი იყო, ამიტომ მასთან პირისპირ საუბარი ვარჩიე. მე ჩემი მიზეზები ავუხსენი. გარდა ამისა, დავუსახელე ოთხი ფაქტორი, რომელთა გამოც შეიძლება ძირითადი შემადგენლობა შემეცვალა — ტრავმა, დისკვალიფიკაცია, ტაქტიკა და ფსიქოლოგიური და მორალური განწყობილება. ის მისმენდა და თითქოს მეთანხმებოდა, მაგრამ, ვეჭვობ, რომ ასე იყო.

მერვედფინალში, არგენტინასთან მატჩში, იგი სიმეონემ წააქცია. მაშინ, როცა დევიდს თავი ჯერ კიდევ მინდორში ჰქონდა ჩარგული, დავინახე, როგორ ასწია ფეხი და როგორ წაიქცა სიმეონე. არგენტინელი ფეხბურთელი ათი სანტიმეტრით მოშორებით რომ მდგარიყო, ეგებ არც არაფერი მომხდარიყო, მაგრამ ამას უკვე არანაირი აზრი არ აქვს.

რა თქმა უნდა, სიმეონემ სიტუაცია ძალიან გაამუქა, ისე დაიმანჭა, თითქოს ფეხი მოიტეხა, მაგრამ ეს დევიდის სასარგებლოდ სულაც არ მეტყველებს. მას არაფრით არ უნდა გაეკეთებინა ის, რაც მოიმოქმედა.

როცა დავინახე, რაც მოხდა, გავიფიქრე: „რას შვრები?". ბევრჯერ ვაფრთხილებდით დევიდს, პროვოკაციაზე არ წამოგებულიყო, მან კი... და მაინც, წითელ ბარათს არ მოველოდი — მეგონა, გააფრთხილებდნენ და მორჩა, მაგრამ იგი გააძევეს. ასეთია ბრძოლა უხეშობის წინააღმდეგ...

თავზარი დამეცა. ძალიან გავბრაზდი დევიდზე, უფრო მეტად მსაჯზე: პირველ ტაიმში მაიკლ ოუენის წაქცევისთვის დანიშნული პენალტის დროს არგენტინელი არ გააგდო, ახლა კი ეს. თუმცა რა ბედენაა, მსაჯის გადაწყვეტილებას ვინ შეცვლიდა?

იმწამს ერთი რამ დამამახსოვრდა — დევიდი მინდვრიდან მაისურგახდილი გადის. თვალებით გასახდელისკენ მიმავალ გვირაბს მისჩერებია და არ შესწევს ძალა, მე ან რომელიმე თანაგუნდელს შეხედოს. ეს განწირულის გამოხედვა იყო.

ამის შემდეგ მას მხოლოდ გასახდელში შევხვდი. იქ, ოთახში, აბსოლუტური სიჩუმე გამეფებულიყო და მივხვდი, რომ საუბრის დრო არ იყო. სამარისებული სიჩუმე ბოლოს ისევ მე დავარღვიე: „თქვენ ყველაფერი გააკეთეთ, რაც შეგეძლოთ, სამწუხაროა, რომ ბედმა მეტოქეს გაუღიმა. მარცხში ერთი ვინმე არაა დამნაშავე, ეს მატჩი ყველამ წავაგეთ. თითოეული თქვენგანი თავაწეული ეთხოვება მსოფლიოს ჩემპიონატს" — ეს იყო და ეს, რაც მაშინ ვთქვი.

მეორე დილით, როდესაც „კონკორდით" შინ ვბრუნდებოდით, დევიდთან საუბრის საშუალება მომეცა. თვითმფრინავის შუაგულში ერთად მოვხვდით და მან წინა დღის საქციელისთვის ბოდიში მომიხადა. მე მივუგე, რომ მისმა ნათქვამმა ძალიან გამახარა. ამავდროულად ვუთხარი, რომ დრო იყო, ბოლო მოღებოდა მის უაზრო გამოხდომებს. მისთვის, საქმისთვის და საერთოდ, ყველასთვის ასე აჯობებდა. მე მას თანადგომა აღვუთქვი, ახლაც და მომავალშიც, ნაკრებშიც და კლუბშიც. მან არ მიპასუხა. იმედია, მისახვედრს მიხვდა და გასაგები გაიგო.

* * *

*მიზეზი, რის გამოც ეილინი საფრანგეთში ვერ ვიახლეთ*

ახლა, როცა ყველაფერი დასრულდა, ვხვდები, რომ უდიდესი შეცდომა დავუშვი — ეილინი საფრანგეთში თავიდანვე არ ვიახლე.

გადავწყვიტეთ იგი მსოფლიოს ჩემპიონატზე მერვედფინალის შემდეგ ჩამოსულიყო. ყველა საკითხი წინასწარ იყო მოგვარებული, მაგრამ რად გინდა? არგენტინასთან მარცხის შემდეგ ყველაფერს აზრი დაეკარგა.

ეილინის იქ ყოფნა გუნდს ძალიან წაადგებოდა, გნებავთ, ფიზიკურად, გნებავთ, მორალურად.

მწვრთნელი ის კაცია, რომელსაც სულიერად დათრგუნული ფეხბურთელები ყველაზე ბოლოს მიმართავენ, ამიტომაც იყო ასეთ თემაზე მსოფლიოს ჩემპიონატის დროს რომ არავინ დამელაპარაკა. ეილინი იქ რომ ყოფილიყო, მოთამაშეებს იმედს გაუღვივებდა, ფსიქოლოგიური პრობლემების უმეტესობაც ადვილად მოგვარდებოდა.

ეილინი ფეხბურთელებს, განსაკუთრებით კი ბექემის დარ ბიჭებს საფრანგეთში ყოველდღე რომ მოენახულებინათ, შედეგი დარწმუნებული ვარ, სულ სხვა იქნებოდა.

ეილინი გაჭირვებულთა ირგვლივ მოკვდავთათვის უხილავ, ბოროტთათვის კი გადაულახავ ენერგეტიკულ ბადეს ქმნის. დადებითი მუხტის წყალობით დავრდომილნი და გაჭირვებულნი რამდენიმე დღეში სრულიად გარდაიქმნებიან. ეილინი საფრანგეთში რომ გვეახლა, ეს ჩვენთვის დამატებითი სტიმული იქნებოდა.

**"THE SUN"**

**თარგმნა ლუკა გოდუაძემ**

## ფული მე მინდაო!

კარლ ჰაინც რუმენიგე, მიუნხენის „ბაიერნის" ვიცე პრეზიდენტი და წარსულის დიდებული ფეხბურთელი ამტკიცებს, რომ ევროპული სუპერლიგა, მოსწონს ეს უეფას თუ არა, მაინც დაარსდება.

— ევროლიგა მოდის, ერთადერთი გასარკვევი ისღა რჩება, ვინ უხელმძღვანელებს მას, უეფა თუ საკუთრივ კლუბების მიერ შექმნილი რაიმე ორგანიზაცია, ანუ თავად კლუბები — განაცხადა გერმანიის ეროვნული გუნდის ყოფილმა ვარსკვლავმა ბიზნესის ჟურნალ „ვერბენ უნდ ვერკაუფენთან" საუბრისას.

ცნობილია, რომ უეფამ ერთი ხნის წინ განაცხადა, რომ მალე საზოგადოებრიობას შესთავაზებს ევროლიგის საკუთარ ვერსიას, ბევრმა სახელგანთქმულმა კლუბმა კი დაადასტურა, რომ მოაწილეობს ლიგის შექმნაში. მათ ისიც განაცხადეს რომ ამ საკითხში მჭიდროდ თანამშრომლობენ უეფასთან.

ამასთან დაკავშირებით რუმენიგემ ბრძანა, რომ უსინდისობაა უეფას მხრივ შემოსავლის ახალ წყაროსთან მიცუცქება.

— დიდი კლუბები თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ, რადგან ის რაც წესითა და რიგით მათ ეკუთვნის, უეფასი ხდება ხოლმე. კერძოდ, ევროლიგა უდიდესი თანხების შემომტანი გახდება და გაუგებარია, რატომ უნდა დაეპატრონოს ამ ფულს გარეშე ორგანიზაცია — დასძინა რუმენიგემ.

ჟურნალი ყურადღებას ამახვილებს, რომ მომავალი ლიგა საშუალოდ 1,94 მილიარდი დოლარის შემომტანი გახდება.

„ბაიერნის" კომერციული მენეჯერი, წარსულში რუმენიგეს თანაგუნდელი ეროვნულ გუნდში, ული ჰიონესი აცხადებს, რომ შეჯიბრება, რომლის ირგვლივ ამოდენა ამბავია ატეხილი, 2000 წელს დაიწყება და მასში ითამაშებს 32 გუნდი, რომელთაგან 16-ის ვინაობა ავტომატურად გაირკვევა.

რუმენიგე ბრძანებს, რომ ევროლიგის პროექტი საუცხოოდაა მომზადებული.

ცნობილია ისიც, რომ გერმანული ბუნდესლიგის ჩემპიონი „კაიზერსლაუტერნი" არ იზიარებს მიუნხენელი ბობოლების აღტაცებას და აცხადებს, რომ ევროლიგა ეროვნულ ჩემპიონატს დააკნინებს.

**EURO 2000**

**ჩვენი ჯგუფი**

ოლე გუნარ სოლსკიაერი ის ფეხბურთელია, რომელმაც ნორვეგიული „მიოლდედან" ინგლისურ „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლით ძალიან გაითქვა სახელი. სხვათა შორის, სოლსკიაერმა „იუნაიტედს" 1996 წლის სწორედ იმ დღეებში მიაშურა, როდესაც „მიოლდე" თბილისში უნდა ჩამოსულიყო „დინამოსთან" სათამაშოდ.

## გაისად ლონდონელი შეგვიტევს

პრემიერლიგაში პირველი სეზონი ნორვეგიელმა ფეხბურთელმა ჩინებულად ჩაატარა, მაგრამ შემდეგ ის მრავალრიცხოვანმა ტრავმებმა დატანჯა და... წუხანდელი ცნობის თანახმად მანჩესტერის გუნდმა სოლსკიაერი ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსპურს" მიჰყიდა. ლონდონელებმა მასში 5,5 მილიონი დოლარი გადაიხადეს. არადა, ცოტა ხნის წინ „იუნაიტედის" მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი ამბობდა, რომ არ სურს ნორვეგიელის გაყიდვა, ფეხბურთელი კი „ოლდ ტრეფორდის" ერთგულებას ფიცულობდა.

საგულისხმოა, რომ სოლსკიაერის გასხვისებამდე „მანჩესტერ უინაიტედმა" „ასტონ ვილასგან" დუაიტ იორკი იყიდა.

ამრიგად, თუ კიდევ რამე არ შეიცვალა, გაისად საქართველოსა და ნორვეგიის ნაკრებების შეხვედრისას, მეტოქის განაცხადში სოლსკიაერის გვარის გასწვრივ ეწერება „ტოტენჰემ ჰოტსპური".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბელგიის ჩემპიონატის პრიზიორები

1896 ლიეჟი, როიალ ანტვერპენი, ბრიუსელი
1897 რასინგი, ლიეჟი, როიალ ანტვერპენი
1898 ლიეჟი, რასინგი, ლეოპოლდი
1899 ლიეჟი, რასინგი, ლეოპოლდი
1900 რასინგი, როიალ ანტვერპენი, ბრიუსელი
1901 რასინგი, ბეერშო, ლეოპოლდი
1902 რასინგი, ლეოპოლდი, უნიონი
1903 რასინგი, უნიონი, ბეერშო
1904 უნიონი, რასინგი, ბრიუგე
1905 უნიონი, რასინგი, ბრიუგე
1906 უნიონი, ბრიუგე, რასინგი
1907 უნიონი, რასინგი, ბრიუგე
1908 რასინგი, უნიონი, ბრიუგე
1909 უნიონი, დარინგი, ბრიუგე
1910 უნიონი, ბრიუგე, სერკლ ბრიუგე
1911 სერკლ ბრიუგე, ბრიუგე, დარინგი
1912 დარინგი, უნიონი, რასინგი
1913 უნიონი, დარინგი, რასინგი
1914 დარინგი, უნიონი, სერკლ ბრიუგე
1915 არ გათამაშებულა
1916 არ გათამაშებულა
1917 არ გათამაშებულა
1918 არ გათამაშებულა
1919 არ გათამაშებულა
1920 ბრიუგე, უნიონი, დარინგი
1921 დარინგი, უნიონი, ბეერშო
1922 ბეერშო, უნიონი, ანტვერპენი
1923 უნიონი, ბეერშო, სერკლ ბრიუგე
1924 ბეერშო, უნიონი, სერკლ ბრიუგე
1925 ბეერშო, ანტვერპენი, უნიონი
1926 ბეერშო, სტანდარდი, დარინგი
1927 სერკლ ბრიუგე, ბეერშო, სტანდარდი
1928 ბეერშო, სტანდარდი, სერკლ ბრიუგე
1929 ანტვერპენი, ბეერშო, რასინგ მეჰელენი
1930 სერკლ ბრიუგე, ანტვერპენი, რასინგ მეჰელენი
1931 ანტვერპენი, მეჰელენი, ბერშემი
1932 ლიერსი, ანტვერპენი, უნიონი
1933 უნიონი, ანტვერპენი, სერკლ ბრიუგე
1934 უნიონი, დარინგი, სტანდარდი
1935 უნიონი, ლიერსი, დარინგი
1936 დარინგი, სტანდარდი, უნიონი
1937 დარინგი, ბეერშო, უნიონი
1938 ბეერშო, დარინგი, უნიონი
1939 ბეერშო, ლიერსი, შარლერუა
1940 არ გათამაშებულა
1941 არ გათამაშებულა
1942 ლიერსი, ბეერშო, ანტვერპენი
1943 მეჰელენი, ბეერშო, ლიერსი
1944 ანტვერპენი, ანდერლეხტი, ბეერშო
1945 არ გათამაშებულა
1946 მეჰელენი, ანტვერპენი, ანდერლეხტი
1947 ანდერლეხტი, შარლერუა, მეჰელენი
1948 მეჰელენი, ანდერლეხტი, ლიეჟი
1949 ანდერლეხტი, ბერშემ სპორტი, სტანდარდი
1950 ანდერლეხტი, ბერშემ სპორტი, რასინგ მეჰელენი
1951 ანდერლეხტი, ბერშემ სპორტი, რასინგ მეჰელენი
1952 ლიეჟი, რასინგ მეჰელენი, ანტვერპენი
1953 ლიეჟი, ანდერლეხტი, ბეერშო
1954 ანდერლეხტი, მეჰელენი, გენტი
1955 ანდერლეხტი, გენტი, სტანდარდი
1956 ანდერლეხტი, ანტვერპენი, უნიონი
1957 ანტვერპენი, ანდერლეხტი, გენტი
1958 სტანდარდი, ანტვერპენი, გენტი
1959 ანდერლეხტი, ლიეჟი, სტანდარდი
1960 ლიერსი, ანდერლეხტი, უოტერში
1961 სტანდარდი, ლიეჟი, ანდერლეხტი
1962 ანდერლეხტი, სტანდარდი, ანტვერპენი
1963 სტანდარდი, ანტვერპენი, ანდერლეხტი
1964 ანდერლეხტი, ბერინგენი, სტანდარდი
1965 ანდერლეხტი, სტანდარდი, ბეერშო
1966 ანდერლეხტი, სენტ ტრუიდენსი, სტანდარდი
1967 ანდერლეხტი, ბრიუგე, ლიეჟი
1968 ანდერლეხტი, ბრიუგე, სტანდარდი
1969 სტანდერდი, შარლერუა, ლიერსი
1970 სტანდარდი, ბრიუგე, გენტი
1971 სტანდარდი, ბრიუგე, ანდერლეხტი
1972 ანდერლეხტი, ბრიუგე, სტანდარდი
1973 ბრიუგე, სტანდარდი, რასინგ უაიტი
1974 ანდერლეხტი, ანტვერპენი, მოლენბეკი
1975 მოლენბეკი, ანტვერპენი, ანდერლეხტი
1976 ბრიუგე, ანდერლეხტი, მოლენბეკი
1977 ბრიუგე, ანდერლეხტი, სტანდარდი
1978 ბრიუგე, ანდერლეხტი, სტანდარდი
1979 ბევერენი, ანდერლეხტი, სტანდარდი
1980 ბრიუგე, სტანდარდი, მოლენბეკი
1981 ანდერლეხტი, ლოკერენი, სტანდარდი
1982 სტანდარდი, ანდერლეხტი, გენტი
1983 სტანდარდი, ანდერლეხტი, ანტვერპენი
1984 ბევერენი, ანდერლეხტი, ბრიუგე
1985 ანდერლეხტი, ბრიუგე, ლიეჟი
1986 ანდერლეხტი, ბრიუგე, სტანდარდი
1987 ანდერლეხტი, მეჰელენი, ბრიუგე
1988 ბრიუგე, მეჰელენი, ანტვერპენი
1989 მეჰელენი, ანდერლეხტი, ლიეჟი
1990 ბრიუგე, ანდერლეხტი, მეჰელენი
1991 ანდერლეხტი, მეჰელენი, ბრიუგე
1992 ბრიუგე, ანდერლეხტი, სტანდარდი
1993 ანდერლეხტი, სტანდარდი, მეჰელენი
1994 ანდერლეხტი, ბრიუგე, სერინგი
1995 ანდერლეხტი, სტანდარდი, ბრიუგე
1996 ბრიუგე, ანდერლეხტი, ეკერენი
1997 ბრიუგე, გენკი, ეკერენი

# ბრიუგე? ანდერლეხტი?
## თუ სხვაც ჩაერევა გრანდთა ქიდილში?

მოგეხსენებათ, ევროპის მრავალ ქვეყანაში ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატები აგვისტოსა და სექტემბერში იწყება და ჩვენც ვცდილობთ, კონტინენტის წამყვან ლიგებში სეზონთა შორის მომხდარ ცვლილებებზე მკითხველს ინფორმაცია არ მოვაკლოთ. აქამდე გაგაცანით საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიისა და ჰოლანდიის პირველობებში მონაწილე გუნდები, იქ შემდგარი ტრანსფერები და ახალი სეზონის კალენდრები.

სიმართლე რომ ვთქვათ, ბელგიის ჩემპიონატის შესახებ ვრცლად მოთხრობას არ ვაპირებდით, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ იქ ორი ქართველი — „ლიერსში" გელა შეყილაძე და „სტანდარდში" ლაშა ჯაკობია თამაშობს და ჩვენი გულშემატკივარის ინტერესიც ამ პატარა ქვეყნის საფეხბურთო ლიგისადმი წინა წლებთან შედარებით ერთიორად გაიზარდა, გადავწყვიტეთ, ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ერთ-ერთი მასპინძლის ეროვნული პირველობაც ეგრეთ წოდებულ „ელიტარულს" მივაკუთვნოთ და მასზე უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ.

თორმეტი თვის წინ ბელგიის 1996-97 წლების სეზონისთვის მზადების პერიოდში მომავალი სავარაუდო ჩემპიონის ვინაობის დასახელება რომ გეთხოვათ, ათიდან, ალბათ, ცხრა სპეციალისტი თუ უბრალო გულშემატკივარი ასეთად ცნობილ „ანდერლეხტს" მიიჩნევდა.

ქვეყანაში თითქმის დარწმუნებული იყვნენ, რომ ბრიუსელის კლუბს ღირსეულ წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევდა და ბელგიური ფეხბურთის ერთ-ერთი ლიდერი უპრობლემოდ დაიბევებდა ოქროს მედლებს. მაგრამ ანდერლეხტის ქომაგების სამწუხაროდ, ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც საშინელ კოშმარულ სიზმარში. სეზონის ბოლოს მათ რჩეულთა მიერ დაკავებული მეოთხე ადგილი უარესი შედეგი აღმოჩნდა ტიტულოვანი კლუბის არსებობის ისტორიაში, ხოლო გაჩემპიონებულ „ბრიუგესთან" 27-ქულიანი (!) ჩამორჩენა იმდენად დამამცირებელი გახლდათ, რომ გაცეცხლებული ფანები სტადიონზე მშვიდად ჯდომას ვერ ახერხებდნენ და ბოლო ტურების შეხვედრებში გახშირებული არეულობებიც მოაწყვეს.

თანაც, ეროვნულ ჩემპიონატში სამარცხვინო გამოსვლას საერთაშორისო სარბიელზე მომხდარი სკანდალიც დაემატა. ევროპული ფეხბურთის მამებმა „ანდერლეხტს" 1984 წელს უეფას თასის ნახევარფინალში ინგლისური „ნოტინგემ ფორესტის" წინააღმდეგ გამართულ შეხვედრაში ჩადენილი არასპორტული საქციელი გაუხსენეს. რასაც ბელგიური კლუბებისთვის უსიამოვნო შედეგები მოჰყვა.

მოკლედ, გასული სეზონი ანდერლეხტისთვის, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, წარუმატებელი გამოდგა. ასეთი ჩავარდნის შემდეგ ევროპის წამყვანი კლუბები, როგორც წესი, სერიოზულ ანალიზს აკეთებენ და ცდილობენ, ერთგვარად შელახული რეპუტაცია მომდევნო სეზონშივე აღიდგინონ. ქვეყნის ოცდაოთხგზის ჩემპიონის —„ანდერლეხტის" თავკაცებიც მსგავსი პრინციპით ხელმძღვანელობენ, რაც კლუბის პრეზიდენტის, ვანდენ სტიკის სიტყვებიდანაც კარგად ჩანს:

„კლუბის კიდევ უფრო დასუსტებას ვერ ავიტანთ. არავითარ შემთხვევაში არ გვსურს, არაკეთილმოსურნეებს „ანდერლეხტის" დაჩანაკებაზე საუბრის საფუძველი გაუჩნდეთ. ამიტომ ყველა ღონეს ვიხმართ, რათა შარშან ნაჩვენები საშინელი შედეგი ხალხის მეხსიერებიდან სამუდამოდ ამოვშალოთ. არა, იმას ნამდვილად ვერ დავიჩემებ, რომ ამ სეზონში აუცილებლად ჩემპიონები გავხდებით, მაგრამ პირობას გაძლევთ, „ბრიუგეს" შარშანდელივით იოლად დაწინაურების საშუალებას არ მივცემთ".

დედაქალაქელთა სერიოზულ განზრახვებზე, ახალი სეზონის წინ მათ მიერ განხორციელებული რამდენიმე ტრანსფერი მოწმობს. კლუბმა ბელგიური მასშტაბებით საკმაოდ დიდი თანხა დახარჯა და უშუალო კონკურენტ „ბრიუგესგან" ეროვნული ნაკრების მცველი ლორენცო სტალენსი, ხოლო ჰოლანდიური „ვალვაიკიდან" მშვენიერი ფორვარდი პატრიკ ვან დიემენი შეიძინა.

„ანდერლეხტი" სეზონთა შორის არდადეგებს ნაყოფიერად იყენებს და ჩემპიონობისათვის საბრძოლველადაც საფუძვლიანად ემზადება, მაგრამ საკითხავია, როგორ აღიქვამენ ყოველივე ამას „ბრიუგეს" ბანაკში. გასულ სეზონში ამ უკანასკნელებმა მართლაც საუცხოოდ იასპარეზეს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ თავიანთ ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული გამარჯვებაც იზეიმეს.

უპირველეს და ტრადიციულ კონკურენტთან ზემოხსენებულ 27 ქულიან უპირატესობას რომ თავი დავანებოთ, ბრიუგელებმა არც სხვა კლუბები გაიკარეს ახლოს და მეორეადგილოსან „გენკს" მთელი 18 ქულით აჯობეს.

ყოველივე ეს კარგად ახსოვთ გუნდის თავკაცებს, ამიტომაცაა, რომ ახალ სეზონს მეტად თავდაჯერებული ხვდებიან.

— არც ერთი მეტოქის არ გვეშინია. გასულ სეზონთან შედარებით კიდევ უფრო გავძლიერდით, როგორც ხარისხობრივი, ასევე ფინანსური თვალსაზრისით. ასე რომ, თავში საცემად საქმე უფრო სხვებს უნდა ჰქონდეთ. ისე კი მინდა, განვაცხადო, რომ წლეულს ჩემპიონატის ადვილად მოგებას არ ველით. ლიეჟის „სტანდარდმა" და განსაკუთრებით „ანდერლეხტმა" საგრძნობლად მოუმატეს და ვფიქრობ, მედგარ წინააღმდეგობას გაგვიწევენ.

თუმცა ეს ჩვენზე ცუდად როდი მოქმედებს. პირიქით, დაძაბული ბრძოლების მოლოდინში გაორმაგებული ენერგიით ვემზადებით და დარწმუნებული ვართ, ერთგულ გულშემატკივრებს არ გავაწბილებთ" — ასეთი გახლავთ „ბრიუგეს" პრეზიდენტის ანტუან ვანჰოვის აზრი.

გუნდის წამყვანმა მოთამაშემ ლორენცო სტალენსმა კი განაცხადა: „უეჭველია, წლეულს ჩემპიონობის მოპოვება უაღრესად გაგვიჭირდება, რადგან მაღალი დონის პირველობაზე იშვიათად ხდება, კლუბმა ზედიზედ ორი წლის განმავლობაში ოქროს მედლები დიდი უპირატესობით მოიგოს. მაგრამ ამას დადებითი მხარეც აქვს. მატჩები უშეღავათო იქნება, რაც სტადიონებზე უამრავ მაყურებელს მიიზიდავს.

„ბრიუგემ", რომლის წლიური ბიუჯეტი — 375 მილიონი ფრანკი (10,1 მილიონი დოლარი) „ანდერლეხტის" შემოსავლის ნახევარია, ხოლო ევროპის მოწინავე კლუბების სახსრებთან ახლოსაც ვერ მოვა, სეზონის წინ რამდენიმე ახალი ფეხბურთელი შეიმატა. გუნდმა ბელგრადის „ობილიჩისგან" ლიბერო მილან ლესიაკი იყიდა, ხოლო „ლოკერენისგან" კონგოელი ელოს ეკაჯია — ელონგას გადაბირებაც მოახერხა.

შეუძლებელი იყო, ახალი საფეხბურთო სეზონის წინ შექმნილ დამაინტრიგებელ სიტუაციას ბელგიის სპორტულ წრეებში გამოხმაურება არ მოჰყოლოდა. მართლაც, ერთ-ერთი გაზეთი დაინტერესდა და უმაღლესი ლიგის მონაწილე 16 კლუბის წარმომადგენლებს შორის საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა რესპონდენტებს სავარაუდო ჩემპიონის დასახელება ევალებოდათ. როგორც საბოლოო შედეგებმა აჩვენა, გამოკითხულთაგან უმეტესობამ (9 კაცი) ასეთად ბრიუგე მიიჩნია. ხოლო დარჩენმა 7-მა „ანდერლეხტის" მხარე დაიჭირა.

აღნიშნულ გამოკითხვაში კლუბები კი მონაწილეობდნენ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ საერთოდ სეზონის წინ დასახულ მიზნებსა და სასურველ შედეგებზე საუბარს ბევრი თავს არიდებს. ბელგიელები განსაკუთრებით მას შემდეგ ფრთხილობენ, რაც ამ ქვეყნის ნაკრებმა წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე თავი ვერაფრით გამოიჩინა, ხოლო სულ ახლახან დაწყებულ ევროთასების საკვალიფიკაციო ეტაპებზე გუნდებიც გვარიანად შერცხვნენ.

უეფას თასის გათამაშებაში „ანდერლეხტისა" და „ეკერენის" დამარცხება რა ბედენაა, როცა ბელგიელთა უპირველესმა კლუბმა „ბრიუგემ" 0:2 წააგო ნორვეგიულ „რუსენბორგთან" და სულაც ჩემპიონთა ლიგის გარეშე დარჩენა ემუქრება.

— არ შემიძლია თვალი დავხუჭო იმ არასახარბიელო რეალობაზე, რომელიც დღეს გვაქვს. ჩვენი კლუბების წარუმატებელი ასპარეზობა ნაკრებზეც აისახება, რასაც საბოლოოდ ევროპულ დონეზე არადამაკმაყოფილებელი გამოსვლა მოჰყვება — დანანებით აღნიშნავს ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი ჟორჟ ლიკენსი, რომლის ამასწინანდელმა სენსაციურმა განცხადებამ წლეულს ბელგიის ჩემპიონი „ბრიუგე" და „ანდერლეხტი" კი არა, მესამე, აქამდე ჩრდილში მყოფი კლუბი გახდებაო — გუშინ დაწყებულ პირველობას კიდევ უფრო მეტი ინტრიგა შესძინა.

მოკლედ, ბელგიის ეროვნული ჩემპიონატიც გახურდა და მას საინტერესო თამაშების ხილვის იმედით, ალბათ, მრავალი ქომაგი მიადევნებს თვალს. ხოლო იმას, თუ ვინ იქნება 1998-99 წლების ტრიუმფატორი, გაისად გაზაფხულზე შევიტყობთ.

**ირაკლი ხმელიძე**

| № | გუნდი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აალსტი | | 04.10 | 18.04 | 23.08 | 14.02 | 24.01 | 02.09 | 29.11 | 07.03 | 22.11 | 08.11 | 20.09 | 02.05 | 16.05 | 09.09 | 20.12 | 21.03 | 25.10 |
| 2 | ანდერლეხტი | 13.03 | | 19.12 | 09.09 | 28.11 | 05.05 | 13.02 | 23.01 | 16.05 | 31.10 | 03.04 | 06.03 | 02.09 | 24.04 | 19.09 | 14.11 | 22.08 | 10.10 |
| 3 | ბევერენი | 31.10 | 29.08 | | 21.11 | 13.03 | 26.09 | 09.05 | 01.05 | 10.10 | 30.01 | 05.09 | 12.12 | 07.11 | 12.09 | 05.12 | 27.02 | 03.04 | 16.01 |
| 4 | ბრიუგე | 13.12 | 31.01 | 05.05 | | 01.11 | 04.04 | 30.08 | 16.05 | 25.04 | 27.09 | 28.02 | 06.09 | 29.11 | 14.03 | 17.01 | 10.10 | 15.11 | 13.09 |
| 5 | გენკი | 12.09 | 09.05 | 03.10 | 17.04 | | 30.01 | 07.11 | 24.10 | 19.09 | 29.08 | 12.12 | 21.11 | 20.03 | 16.01 | 01.05 | 05.09 | 06.03 | 05.12 |
| 6 | გენტი | 05.09 | 21.11 | 06.03 | 24.10 | 09.09 | | 17.04 | 20.03 | 13.02 | 12.12 | 05.12 | 01.05 | 03.10 | 29.08 | 07.11 | 16.01 | 19.09 | 09.05 |
| 7 | ეკერენი | 17.01 | 12.09 | 29.11 | 20.12 | 24.04 | 31.10 | | 22.08 | 15.11 | 13.03 | 26.09 | 31.01 | 16.05 | 10.10 | 05.09 | 03.04 | 05.05 | 28.02 |
| 8 | ვესტერლო | 09.05 | 05.09 | 14.11 | 05.12 | 03.04 | 10.10 | 12.12 | | 31.10 | 27.02 | 12.09 | 16.01 | 05.05 | 26.09 | 29.08 | 13.03 | 24.04 | 30.01 |
| 9 | კორტრიკი | 27.09 | 06.12 | 21.03 | 08.11 | 28.02 | 13.09 | 02.05 | 18.04 | | 17.01 | 30.08 | 09.05 | 25.10 | 06.09 | 22.11 | 31.01 | 04.10 | 13.12 |
| 10 | ლიერსი | 05.05 | 17.04 | 09.09 | 06.03 | 19.12 | 22.08 | 03.10 | 19.09 | 02.09 | | 01.05 | 24.10 | 13.02 | 28.11 | 20.03 | 16.05 | 23.01 | 07.11 |
| 11 | ლოკერენი | 24.04 | 24.10 | 23.01 | 19.09 | 22.08 | 16.05 | 06.03 | 13.02 | 19.12 | 14.11 | | 20.03 | 09.09 | 05.05 | 03.10 | 28.11 | 02.09 | 17.04 |
| 12 | ლომელი | 27.02 | 26.09 | 22.08 | 23.01 | 05.05 | 14.11 | 09.09 | 02.09 | 28.11 | 03.04 | 10.10 | | 19.12 | 31.10 | 13.02 | 24.04 | 16.05 | 13.03 |
| 13 | მუსკრონი | 14.11 | 16.01 | 24.04 | 09.05 | 10.10 | 13.03 | 05.12 | 21.11 | 03.04 | 12.09 | 30.01 | 29.08 | | 27.02 | 12.12 | 26.09 | 31.10 | 05.09 |
| 14 | ოსტენდე | 05.12 | 07.11 | 13.02 | 03.10 | 02.09 | 19.12 | 20.03 | 06.03 | 23.01 | 09.05 | 21.11 | 17.04 | 19.09 | | 24.10 | 22.08 | 09.09 | 01.05 |
| 15 | სენტ ტრუიდენი | 30.01 | 27.02 | 16.05 | 02.09 | 14.11 | 24.04 | 23.01 | 19.12 | 05.05 | 10.10 | 13.03 | 12.09 | 22.08 | 03.04 | | 31.10 | 28.11 | 26.09 |
| 16 | სტანდარდი | 29.08 | 01.05 | 19.09 | 20.03 | 23.01 | 02.09 | 24.10 | 03.10 | 09.09 | 05.12 | 09.05 | 07.11 | 06.03 | 12.12 | 17.04 | | 13.02 | 21.11 |
| 17 | შარლერუა | 10.10 | 12.12 | 24.10 | 01.05 | 26.09 | 27.02 | 21.11 | 07.11 | 13.03 | 05.09 | 16.01 | 05.12 | 17.04 | 30.01 | 09.05 | 12.09 | | 29.08 |
| 18 | ჰარელბეკი | 04.04 | 21.03 | 02.09 | 14.02 | 16.05 | 29.11 | 20.09 | 09.09 | 23.08 | 25.04 | 01.11 | 04.10 | 24.01 | 15.11 | 07.03 | 05.05 | 20.12 | |

# საქართველოს ყველა დროის საუკეთესო

## ფეხბურთელი, მწვრთნელი, სიმბოლური ნაკრები

# სარბიელის მკითხველთა აზრით

ჩვენში ფეხბურთს გასული საუკუნის მიწურულიდან ანუ აგერ უკვე ერთი საუკუნეა თამაშობენ. ამ ხნის მანძილზე ბევრ დიდოსტატს უგორებია ტყავის ბურთი ფოთსა და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სოხუმსა და ლანჩხუთში, ზუგდიდსა და გორში... ქართულ ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი ჰყოლია.

„სარბიელის" გამოკითხვის მიზანია, ყველა თაობის გულშემატკივართა აზრთა შეჯამების საფუძველზე საახალწლოდ ქართულ ფეხბურთში რჩეულთაგან გამორჩეულები გამოავლინოს!

„სარბიელის" გამოკითხვაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამისთვის უნდა შეავსოთ და გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტები (ან „სარბიელში" მოცემული ანკეტის ანალოგიურად შევსებული ჩვეულებრივი თეთრი ფურცელი: რვეულის, თაბახისა...) საფოსტო კონვერტში ჩადებული გამოგვიგზავნოთ რედაქციაში. გთხოვთ, ანკეტის შევსებისას მიუთითოთ სახელი, გვარი, სადაურობა (სად ცხოვრობთ), ასაკი, პროფესია. ყოველივე ეს „სარბიელში" დაიბეჭდება, თითოეულ მკითხველს საშუალება ექნება საკუთარი ვერსიაც იხილოს გაზეთში და საერთო სურათსაც უშუალოდ ადევნოს თვალი.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად უნდა დასახელდეს ხუთი კანდიდატი, რომელთაც ადგილების მიხედვით შესაბამისად 5, 4, 3, 2 და 1 ქულა დაერიცხებათ. საუკეთესო ქულების საერთო ჯამით გამოვლინდება.

იგივე პრინციპით დასახელდება № 1 მწვრთნელიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკითხვის თითოეული მონაწილე მხოლოდ სამ კანდიდატს ასახელებს (ქულებიც შესაბამისად 3, 2 და 1 იქნება).

ნაკრების შესადგენად კი ყველა ანკეტაში 11 ფეხბურთელი უნდა დასახელდეს 1+4+3+3 პირობითი სქემით. სიმბოლური გუნდის საბოლოო ვარიანტი ფეხბურთელთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება.

**„სარბიელის" რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.**

**საფოსტო მისამართი: თბილისი 79, საფოსტო ყუთი 208.**

✂ - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი**

1 ____________________

2 ____________________

3 ____________________

4 ____________________

5 ____________________

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი**

1 ____________________

2 ____________________

3 ____________________

**საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები**

1 ____________________

2 ____________________

3 ____________________

4 ____________________

5 ____________________

6 ____________________

7 ____________________

8 ____________________

9 ____________________

10 ____________________

11 ____________________

სახელი ____________________

გვარი ____________________

ასაკი ____________________

პროფესია ____________________

მისამართი ____________________

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**გერმანიის ჩემპიონატი.** ბუნდესლიგა. II ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| დორტმუნდი — ჰერტა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| შალკე — შტუტგარტი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| აინტრახტი — მიუნხენ 1860 | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| ბაიერნი — დუისბურგი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,7 |
| კაიზერსლაუტერნი — გლადბახი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ფრაიბურგი — ლევერკუზენი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 23 აგვისტო | | | |
| ჰამბურგი — ბოხუმი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

**გერმანიის ჩემპიონატი.** მეორე ბუნდესლიგა. V ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 23 აგვისტო | | | |
| ობერჰაუზენი — ვატენშაიდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| გიუტერსლოო — ჰანოვერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ფორტუნა — ფიურტი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 24 აგვისტო | | | |
| ზანქტ პაული — არმინია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| კოტბუსი — კარლსრუე | 2,2 | 3,0 | 2,9 |

**ინგლისის ჩემპიონატი.** პრემიერლიგა. II ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| ჩარლტონი — საუთჰემპტონი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ჩელსი — ნიუკასლი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| დერბი — უიმბლდონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ლესტერი — ევერტონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლივერპული — არსენალი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ნოტინგემი — ქოვენთრი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ტოტენჰემი — შეფილდი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ვესტ ჰემი— მანჩესტერი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 23 აგვისტო | | | |
| ასტონ ვილა — მიდლსბრო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 24 აგვისტო | | | |
| ლიდსი — ბლექბერნი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

**ინგლისის ჩემპიონატი.** პირველი დივიზიონი. III ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 21 აგვისტო | | | |
| ბარნსლი — სტოკპორტი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 22 აგვისტო | | | |
| ბრისტოლი — უოტფორდი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| ბერი — ქრიუ | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| კრისტალ პალასი — ოქსფორდი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| გრიმსბი — ჰადერსფილდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ნორვიჩი — ქუინზ პარკი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| პორტ ვეილი — ვესტ ბრომვიჩი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| პორტსმუთი — იფსვიჩი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| შეფილდი — ბირმინგემი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სანდერლენდი — ტრანმერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ვულვერჰემპტონი — სვინდონი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 23 აგვისტო | | | |
| ბრედფორდი — ბოლტონი | 3,1 | 3,0 | 2,1 |

**საფრანგეთის ჩემპიონატი.** III ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| რენი — ლე ავრი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| მარსელი — მონპელიე | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ბასტია — მეცი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ბორდო — ოსერი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| სტრასბური — პსჟ | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ტულუზი — მონაკო | 4,0 | 3,1 | 1,5 |
| ლორანი — ლიონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 23 აგვისტო | | | |
| სოშო — ლანსი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ნანსი — ნანტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

**პორტუგალიის ჩემპიონატი.** I ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| პორტუ — რიუ ავე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23 აგვისტო | | | |
| შავეში — აკადემიკა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| სალგეირუში — ფარენსე | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ლეირია — მარიტიმუ | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ბოავიშტა — გიმარაეში | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| კამპომაიორენსე — ალვერია | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 24 აგვისტო | | | |
| სეტუბალი — სპორტინგი | 4,0 | 3,0 | 1,8 |

**რუსეთის ჩემპიონატი.** XXII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| როსტსელმაში — ზენიტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ჩერნომორეცი — ლოკომოტივი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| შინიკი — დინამო | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| ტორპედო — ალანია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ცსკა — ურალანი | 1,7 | 3,1 | 3,8 |
| სპარტაკი — კრილია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ტიუმენი — ბალტიკა | 6,0 | 3,6 | 1,4 |

**ჰოლანდიის** ჩემპიონატი. I ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| ვიტესი — როდა | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| მაასტრიხტი — გრააფსხაპი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| კამბური — ეინდჰოვენი | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| აზ 67 — სპარტა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ვალვაიკი — ნაიმეგენი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 23 აგვისტო | | | |
| ბრედა — უტრეხტი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| აიაქსი — ტილბურგი | 1,2 | 5,0 | 9,0 |

**ბელგიის** ჩემპიონატი. I ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| ოსტენდე — სტანდარდი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| ეკერენი — ვესტერლო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| სენტ ტრუიდენი — მუსკრონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ლომელი — ბევერენი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ანდერლეხტი — შარლერუა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ლოკერენი — გენკი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ლიერსი — გენტი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 23 აგვისტო | | | |
| ჰარელბეკი — კორტრაიკი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| აალსტი — ბრიუგე | 3,6 | 2,9 | 1,9 |

**თურქეთის ჩემპიონატი.** III ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| სამსუნი — ერზურუმი | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| ისთანბული — ქარაბუქი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| ტრაბზონი — ბურსა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| გალათასარაი — ქოჯაელი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 23 აგვისტო | | | |
| ანკარაგიუჯიუ — ანთალია | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| საქარია — ალთაი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| დარდანელი — გენჩლერბირლიგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ბეშიქთაში — გაზიანთეფი | 1,2 | 5,0 | 9,0 |

**შოტლანდიის ჩემპიონატი.** III ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| სელტიკი — დანდი იუნაიტედი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,3 | 3,8 |
| ჰართსი — აბერდინი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| კილმარნოკი — რეინჯერსი | 4,7 | 3,3 | 1,6 |
| მოზერველი — დანფერმლაინი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 23 აგვისტო | | | |
| დანდი — სენტ ჯონსტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**შვეიცარიის ჩემპიონატი.** VII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| იანგ ბოიზი — არაუ | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| ლუგანო — სიონი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ქსამაქსი — ლუცერნი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 23 აგვისტო | | | |
| სენტ გალენი — ბაზელი | 1,6 | 3,1 | 5,3 |

**იტალიის თასი.** მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| ლუკეზე — ნაპოლი | 2,1 | 2,9 | 2,6 |
| 23 აგვისტო | | | |
| ანკონა — რავენა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ლუმეცანე — კალიარი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ლივორნო — რეჯინა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ნოჩერინა — ვერონა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| მონცა — ლეჩე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| პადოვა — რეჯანა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| კრემონეზე — ატალანტა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| კიევო — ფოჯა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| გუალდო — ფ. ანდრია | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| კატანია — ბრეშა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ალბანო — ტორინო (ბერგამოში) | 4,7 | 3,3 | 1,6 |
| კოზენცა — ტრევიზო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| დი სანგრო — პერუჯა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ჩეზენა — პესკარა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 24 აგვისტო | | | |
| ტერნანა — ჯენოა | 3,1 | 3,0 | 2,1 |

**ესპანეთის სუპერთასი.** საპასუხო მატჩი

| | | | |
|---|---|---|---|
| 24 აგვისტო | | | |
| ბარსელონა — მალიორკა | 1,3 | 4,0 | 7,5 |

**ინტერტოტო თასი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 25 აგვისტო | | | | |
| ვოივოდინა — ვერდერი | (3,5-1,2) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| რუხი — ბოლონია | (5,0-1,1) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ვალენსია — ზალცბურგი | (—- 25,0) | 1,3 | 4,0 | 7,5 |

**უეფას თასი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 25 აგვისტო | | | | |
| სერვეტი — ეკერენი | (—-15,0) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| შახტიორი — ციურიხი | (15,0-—) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| რაპიდი (ავსტრია) — ომონია | (1,6-1,8) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| როტორი — ცრვენა ზვეზდა | (1,7-1,7) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| აეკ — ფერენცვაროში | (1,7-1,7) | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| გრაცერი — ვაასა | (1,05-7,5) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ცსკა (ბულგარეთი) — მოლდე | (1,25-3,1) | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| ფენერბახჩე — გეტებორგი | (1,6-1,8) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| სილკებორგი — მურა | (1,15-4,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| პაოკ — რეინჯერსი | (4,0-1,15) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ინტერი (სლოვაკეთი) — სლავია | (25,0-—) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ჟალგირისი — ბრანი | (2,8-1,3) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ტრაბზონი — ვისლა | (7,5-1,05) | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| ოცელული — ვაილე | (7,5-1,05) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| სტრომგოდსეტი — ჰაპოელი | (1,7-1,7) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ანდერლეხტი — ოსიეკი | (1,55-1,9) | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| დინამო (რუსეთი) — პოლონია | (1,05-7,5) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| მალმე — ჰაიდუკი | (1,3-2,8) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| კილმარნოკი — სიგმა | (2,5-1,35) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 27 აგვისტო | | | | |
| ისთანბული — არჯეში | (1,9-1,55) | 1,35 | 3,8 | 7,0 |

**ჩემპიონთა თასი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26 აგვისტო | | | | |
| ობილიჩი — ბაიერნი | (25,0-—) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ბრიუგე — რუსენბორგი | (2,3-1,4) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ლკს — მანჩესტერი | (25,0-—) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| სპარტაკი (რუსეთი) — ლიტექსი | (—-25,0) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| გრასჰოპერი — გალათასარაი | (1,7-1,7) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| კროაცია — სელტიკი | (1,7-1,7) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ეინდჰოვენი — მარიბორი | (1,1-5,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| სპარტა — დინამო (უკრაინა) | (1,25-3,1) | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| ბრონდბიუ — კოშიცე | (—-25,0) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| სკონტო — ინტერი (იტალია) | 25,0-—) | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| ანორთოსისი — ოლიმპიაკოსი | (3,1-1,25) | 2,8 | 2,7 | 2,4 |
| ბეითარი — ბენფიკა | (25,0-—) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ბილბაო — დინამო (საქართველო) | ანგარიში — 5,0 | | | |
| მეცი — ჰიკ | (1,15-4,0) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| უიპეშტი — შტურმი | (25,0-—) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| პანათინაიკოსი — სტიაუა | (1,15-4,0) | 1,5 | 3,6 | 5,0 |

**თასების თასი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 27 აგვისტო | | | | |
| კონსტრუქტორული — რუდარი | (4,0-1,15) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ჰელსინბორგი — ვადუცი | (—-25,0) | 1,01 | 10,0 | 20,0 |
| ცემენტი — ლოზანა | (25,0-—) | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| ცსკა (უკრაინა) — კორკ სიტი | (1,35-2,5) | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| აპოლონი — ეკრანასი | (1,05-7,5) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| გენკი — აპოლონია | (—-25,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ჰაკა — ბანგორ სიტი | (1,01-15,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ვიტებსკი — ლევსკი | (25,0-—) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| კეფლავიკი — ლიეპაია | (1,7-1,7) | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| რაპიდი (რუმინეთი) — გრევენმახერი | (—-25,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ჰართსი — ლანტანა | (—-25,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ჰიბერნიანი — ამიცა | (25,0-—) | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| მტკ — გოტუ | (—-25,0) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| მაკაბი — გლენტორანი | (1,01-15,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| სპარტაკი (სლოვაკეთი) — ვარდარი | (1,05-7,5) | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| ყარაბახი — კოპენჰაგენი | (25,0-—) | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| ბათუმი — პარტიზანი | ანგარიში — 5,0 | | | |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მაიკლ ბერკოვიჩის რჩეული საკრივო ფურცლები



ფურცელი მეთვრამეტე

# კაცი, რომელიც როკის ებრძოდა

## მეორე შეყრა

### მარჩიანოს რაობა

ლა სტრაზა — მარჩიანოს მეორე ბრძოლის წინ, ერთი კარგად უნდა განვიხილოთ მარჩიანოს რაობა. თუნდაც იმიტომ,რომ ბევრ ქვეყანაში, თუკი კრივის მოყვარე ხალხი გადაწყვეტს ხოლმე ყველაზე დიდი მოკრივის დასახელებას და შვილის საკრივო ქომაგობის გზაზე დაყენებას, უეჭველად ეტყვის, ამათ შორის უპირველესი, როკი მარჩიანო იყო, წაუგებელი დიდი ჩემპიონიო.

ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ არ შეიძლება მარჩიანოს ისტორიის საუკეთესო მძიმეწონოსნად წარმოსახვა. ხუთეულში ეგებ გავაძვრინოთ კიდეც, მაგრამ საუკეთესო — არასგზით. უბრალოდ, ის უკანასკნელი დიდი თეთრი ჩემპიონი იყო. ეგებ ახალი თაობისთვის საკვირველიც იყოს, მაგრამ თავის კარიერის განმავლობაში მარჩიანოს არა ჰქონია დიადი ბრძოლა. უფრო სწორად ისეთი, რომ ორივე მხრიდან დიადი მებრძოლი მდგარიყო. მარჩიანომ ნოკაუტების დაამარცხა ჯო ლუისი, ჯერსი ჯო უოლკოტი და ეზარდ ჩარლზი, მაგრამ მისი შარავანდედი ბევრად უფრო მკვეთრი იქნებოდა, ეს საქმე რომ ექვსი-რვა წლით ადრე მომხდარიყო. სამივე დიადი მოკრივე უკვე იშკილებიდან იყო ჩამოვარდნილი, როკი კი მაღლა მიდიოდა.

როკი მარჩიანოს შედეგი — 49 გამარჯვება 49 ბრძოლაში (აქედან 43 ნოკაუტით) დღემდე განუმეორებელ შედეგად რჩება. არჩი მურს თავის წილი (145 ნოკაუტი ჰქონდა მითვლილი, მაგრამ 8-ჯერაც დამარცხებულიყო. ამიტომ, როკის მთავარი მიღწევა მისი დაუმარცხებლობაა. მერე რა, რომ არჩი მურმა ოთხჯერ მეტი ბრძოლა ჩაატარა და ოცდარვა წელიწადს იდგა რინგზე. როკის სულ რვა წელიწადს ეკეთა ხელთათმანები.

ეს ოდნავ წუნია სიტყვები ყოველთვის საჭიროა, რადგან მათი არწარმოთქმისას გაგახსენდება მარჩიანოს ღმერთკაცობის, მისი უნიკალურობის ლეგენდა, რომელიც ყველაფერს გადაფარავს.

და მაინც, ვთქვათ როკიზე.

მისი განუმეორებლობის მთავარი საბუთი მისი მოუღლელი შეტევა იყო. ამით მოვიდა ის რინგზე. შეტევით, თავზე ხელაღებით და მოუღლელობით. ახალბედა პროფესიონალ მარჩიანოს დაცვისა ბევრი არაფერი გაეგებოდა. ხუთ წელიწადში კი ის იქცა „მსოფლიოს ყველაზე ძნელად დასარტყმელ ადამიანად". ასე უწოდეს მას საკრივო მწერლებმა. მათვე შეარქვეს მეტსახელი „როკ", რაც კლდეს ნიშნავს და რაც ძალიანაც უხდებოდა. ხუთ წელიწადში. როკი საოცარი მოწაფე იყო. მას ვერასოდეს შევადარებთ საუკეთესო წლების ჯო ლუისს, ან კიდევ მუჰამედ ალის, მაგრამ ის პირველია იმათ შორის, ვინც კრივში გულუბრყვილო მოსწავლედ მოვიდა და მრისხანე ჩემპიონობამდე აღზევდა. ის პირველია მოსწავლეთა შორის. ასეთი ნიჭიერი და მონდომებული მოსწავლე მძიმე წონას აღარა ჰყოლია.

როკი მარჩიანო, მეტსახელად კლდე, სულერთიანად, იყო შემოქმედება დიადი და საოცარი მწვრთნელისა ჩარლი გოლდმენისა, რომელმაც ახედდახედა გვაჯ, ფართომხრებიან და მძიმეწონოსანთა შორის ალბათ ყველაზე მოკლემკლავა ჩემპიონს, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ჩემპიონი და თხუთმეტიოდ ბრძოლა გადაეხადა დაუმარცხებლად.

ახლა კი, მოკლედ, ადგილის დაზოგვის მიზნით,ჩამოვთვალოთ, რა ასწავლა გოლდმენმა მარჩიანოს: მას ასწავლა ტანდაბალ როკის როგორ ჩაეყვინთა მასზე მაღალ მოწინააღმდეგეთა ჰუკებს ქვეშ და საპასუხოდ დაერტყა. მან ასწავლა აგრეთვე მაღალი კლასის ჰუკი და მარჯვენა აპერკოტი, რამაც როკის მარჯვენა (თანდაყოლილ კროსთან ერთად) საშინელი ძალის იარაღად აქცია. მან სწორი მიმართულება უჩვენა მარჩიანოს დიდ ძალას, სისწრაფე შემატა ამ ისედაც თავდავიწყებით შემტევ მკლავებს.

მარჩიანო გამუდმებით მუშტებს იქნევდა და ბევრსაც აცდენდა, მაგრამ მისი ყოველი მოქნევა სანოკაუტო, ან თითქმის სანოკაუტო იყო. ეს გახლდათ მარჩიანოს, როგორც საკრივო ნიჭის უდიდესი უპირატესობა. ეს კაცი არასოდეს ყოფილა კლინჩში. გოლდმენმა ეს შემტევი სულისაც დახვეწა. როკის ბაჯბაჯა, ღონიერ და დაკუნთულ ფეხებს სიმსუბუქე შესძინა. შეასწავლა როკის, რომ ყოველი ბრძოლა სხვადასხვაა, შეგიძლია შენს სტილს უერთგულო, მაგრამ ყოველ მოწინააღმდეგეს განსაკუთრებული ტაქტიკით უნდა შეება.

ეს ყველაფერი ერთად შეიკრიბა და მივიღეთ გრანიტის ლოდი.

საიდან მოჰქონდა როკის ასეთი ძალა?

ამბობენ, რომ ფეხებიდან. ეს იყო მძიმეწონოსანი, რომელიც უმტკიცესად იდგა ფეხებზე. ეს იყო მძიმეწონოსანი, რომელსაც ჯო ლუისისა და ჯეკ დემპსის დარად შეეძლო მთელი თავისი სხეულის ძალა ჩაექსოვა დარტყმაში.

და ასეთ ფორმაში მყოფ კაცთან შერკინებას დათანხმდა როლანდ ლა სტრაზა, როკის მენეჯერთა მიერ დიდ რინგს მოწყვეტილი მებრძოლი.

### პოლო გრაუნდი

ნიუ იორკის პოლო გრაუნდის ფიცარნაგზე რომ გავიდა, როლ ლა სტრაზა არ ფიქრობდა გამარჯვებაზე. ის არ იყო ისეთი მოკრივე, გამარჯვებისთვის რომ სიძულვილით აენთება. ის ფიქრობდა, რომ დაემტკიცებინა, არსებობს აირალი, რომელიც კრივში საუცხოოდ მოიხმარება. ეს არის სპორტული ინტელექტი. ამასაც რომ შევეშვათ, ლა სტრაზა საუცხოოდ მომზადებულიყო, ერთადერთი სუსტი ადგილი მისთვის იდაყვები იყო, ხელის ხშირი მოხრა და გაშლა (ეს კი კრივის მთავარი მახასიათებელია) ლა სტრაზას ძველ ავადმყოფობას ახსენებდა.

მარჩიანოსა და მისი შტაბისათვის სანერვიულო შეიქნა პირველი ხუთი რაუნდი. ლა სტრაზამ, ბრძენმა პოზიციურმა მებრძოლმა საუცხოო დაცვა და მოხდენილი დარტყმები უჩვენა ხალხს. როკის, ყველაზე ძნელად მუშტმოსახვედრ კაცს, ხვდებოდა. ამდენს ლა სტრაზა ვერ გაუძლებდა. აბა რა მისი ბრალი იყო, რომ ღმერთს არ მოემადლებინა მისთვის „ქეიო ფანჩი", ანუ სანაკაუტო დარტყმის უნარი?

ლა სტრაზა იგებდა. როკის გასაჭირზე კი ისიც მეტყველებს, რომ ხუთ რაუნდში ხუთჯერ მოიქნია ულირსად, ის ხუთჯერვე გააფრთხილა რეფერი რაბი გოლდსტეინმა.

დაიბადებოდა ახალი ჩემპიონი?

ორმოცდაოთხ ბრძოლაში წაუგებელ მარჩიანოს, ორმოცდამეხუთე ბრძოლაში გვარიანი განსაცდელი შეყროდა. მაგრამ გრანიტის კაცი არ იყო ერთი ვინმე უბრალოდ ვარსკვლავი თავისი დროისა. ჩარლი გოლდმენიც არ გახლდათ ის კაცი, განსაცდელისთვის გასაღები რომ ვერ მოერგო.

„როკ, მკლავებში ურტყი, მკლავებში ურტყი, კუნთები ერთიანად დაუბეჟე", — ასეთი იყო გოლდმენის ერთადერთი დარიგება შესვენებისას.

მეცხრე რაუნდისთვის გაირკვა, რომ ლა სტრაზას ხელები მოექანცა, როკიმ კი ფრთა გაშალა და ჩვეული წესით ამუშავდა. როლანდი მაინც მტკიცედ იდგა, თავი ღირსეულად ეჭირა, თუმცაღა ძველი მზადყოფნა აღარ ეტყობოდა, ხელის მოქნევის უნარი დაქვეითებოდა.

როლ ლა სტრაზა დღეს: „მერე ბევრს ამბობდნენ, როკიმ ბიცეპსები დაუბეჟა და განაიარაღაო. საქმე გოლდმენის მიგნებაში კი არა, ჩემს იდაყვებში, იდაყვის სახსრების სისუსტეში იყო. ამას როკის დარტყმებიც დაერთო."

მეათე რაუნდის შუისთვის მარჩიანოს უკვე ხელთ ეპყრა ორთაბრძოლის საჭე. მეთერთმეტეს დასაწყისში მან ისეთი საშინელი ძალით სთხლიშა ნიკაპში ლა სტრაზას, რომ თოკებთან ჩაკეცა. ლა სტრაზა „ხუთ" დათვლაზე წამოდგა. ბრძოლა სრულ ერთ წუთს გაგრძელდა. ამის შემდეგ გოლდსტეინმა გადაწყვიტა, რომ პრეტენდენტი უსუსურად ირჯება და ბრძოლა შეწყვიტა. როკი ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვებულად გამოაცხადა.

ასე დამთავრდა და ამის შემდეგ ისინი აღარ შეხვედრიან: როკი და კაცი, რომელიც ებრძოდა როკის.

მათ ბრძოლებში არ იყო სიდიადე. ასეთი ასობით ყოფილა. მაგრამ, კაცი, რომელიც ყველაზე ღირსეულად ებრძოდა როკის, დაუვიწყარი დარჩა კრივის ისტორიაში.

როლანდ ლა სტრაზამ გამორჩეულად იბრძოლა და ორივე შეხლაში გამარჯვებაც შეეძლო.

მას არ გაუმეორებია ჯო ლუისის სიტყვები, როკის რომ ვურტყამდი, აქეთ მტკიოდაო.

### მოგონება

როლანდ ლა სტრაზას მიაჩნია, რომ რინგზეც და მის გარეთაც ღირსეული და საინტერესო ცხოვრება განვლო. ოცდაათი წელიწადი შესრულდება, აღარ არის ცოცხალი კლდე-კაცი — როკი მარჩიანო კატასტროფას ემსხვერპლა.

ლა სტრაზა კი იხსენებს, ჰყვება იმას, რაც ყველაზე ძვირფასია მის მოგონებათა შორის. ჰყვება მშვიდად, მართლად, ბრაზის გარეშე:

„იცი, ძმობილო, განსხვავება პირველი ბრძოლის როკისა და მეორე ბრძოლის როკის შორის ფანტასტიკური, დაუჯერებელი იყო. მეორედ, მისთვის მუშტის მორტყმა ძალიან ძნელი გამოდგა. მე არასოდეს შევხვედრივარ ასეთ თავზეხელაღებულ მოკრივეს. ასეთი ძალითაც არავისთვის დამიკრავს. არც ასეთი მონდომებით. მას წარმოუდგენელი ჯანი ჰქონდა. ის წარმოუდგენლად ამტანი იყო. რინგზე დილამდე გაძლებდა. მასში ჩემპიონის სული ბობოქრობდა.

და იცი? ის საუცხოო ბიჭი იყო და პირველი ბრძოლის შემდეგ ჩვენ დავმეგობრდით. ადრე ისე სახავდნენ საქმეს, თითქოს მტრები ვიყავით. მისი მენეჯერი დიდად არ მეხატებოდა გულზე, მან როკი დამიმალა, მაგრამ თავად როკი? მას საერთოდ არ ჰყავდა მტრები. ჩვენს მტრობაზე, რომ ლაპარაკობენ, იხსენებენ, თითქოს მეთქვას, როკი მუშტებს უაზროდ იქნევსო.



დიდ ჩემპიონ როკის კეთილი თვალები ჰქონდა

ეს მართლაც ვთქვი, მაგრამ ყველაფერი შეთანხმებული იყო. ჩვენ ბრძოლისადმი ინტერესი უნდა გაგვეღვივებინა. მაშინ ასეთი რამეები არ ხდებოდა და მედიამ ვერ გაგვიგო. როკი კი ხითხითებდა. წიგნებსა და სტატიებში ისეა აღწერილი საქმე, თითქოს როკიმ იმდენი მირტყა, რომ თავი გამომილაყა. ასე არ ყოფილა. ბრძოლის შემდეგ მისმა მენეჯერნმა ვეილმა თქვა, ამ ბიჭმა როკი კინაღამ გააგიჟაო. პირველ ხუთ რაუნდში მან საერთოდ ვერ დამარტყა. მეექვსეში კი წამხდარ მკლავში მგლიჯა და მე ჯანი შემისუსტდა, მოძრაობა მომიდუნდა. წიგნებში წერენ, რომ თავხედობისა და გამბედაობისთვის მსჯიდა და სანოკაუტოდ არ მირტყამდა, მტანჯავდა და მარცხვენდა. სისულელეა, თავს მაკლავდა, ექვსირაუნდი მირტყა და მოგება მაშინ ჩაუთვალეს, როცა კვლავ ფეხზე ვიდექი.

როკი რომ დაიღუპა, ერთი იტალიური ანდაზა გამახსენდა, სახელის განთქმის საუკეთესო გზა სიკვდილიაო. მაგრამ მივხვდი, რომ ვცდებოდი. ის სიცოცხლეში სახელოვანი იყო, სიკვდილის შემდეგ — ლეგენდარული.

მე კი სულ ვფიქრობ, რომ სპორტში ხშირად ხდება ასეთი რამ: შენ იმიტომ გიხსენებენ, რომ დიადი კაცის ისტორიაში ხარ ჩართული. ისინი ამბობენ, რომ მარჩიანო ვილაცას შეხვდა. ამას განუწყვეტლივ იმეორებენ და არც მინდა ვიბრძოლო ამის შესაცვლელად. მე ხომ ისედაც ვიცი — „ვილაც" არასოდეს ვყოფილვარ."



მეშვიდე რაუნდში მარჩიანომ ფერდებში დაუწყო ცემა ლა სტრაზას



მეთერთმეტე რაუნდში ცხვირიდან სისხლმოდენილმა როკიმ თოკებთან ჩაკეცა როლ ლა სტრაზა

# ჰიმალაისკენ... იაპონელთა მთაზე

გუშინ ჩვენი მთამსვლელები: გივი გიგაური, ბიძინა გუჯაბიძე, ზურაბ კუჭავა, მერაბ ნემსიწვერიძე, გელა ოთარაშვილი და გუნდის ექიმი, ასევე ალპინისტი ზურაბ ასტახიშვილი, მეორე ქართული ჰიმალაური ექსპედიციის მოსაწყობად გია თორთლაძის მეთაურობით მოსკოვს გაფრინდნენ. იქიდან ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში ჩაფრინდებიან, მერე კი ჰიმალაისკენ მიმავალ გზას გაუყვებიან, რათა იქ აღმართულ დედამიწის სიმაღლით მერვე მწვერვალ სამთავიან მანასლუზე (8156მ.) იგივე იაპონელთა მთაზე ავიდნენ.

სად იაპონია და სად ჰიმალაიო, შეიცხადებს მკითხველი, მაგრამ მსოფლიოში ამ უგრანდიოზულეს მთაგრეხილზე აღმართულ მანასლუს სწორედ ამომავალი მზის ქვეყნის მთამსვლელთა „საკუთრებად" მიიჩნევენ, რადგან მასზე პირველ ასვლებს მხოლოდ ისინი ცდილობდნენ და მიზანსაც სწორედ მათ მიაღწიეს. იაპონელებს მანასლუს მიმართ ლტოლვა არც მასზე პირველასვლის მერე განელებიათ და ეს მწვერვალი ქალთაგან პირველებმაც მათ დალაშქრეს.

ქართველ მთამსვლელთაგან მანასლუსთან ნაცნობობა მხოლოდ გია თორთლაძეს აქვს. იგი შარშან დეკემბერში სამხრეთ კორეელ მთამსვლელებთან ერთად ცდილობდა მასზე კლასიკური მარშრუტით ასვლას. მაშინ მათ მხოლოდ 6400 მეტრამდე ააღწიეს, რადგან საშინელი დიდთოვლობა იყო, რის გამოც სოფელ სამაში დაეშვნენ სულის მოსათქმელად, დასასვენებლად და გამოდარების მოლოდინში, მაგრამ როცა კვლავ ზემოთ ავიდნენ, საბაზო ბანაკი ველარსად ნახეს, თოვლს 4 მეტრის სიღრმეზე ჩაემარხა, პირველი და მეორე ბანაკები კი ზვავს წაელეკა, რამაც, ცხადია, მთამსვლელები აიძულა, ლაშქრობაზე ხელი აეღოთ.

თუ სად და როგორ ემზადებოდნენ მანასლუზე ასასვლელად ჩვენი მთამსვლელები, ამის შესახებ მკითხველს უკვე არაერთხელ ვუამბეთ. ვუამბეთ მანასლუსთან დაკავშირებული ზოგიერთი საინტერესო ისტორიაც, რამდენიმე წლის წინათ კი „რვაათასიანების" სერიაში საკმაოდ დაწვრილებით გაგაცანით მანასლუცა და მასზე ასვლების ეპოპეაც. მაგრამ რაკი მას მერე „სარბიელს" ახალი მკითხველი შემატა, ძველებს კი ბევრი რამ გადაავიწყდათ, ზოგიერთ საინტერესო თავგადასავალს შეგახსენებთ. შეგახსენებთ გზადაგზა, ჩვენს მთამსვლელებთან რადიოკავშირით ადევნებულები, რაც ექსპედიციის გენერალურ სპონსორ „ომეგას" მეშვეობით ხდება შესაძლებელი.

დღეს მოგითხრობთ მანასლუზე პირველასვლების ცდებზე.

1952-ის შემოდგომაზე, როცა ჯერ არც ერთი რვაათასიანი მწვერვალი დალაშქრული არ იყო, მანასლუს ფერდობებზე იაპონელები გამოჩნდნენ. მაშინ ეს ბუმბერაზი სრულიად შეუსწავლელი იყო. იაპონელთა ექსპედიციას მეთაურობდა 50 წლის კოშიხარი იმანიში (თუ იმანისი), რომელიც პროფესიით ანტროფოლოგი გახლდათ. ექსპედიციაში სულ ხუთი კაცი იყო, მათ შორის ექიმი და ჟურნალისტი, თუმცა, არც ერთი მათგანი ალპინიზმთან მწყრალად არ ყოფილა, მაგრამ ჰიმალაის მთებში ლაშქრობების გამოცდილება, ისევე როგორც საერთოდ სხვა იაპონელებს, არც მათ ჰქონდათ.

იაპონელებმა მწვერვალს ყველა მხრიდან შემოუარეს. დასავლეთიდან, მარსენგდის ხეობიდან 5800 მეტრამდე ავიდნენ და დარწმუნდნენ, რომ აქედან სავალი ფრიად რთული და არარაციონალურიაო. ბოლოს სოფელ სამადან შეისწავლეს მანასლუს ყინვარი და აღმოსავლეთი ფერდობი. შედეგით ძალზე კმაყოფილი დარჩნენ. მათ დაადგინეს მარშრუტი, რომელიც გადიოდა სამადან ნაიკის უნაგირაზე (5600 მ), იქიდან ყინულვარდნილის დაძლევით ჩრდილოეთ უნაგირაზე (7100) და ბოლოს, მწვერვალის პლატოზე.

1959 წელს მანასლუს მიადგა უკვე დიდი, 15-კაციანი ექსპედიცია 52 წლის იტოში მიტას მეთაურობით. იტოში მიტა 52-ში სხვა რვაათასიან მწვერვალ ანაპურნაზე მოწყობილი ექსპედიციის ხელმძღვანელიც იყო, მაგრამ იაპონელებმა იქ თავი ვერ გამოიჩინეს და ანაპურნა IV მხოლოდ 6000 მეტრამდე ავიდნენ. ამჯერად მიტას ექსპედიციამ თანამემამულეთა მიერ გასულ წელს მანასლუს დაზვერვის მონაცემები გამოიყენა და გადაწყვიტა მაშინდელი შერჩეული გზით ევლო.

იაპონელებმა სამადან ერთი საათის სავალზე, ქვედა ყინვარის ჩრდილოეთ მორენის ფერდობზე 4600 მეტრის სიმაღლეზე პირველი ბანაკი დასცეს. ამის მერე ერთი მეორის მიყოლებით დაიდგა მომდევნო საშუალედო ბანაკები: მეორე — 5000 მეტრზე, მესამე — ზედ ყინვარზე (5400), მეოთხე — ნაიკის უნაგირაზე (5600), რომელიც მანასლუს და ლასკიას ყინვარებს აერთებს. ამ ბანაკს ძირითადი დაარქვეს და აქამდე 8 კილომეტრის სიგრძის სატელეფონო კაბელი გაიყვანეს.

ამის მერე სწრაფად გაგრძელდა მომდევნო მეხუთე (5900), მეექვსე (6200) და მეშვიდე (6600) ბანაკების დადგმაც. ბოლოს, მაისის ბოლო რიცხვებში მთავარ და ჩრდილოეთ მწვერვალებს შორის მდებარე უნაგირაზე (7100) მზად იყო მერვე საიერიშო ბანაკიც, მაგრამ აქედან პირველი გასვლა უშედეგოდ დასრულდა, რადგან ახალ თოვლზე სიარული ჭირდა და 7400 მეტრიდან პირი იბრუნეს. მერე ისინი მერვე ბანაკში უამინდობამ შეაფერხა, ქვემოთ ის 8-კილომეტრიანი კაბელიც დაზიანდა და მისმა შეკეთებამ დიდი დრო დააკარგვინათ. მერე მთამსვლელებმა გადაწყვიტეს კიდევ ერთი, მეცხრე ბანაკის გამართვა, რაც 31 მაისს 7500 მეტრზე მდებარე წინა მწვერვალის პლატოს კიდეზე დადგეს, პირველ ივნისს კი მშვენიერ ამინდში მწვერვალისკენ კ. კატო, ი. იამადა და ი. ისიცაკა გაემართნენ. მათი გზა შედარებით ნაკლებად დამრეც ფერდობზე გადიოდა და არც სავალი იყო რთული, მაგრამ ამის მიუხედავად, ისინი ძალზე ნელა მიიწევდნენ ზემოთ. ტექნიკური სირთულეები არც იქ შეხვედრიათ. მეცხრე ბანაკიდან დილის 7 საათზე გამოსულებმა 5 საათის მერე მხოლოდ 250 მეტრით აიწიეს. აქ ისინი დარწმუნდნენ, რომ დღის სინათლეზე მწვერვალზე ასვლას და ბანაკში დაბრუნებას ველარ მოასწრებდნენ. ამიტომ უკან დაბრუნდნენ. მით უმეტეს, მეტად დაღლილები იყვნენ და მთის ავადმყოფობაც შეეყარათ.



ასე მოჩანს მანასლუ ანაპურნა IV ფერდობიდან

მოგვიანებით ეს იაპონელები დაწერენ: „მანასლუ ვერ დავლაშქრეთ, რადგან არ გვქონდა სწორი წარმოდგენა ამ მასივის გიგანტურ მასშტაბებზე, თანაც, საიერიშო ბანაკი საკმაო რაოდენობის საწვავითა და საკვებით მოუმარაგებელი დაგვრჩა. ჩვენი წარუმატებლობის მიზეზი არც ტექნიკური სირთულე, არც მეტეოროლოგიური პირობები და არც ფიზიკური მოუმზადებლობა ყოფილა. ჩვენ უკან დავიხიეთ იმიტომ, რომ ჰიმალაიზე ასვლების გამოცდილება არ გვეყო".

ამ აზრს სხვა ქვეყნების გამოცდილი მთამსვლელებიც იზიარებდნენ.

და მაინც, იაპონელთა მიერ დაძლეული სიმაღლე მათთვის უკვე მიღწევა იყო, რადგან ამ ქვეყნის მთამსვლელები ამ დონეზე არ ასულან.

მომდევნო წელს იაპონელებმა გააუმჯობესეს აღჭურვილობა, საკვებიც უკეთესი წაიღეს და გაცილებით ძლიერი, 13-კაციანი რაზმით ისევ მანასლუსკენ გაემართნენ. ექსპედიციას ახლა იაშიმიტო ხოტა მეთაურობდა და იმედიც ჰქონდათ, რომ მწვერვალზეც ავიდოდნენ, მით უმეტეს, გუნდში უკვე იყო 8 მთამსვლელი, რომლებსაც ჰიმალაის მთებში გამოცდილება მიეღოთ. ამასთან, იაპონელებს ჰყავდათ შერპთა ძლიერი გუნდი, რომელსაც გასულ წელს მაკალუს დამპყრობი, გიალცენ ნორბუ სირდარობდა.

იაპონელებს იქნებ მართლაც მიეღწიათ მიზნისთვის, სრულიად მოულოდნელად დიდ განსაცდელს რომ არ გადაჰყროდნენ, მაგრამ მათ სიცოცხლეს საფრთხე მწვერვალის ფერდობებზე კი არა, იქვე მდებარე სამაში ელოდათ. იქ ასულებს სოფლელები – კეტებით, ქვებითა და ყაყანით დაედევნენ. მთამსვლელებმა გაქცევით უშველეს თავს.

თურმე გასულ წელს მანასლუზე იაპონელთა ექსპედიციის მერე სოფლის მკვიდრთ დიდი უბედურება დატყდომიათ თავს. მწვერვალის ფერდობებიდან უზარმაზარი ზვავი ჩამოწოლილა, სამი საუკუნის მონასტერი დაუნგრევია, მერე გვალვებიც დაწყებულა, მოუსავლიანობასაც მეტად შეუწუხებია ხალხი, ყვავილის ეპიდემიაც გამძვინვარებულა და ბევრი სოფლელი გარდაცვლილა. გარდაცვლილა ღვთის სამი მსახურიც. სამელებმა ეს ყველაფერი მიაწერეს თავიანთ ღმერთ კანგუნგეს რისხვას, რაც იაპონელ მთამსვლელთა მიერ მანასლუს შებილწვამ განაპირობაო.

მაგრამ გაქცეულმა იაპონელებმა მანასლუზე ფიქრი არ მოიშორეს.

**ავთანდილ გურასაშვილი**

# ჩვენ ჩამოვედით მთიდან

## არაა გამორიცხული, უკან დავბრუნდეთ

7-17 აგვისტოს, დამოუკიდებელი ტელეკომპანია „იბერია TV"-ის თაოსნობით სვანეთში მოეწყო ალპინისტური ლაშქრობა. აგერ უკვე მეორე წელიწადია, ზემოხსენებული ტელეკომპანიის ძალისხმევით სხვადასხვა ორგანიზაციების თანამშრომლები საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში დაუვიწყარ დღეებს ატარებენ. პირადად მე ლაშქრობის მონაწილე პირველად გახლდით და მეტი რომ არ ვთქვა, იბერიელთა ნამოწყებით მოხიბლული დავრჩი.

ეს წერილი სწორედ სვანეთში გატარებულ, წარუშლელი შთაბეჭდილებებით აღსავსე დღეებს ეხება.

### სვანეთისკენ ჰერი-ჰერი!

7 აგვისტოს, სპორტის სასახლესთან შეკრებილებმა სვანეთისკენ გავწიეთ. ლაშქრობაში ბევრი პირველად მონაწილეობდა, გაცნობაც სწორედ მზეჭაბუკის ძეგლთან მოხდა, გზაში კი სულ უფრო და უფრო ვშინაურდებოდით. დანიშნულების ადგილს, ანუ ალპინისტურ ბანაკ ზესხოს დაახლოებით 14-საათიანი მგზავრობის შემდეგ მივაღწიეთ, მაშინ, როცა მზე კარგა ხნის ჩასული იყო.

სვანეთში პირველად გახლდით. იქ ბევრჯერ ნამყოფნი კი მაიმედებდნენ, ულამაზეს ადგილებს ნახავო. სურვილი, მეხილა ზვიადი კავკასიონი, იმდენად დიდი იყო, რომ გარკვეულწილად გულიც დამწყდა მყინვარწვერების შეთვალიერება იმ დღესვე რომ ვერ მოვახერხე. ვივახშმეთ და ტკბილი ძილით დავკმაყოფილდით.

მეორე დილით, რაღა დაგიმალოთ და, გათენდა. მეც ულამაზესი სანახაობა ვიხილე — ჩვენი ბანაკი მთებს შორის დაბლობზე იყო, გარშემო კი კავკასიონი შემოჯარვოდა. თეთრი უცნობი, შავი უცნობი, ნინოშვილი, მარჯანიშვილი — ეს მწვერვალები ზესხოდან შესანიშნავად ჩანდა.

რაღა ბევრი გავაგრძელო და, სანახაობა დაუვიწყარი იყო.

### იბერია მწვერვალზე

ექვსი საათით ადრე, ვიდრე „დინამო" ბასკურ „ატლეტიკთან" დაუვიწყარ გამარჯვებას მოიპოვებდა, კავკასიონზე კიდევ ერთი მწვერვალი „მოინათლა" — 12 აგვისტოდან უკუნითი უკუნისამდე ზესხოს პიკთან აღმართულ მწვერვალს „იბერია TV" ეწოდება. ნათლიმამები და ნათლიდედები კი მწვერვალს მართლაც რომ საკმაოდ ჰყავდა. იბერიელთა გარდა მწვერვალი მონათლეს: ნინო ყანჩაველმა, ლაშა სადუნიშვილმა, სულხან ვაჩაძემ (სააგენტო იბერია), ბადრი ჩერქეზიშვილმა (შსს პრესცენტრი), თინიკო მოსიაშვილმა (რეზონანსი), გიორგი იაშალაშვილმა (ალიონი) და ვალოდია ქურასბედიანმა, წარსულში საქართველოს ნაკრების მუდმივმა წევრმა, კაცმა, რომელიც მუდამ გვერდში გვედგა.

ერთი სიტყვით, „იბერია TV"-მ თავისი მწვერვალი დაიპყრო, ჯერი სხვებზეა.

მანამდე კი, ჩვენ, მოყვარული მთამსვლელები ნინოშვილის მწვერვალზე ავედით. ეს იყო დაუვიწყარი სანახაობა — ხედავ კავკავისონის მყინვარწვერებს, დგახარ მწვერვალზე, ქვემოთ კი თოვლის სამეფოა (თან გახსენდება, რომ აგვისტოა). ძნელია მოძებნო სიტყვები, ამ გრძნობას რომ აღწერს. ადამიანმა ასეთი რამ უბრალოდ უნდა განიცადო.



მოყვარული მწვერვალთმლაშქრელნი

ჰო მართლა, მაშინ როცა ჩვენ მწვერვალზე ვიდექით და სამყარო ჩვენი გვეგონა, ნუგზარ ქალდანმა, უნიჭიერესმა ქვისმთლელმა და მხატვარმა (სხვათა შორის, ქაშუეთის ეკლესიის შესასვლელი სწორედ მისი აგებულია), ყოველგვარი აღჭურვილობის გარეშე ამოიარა, რა ვიცი, ამოვედი დაგხედეთ, როგორ ხართო. კომენტარი თქვენთვის მოგვინდია.

### აჭარტულ ინვალიდთა საძმო

ზესხოში დაბინავების მომდევნო დღეს ნინოშვილის მწვერვალზე მომავალი ლაშქრობის შესახებ შევიტყვეთ და ექიმებთან ნინო ხუცაიძესთან და ზაზა მეტრეველთან სამედიცინო შემოწმებაც გავიარეთ. რამდენიმე ჩვენთაგანი, მათ შორის ბესო ხვედელიძე (RADIO 106), გია კაკაბაძე (ტელეკომპანია კავკასია) და სოსო წიქარიშვილი (მერიის პრესცენტრი) ჯარისკაცთა ტერმინოლოგიით რომ ვისარგებლოთ, „დაბრაკეს" და მათაც მწვერვალზე წასვლის შანსი მოესპოთ. „აზარტულ ინვალიდთა საძმოს" სწორედ აქედან დაარსდა — ბანაკში დარჩენილებმა კარტით და სხვადასხვა „მჯდომარე თამაშებით" შეიქციეს თავი, შემდეგ კი საქმიანობა უფრო და უფრო განავრცეს და კაზინო „ზესხოც" ჩამოაყალიბეს. ვერ გეტყვით, მოგება რამდენი დარჩათ, მაგრამ „აზარტულ ინვალიდთა საძმოს" საქმიანობით ბევრი ერთობ კმაყოფილი რომ იყო, ეს ფაქტია.

### ბოროტები

იყო დრო, თბილისში ათასი საძმო არსებობდა. მათ შორის ერთ-ერთს „ბოროტებიც" ერქვა, თუმცა ახლა სულ სხვა საძმოზე ვსაუბრობ.

ზესხოში, ტელეკომპანიების თანამშრომლებმა ეკა ჯანაშიამ, ვასო სილაგაძემ (ორივე TV-7), თამუნა ჯიშკარიანმა (II არხი), მიშა თვარაძემ და აჩიკო მიქაძემ (ორივე იბერია TV) ერთმანეთს უმალ გაუგეს და „ბოროტების საძმოც" (გარკვეულწილად „სადაქალოც") შეიქმნა.

ძნელია ორიოდ სიტყვით აღწერო მათი შავ-ბნელი, იდუმალებით მოცული საქმეები, ამას ერთი საგაზეთო გვერდიც არ ეყოფა. განსაკუთრებული სისასტიკე „ბოროტებმა" პირველარხელ ირაკლი გოგუაძის მიმართ გამოიჩინეს. თუმცა ბევრი არც სხვებს დაჰკლებიათ, მათ შორის ამ სიტყვების ავტორს.

ისე, ზესხოდან თბილისში ისე დავბრუნდით, „ბოროტები" ვერც ერთ დანაშაულში ვერ ამხილეს. ისინი მხოლოდ „ეჭვმიტანილებად" დარჩნენ.

### ნამდვილი ვაჟკაცები არ...

თუ გაინტერესებთ რას აკეთებენ ნამდვილი ვაჟკაცები, მაშინ ბადრი ჩერქეზიშვილს უნდა დაეკითხოთ. სხვისი რა მოგახსენოთ, მან კი ნაღდად იცის ნამდვილი ვაჟკაცის ფასი.

ამბები ნამდვილი ვაჟკაცების თაობაზე ნაღდად ღირდა ცალკე აღნიშვნის ღირსად. და საერთოდ, ნამდვილი კახური იუმორით ბადრი ყველასგან გამოირჩეოდა.

### ALL STARS

ამის გაგონებაზე უმალ მაიკლ ჯორდანი, შაკილ ონილი, სკოტი პიპენი და სხვა ბრწყინვალე კალათბურთელი გაგახსენდება კაცს, მაგრამ ამჯერად სულ სხვა რამეზეა საუბარი. ზესხოს პატარა მოედანზე ხშირად იმართებოდა საფეხბურთო დაპირისპირებები, თუმცა პაექრობა, ცხადია, ფასიან სანაძლეოზე, ძირითადად მაინც „იბერია TV"-ის ნაკრებსა და ALL STARS-ს შორის იმართებოდა.

იბერიელთა უძლეველი გუნდის ღირსებას, ლაშქრობის ორგანიზატორები კახა გაგლოშვილი, ლადო გაგლოშვილი, მამუკა მაისურაძე და დათო ბერსენაძე იცავდნენ, ALL STARS-ის შემადგენლობა კი ხშირად იცვლებოდა. ყველა ვარსკვლავთა შორის იყვნენ: გიორგი იაშალაშვილი (ალიონი), ირაკლი გოგუაძე, გია კაკაბაძე, ამ სიტყვების ავტორი და ბესო ხვედელიძე, თუმცა ამ უკანასკნელმა დაცვას ვერ იქნა და ვერ მიხედა.

მუდამ ALL STARS-ი მარცხდებოდა, თან ისეთი ანგარიშით, ბოროტი ენები არასაფეხბურთოს რომ უწოდებენ, თუმცა თავს იმით ვინუგეშებდით, რომ წაგება და მოგება ძმებია?!

### უშგული

ნამდვილი სვანეთი სწორედ უშგულია. ულამაზესი იყო ნისლში გახვეული შხარა, მდუმარედ აღმართულიყვნენ ცნობილი სვანური კოშკები, წყნარად, მშვიდად მოედინება ენგური, შთაბეჭდილება მართლაც დაუვიწყარია.

ეს იყო სანახაობა, სვანეთში ყოფნის პერიოდში ლამის ყოველდღე რომ გვხვდებოდა.

### ცრუ ნიუტონები

ისააკ ნიუტონს სანამ ვაშლი არ დაეცა, მანამდე მიზიდულობის კანონი ვერ გამოიგონა. ზესხოდან ლენტეხამდე დაახლოებით ოთხი საათი ვიმგზავრეთ. გზად ვაშლი, კაკალი, ტყემალი, მოკლედ ერთი საზამთრო არ დაგვეცა თავზე, თორემ სხვა ყველაფერი გვეყრებოდა, თუმცა აგერ უკვე მეექვსე დღეა თბილისში ვართ და რამე კანონი არც ერთ ჩვენგანს არ გამოუგონებია.

არა, სვანეთში მართლაც ძალიან კარგი დრო გავატარეთ! ამაზე შემიძლია თავი დავდო.

**ლაშა გოდუაძე**

**ავტორის ფოტო**

წერილში ნახსენებთა გარდა, ლაშქრობაში მონაწილეობდნენ: ჯარისკაცის დედა — ოლია ელბაქიძე (თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრი), გამომძიებელი ქალი თამუნა — თამუნა ლონლაძე (დილის გაზეთი), მანანა ლობჟანიძე (საქართველო), ლალი უთარაშვილი, ინა მელაძე (სააგენტო იბერია), ნანა მიშელაშვილი (პრაიმნიუსი), ეკა ასათიანი (ტრადიციონალისტთა კავშირი), ხათუნა ხატიაშვილი (რესპუბლიკური პარტია), ტატიანა ისაევა (რუსეთის საელჩო), იური და ლუდმილა სტალპოვსკები (სტუმრები რუსეთიდან).

*მინაწერი: ლაშქრობის ორგანიზებაში გაწეული დახმარებისა და თანადგომისთვის მადლობას ვუხდით სპონსორებს: საფონდო ბანკს, შპს „ომეგა 2"-ს, „ქართულ დაზღვევას" და მუშისა და მინერალური წყლების კომპანიას.*

### ინდიანაპოლისი
### საპრიზო 1 მილიონი $

მესამე წრეში ტურნირის უპირველესი სენსაცია მოხდა: წინა წრეში უსახელო ჯანლუკა პოცის მომგებმა ზიმბაბველმა ბაირონ ბლექმა აღარც მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარსელ რიოსი დაინდო და ახლახან გაპირველჩოგნებულ ჩილელს ათასობით მაყურებლისა და კიდევ უფრო მეტი ტელემაყურებლის წინაშე გვარიანი სირცხვილი აჭამა. რიოსმა პირველი სეტი ტაიბრეიკით მოიგო, მეორეში კი, ღმერთმა იცის, რა ჭირი ეტაკა და სამარცხვინოდ, 1:6 დამარცხდა. მესამე სეტი ძალიან დაძაბული გამოდგა, რიოსმა, ეტყობა, იკადრა გამოფხიზლება და სეტი ტაიბრეიკამდე მიიყვანა, მაგრამ აქ ზანგმა უფრო ივაჟკაცა, ფავორიტს ბოლო 18 გათამაშებიდან 16 დაათმობინა და ტურნირსაც დაამშვიდობა. „ღამით თამაში ყოველთვის მძულდა — დაიწუწუნა ტურნირიდან ნაადრევად გამოპანღურებულმა ჩილელმა — ძალიან ცუდად ვითამაშე, ერთხელაც არ გამიფიქრია, რომ მოგების შანსი მქონდა". მართლაც, რიოსმა თუ ასე ცუდად ითამაშა, მისი პირველი ჩოგნობა ახლავე საეჭვო შეიქნება. რიოსის ბედი, რომ ინდიანაპოლისის ტურნირის პარალელურად მიმდინარე ნიუ ჰევენის პირველობაზე პიტ სამპრასიც ნაადრევად, მესამე წრეში გამოეთიშა ბრძოლას და მარსელოს დაწევის შანსი დაკარგა. ბაირონ ბლექმა კი ერთობ გაიხარა მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელის ძლევით. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს, რახან პირველ ჩოგანს მოვუგე, უფრო შორსაც წავალო, იქადნებდა ზიმბაბველი.

რიოსის შერცხვენის გარდა მოულოდნელობები, ფაქტობრივად, არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით მეთერთმეტე ნორმად განთესილი ფილიპუსისის და მეცამეტე კლავეტის გავარდნას, მაგრამ ესენიც განთესილიებმა შეიწირეს. ისე კი, იოლად არავის გაუმარჯვია. აჩმხმა გრეგ რუზეცკიმ ორ სეტში იძალა, ისიც ერთში ტაიბრეიკით, დანარჩენი შეხვედრებიც ან ტაიბრეიკით ან სამ სეტში დამთავრდა.

**მესამე წრე.** ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) — მარსელ რიოსი (1, ჩილე) 5:7, 6:1, 7:5; გრეგ რუზეცკი (3, ბრიტანეთი) — ფრანცისკო კლავეტი (13, ესპანეთი) 6:1, 7:6; ანდრე აგასი (5, აშშ) — უეინ ბლექი (ზიმბაბვე) 7:6, 3:6, 6:1; ალექს კორეტხა (6, ესპანეთი) — მარკ ფილიპუსისი (11, ავსტრალია) 4:6, 6:4, 6:3; უეინ ფერეირა (14, სამხრეთ აფრიკა) — ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) 3:6, 7:5, 7:6; ტოდ მარტინი (15, აშშ) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:1, 7:6; ჰიშამ არაზი (მაროკო) — დევიდ უიტონი (აშშ) 7:5, 6:2; რაიმონ დელგადო (პარაგვაი) — ბრაიან მაკფაი (აშშ) 7:5, 7:5.

### მონრეალი
### კანადის ღია პირველობა
### საპრიზო 926 250 $

მესამე წრეში დაასრულა ასპარეზობა ერთ დროს უძლიერესმა და უძლეველმა შტეფი გრაფმა. შტეფის ცოდვა ესპანელმა მაგუი სერნამ დაიდო, ორივე სეტი 6:4, 6:4 მოუგო. გრაფმა ასე თუ ისე ხეირიანად მხოლოდ პირველ სეტში ითამაშა, მეორეში კი 2:5 ჩამორჩა ესპანელს, მერე ორი გეიმი კი მოიგო, მაგრამ ამან ვერაფერი არგო. 19 წლის ესპანელი ერთობ გაადიდგულა გრაფის ძლევამ, ისეთი ბექჰენდები და ფორჰენდები ვურტყი ამ თქვენ ნაქებ გერმანელს, ფორმაშიც რომ ყოფილიყო, ვერაფერს დამაკლებდაო. გრაფს კი კიდევ ერთხელ დასწყდა გული, დარწმუნებული არ ვიყავი ჩემს თავში და ეს აკი თამაშშიც დამეტყოო. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი რომ აგებდა, მსოფლიოს კიდევ ერთი ყოფილი პირველი, გაამერიკელებული იუგოსლავი მონიკა სელეში იაუკი ბაზუკის აწიოკებდა. სელეშმა თავიდანვე დათრგუნა ინდონეზიელი თავისი უძლიერესი დარტყმებით და საბოლოოდ საკმაოდ იოლად 6:3, 6:3 იმარჯვა. ასევე იოლად გაართვეს თავი საქმეს პირველ და მეორე ნომრად განთესილმა ბობოლებმა მარტინა ჰინგისმა და იანა ნოვოტნამ.

**მესამე წრე.** მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — აი სუგიამა (16, იაპონია) 6:3, 6:0; იანა ნოვოტნა (2, ჩეხეთი) — სილვია ფარინა (იტალია) 6:1, 6:4; მონიკა სელეში (5, აშშ) — იაუკი ბაზუკი (ინდონეზია) 6:3, 6:3; მაგუი სერნა (იტალია) — შტეფი გრაფი (7, გერმანია) 6:4, 6:4; ანკე ჰუბერი (გერმანია) — ამანდა კუტცერი (8, სამხრეთ აფრიკა) 7:5, 7:6; ნატალი ტოზია (11, საფრანგეთი) — არანჩა სანჩეს ვიკარიო (3, ესპანეთი) 4:3-ზე შეწყდა გაავდრების გამო.

**ირაკლი ფირაშვილი**



# ოქრო ჯერაც ბევრია

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

თავად განსაჯეთ, ქალებს შორის 200 მეტრზე რბენაში ერთმანეთის პირისპირ კონტინენტის საუკეთესო ათლეტები რუსი ირინა პრივალოვა და უკრაინელი ჟანა პინტუსევიჩი იდგნენ. 200 მეტრზე ვაჟთა გარბენში ბრიტანელები ჯულიან გოლდინგი და დაგ უოლკერი ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ხოლო 400 მეტრ დისტანციაზე ვაჟთა შორის საუკეთესოს ალბიონელები ივან ტომასი და მარკ რიჩარდსონი არკვევდნენ.

ასპარეზობა კი 50 კილომეტრზე სპორტულად მოარულებმა გახსნეს. ჩემპიონატის ორგანიზატორებმა გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ მცხუნვარე მზის ქვეშ უნგრეთის დედაქალაქის ქუჩებში მოსიარულე ვაჟებს უაღრესად გაუჭირდებოდათ და ამიტომ სპორტსმენები ადგილობრივი დროით დილის ათი საათისთვის იხმეს სტადიონზე.

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, პოლონელი რობერტ კორჟენოვსკისთვის აბსოლუტურად სულ ერთი იყო თაკარა მზისგან ადუღებულ ასფალტზე ივლიდა, თუ კოკისპირული წვიმის ქვეშ. ეს კაცი თავიდანვე დაწინაურდა და მთელი დისტანცია ისე დამაჯერებლად განვლო, გამარჯვებულის ვინაობა საეჭვო არ გაუხდია. ყველაზე საკვირველი კი ის იყო, რომ კორჟენოვსკი 50-ე კილომეტრის ბოლოს ისე მხნედ გამოიყურებოდა, უნებლიედ იფიქრებდი ბროდვეიზე სეირნობა მოსწყინდა და ახლა სტადიონის დათვალიერება გადაუწყვეტიაო.

თავად ტრიუმფატორი უზომოდ ბედნიერი გახლდათ: „უდიდესი სიამოვნების გრძნობა მეუფლება, რადგან აქამდე ყველა ტიტულს ვფლობდი ევროპის ჩემპიონობის გარდა. ახლა კი თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სრულყოფილი ათლეტი ვარ."

200 მეტრზე ქალთა გარბენს მთელი სტადიონი უდიდესი ინტერესით ელოდა. ჟანა პინტუსევიჩი და ირინა პრივალოვა ხომ ორი დღის წინ 100 მეტრზე გარბენშიც ერთმანეთის მეტოქენი იყვნენ, მაგრამ ორივეს ფრანგმა არონმა აჯობა და ყოფილი საბჭოელები პირში ჩალაგამოვლებული დატოვა. თანაც რუსმა თუ ვერცხლი მაინც ირგუნა, უკრაინელი პინტუსევიჩი საერთოდ უმედლოდ დარჩა და ამიტომ ახალ დისტანციაზე რევანშის აღების სურვილით იწვოდა.

გარბენი მართლაც დაძაბული გამოდგა. თავიდან პინტუსევიჩი დაწინაურდა, მაგრამ პრივალოვამ გადამწყვეტ მომენტში, მაშინ როცა ფინიშის ხაზამდე ორმოციოდე მეტრი რჩებოდა, ძალა მოიკრიბა და უკრაინელის ზეადამიანური (სირბილისას პინტუსევიჩის სახის გამომეტყველებას სხვას ვერც უწოდებდი) ძალისხმევის მიუხედავად ჩემპიონობა მოიპოვა.


REUTERS ბუდაპეშტიდან

არტურ პარტიუკა

ამავე დისტანციაზე ვაჟთა შორის შეჯიბრი საკმაოდ უჩვეულო შედეგით დასრულდა. თუმცა რატომ უჩვეულო? საერთოდ, ნებისმიერ ჩემპიონატზე იშვიათად ხდება, როდესაც სამივე საპრიზო ადგილს ერთი და იგივე ქვეყნის წარმომადგენლები იკავებენ, მაგრამ კარგად დავფიქრდეთ და ვთქვათ, ვის უნდა მოეხვეჭა 200 მეტრზე გარბენის მედლები, თუ არა ბრიტანელებს?

მართლაც დაგ უოლკერმა, დაგ ტერნერმა და ჯულიან გოლდინგმა მშვენივრად ირბინეს და დაჯილდოების ცერემონიალისას კვარცლბეკზე მხარდამხარ დგომითაც სწორედ ისინი იწონებდნენ თავს.

უდიდესი ინტრიგა ტრიალებდა ჭოკით ხტომისა და სიმაღლეში ხტომის სექტორებში. პირველში ერთმანეთს ქალები ეჯიბრებოდნენ და ისე მოხდა, რომ სამმა მათგანმა — უკრაინელმა ანჟელა ბალახონოვამ, გერმანელებმა ნიკოლ რიეგერ-ჰუმბერტმა და ივონა ბუშბაუმმა ერთნაირი სიმაღლის (4,31 მეტრი) დაძლევა მოახერხეს. გამარჯვება კი უკრაინელ ქალს მხოლოდ იმიტომ ერგო, რომ მას აღნიშნული შედეგის მისაღწევად ნაკლები ცდის გამოყენება დასჭირდა.

ანალოგიური სიტუაცია შეექმნათ სიმაღლეზე მხტომელ ვაჟებსაც. იქაც პირველობისთვის მებრძოლ ორ ათლეტს ერთნაირი სიმაღლე ჰქონდა აღებული და ოქროს მედალი პოლონელმა არტურ პარტიუკამ მხოლოდ წინა შემთხვევაში აღწერილი პირობის გამო ირგუნა.

ბოლოს გეტყვით, რომ უქმეებზე ჩემპიონატის დარჩენილი 22 ოქრო გათამაშდება და ყველანაირ საინტერესო შეჯიბრსა თუ ტექნიკურ შედეგებზე დაწვრილებით მოგითხრობთ სამშაბათის „სარბიელში".

**ირაკლი ხმელიძე**

სპორტული სიარული. 50 კმ. ვაჟები
1. რობერტ კორჟენოვსკი (პოლონეთი) 3 სთ 43 წთ 51 წმ; 2. ვალენტინ კონონენი (ფინეთი) 3:44,29; 3. ანდრეი პლოტნიკოვი (რუსეთი) 3:45,53.

ბადროს ტყორცნა. ქალები
1. ფრანკა დიეტში (გერმანია) 67,49 მ; 2. ნატალია სადოვა (რუსეთი) 66,94; 3. ნიკოლეტა გრასუ (რუმინეთი) 65,94.

400 მეტრზე რბენა. ქალები
1. გრიტ ბრაუერი (გერმანია) 49,93 წმ; 2. ჰელენა ფუკსოვა (ჩეხეთი) 50,21; 3. ოლგა კოტლიაროვა (რუსეთი) 50,38.

200 მეტრზე რბენა. ქალები
1. ირინა პრივალოვა (რუსეთი) 22,62 წმ; 2. ჟანა პინტუსევიჩი (უკრაინა) 22,74; 3. მელანი პაშეკე (გერმანია) 22,78.

400 მეტრზე თარჯრბენი. ქალები
1. იონელა ტირლეა (რუმინეთი) 53,37 წმ; 2. ტატიანა ტერეშჩუკი (უკრაინა) 54,07; 3. სილვია რეიგერი (გერმანია) 54,45.

ჭოკით ხტომა. ქალები
1. ანჟელა ბალახონოვა (უკრაინა) 4,31 მ; 2. ნიკოლ რეიგერ-ჰუმბერტი (გერმანია) 4,31; 3. ივონა ბუშბაუმი (გერმანია) 4,31. (ადგილები განაწილდა ცდათა რაოდენობის მიხედვით)

200 მერტზე რბენა. ვაჟები
1. დაგ უოლკერი (ბრიტანეთი) 20,53 წმ; 2. დაგ ტერნერი (ბრიტანეთი) 20, 64; 3. ჯულიან გოლდინგი (ბრიტანეთი) 20,72.

სიმაღლეზე ხტომა. ვაჟები
1. არტურ პარტიუკა (პოლონეთი) 2,34 მ; 2. დალტონ გრანტი (ბრიტანეთი) 2,34; 3. სერგეი კლიუგინი (რუსეთი) 2,32. პარტიუკას ნაკლები ცდა დასჭირდა.

400 მეტრზე რბენა. ვაჟები
1. ივან ტომასი (ბრიტანეთი) 44,52 წმ; 2. რობერტ მაკოვიაკი (პოლონეთი) 45,04; 3. მარკ რიჩარდსონი (ბრიტანეთი) 45,14.



# თურქისთვის გურჯი რაღა უცხოა...

საკალათბურთო ევროპა გამალებით ემზადება მოახლოებული სეზონისთვის. ცოტაც და, ევროთასების ციებ-ცხელება მოიცავს კონტინენტს. მოგეხსენებათ, ქართული კლუბებიდან ოდენ რუსთავის „აზოტი" ჩაებმება ევროგათამაშებაში. დღეს კი გვინდა იმ ქართველ ლეგიონერებზე გესაუბროთ, სხვადასხვა ქვეყნებში რომ მოწყობილან და იქაურ ჩემპიონატებში მოუწევთ თავის წარმოჩენა.



ვახტანგ ნაცვლიშვილი

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა, **ვატო ნაცვლიშვილმა** თურქულ „კარშიაკას" რომ მოუწერა კონტრაქტზე ხელი, ამის შესახებ უკვე გაუწყეთ. ბოლო ხანს, მას შემდეგ, რაც ვატო იზმირში ჩავიდა და ფორმალური საკითხები საბოლოოდ მოაგვარა, მასთან გასაუბრება ვერაფრით მოვახერხეთ, გუნდთან ერთად შეკრებაზე წასულიყო. ის კი გავიგეთ, რომ ჩვენებური კომფორტულ ბინაში მოწყობილა და თურქებს მისთვის ავტომობილიც უფეშქაშებიათ. ერთხელაც ვცადეთ და ვატო როგორც იქნა, მოვიხელთეთ.

**— ამბობდით, თურქულ კლუბს ერთწლიან კონტრაქტზე შევუთანხმდიო.**

— უფრო ზუსტად რომ ვთქვა, 10-თვიანზე, ჩემპიონატის ბოლო ოფიციალურ თამაშამდე.

**— გუნდში როგორი ატმოსფერო დაგხვდათ?**

— მშვენივრად მიმიღეს. არც კი მაგრძნობინებენ, უცხოელი რომ ვარ. სულ ჩემხელა ბიჭები არიან. ახალგაზრდული გუნდია. საშუალო ასაკი 22-23 წელს არ აღემატება. აქედან 5-6 კაცი თურქეთის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობს, რომელიც მესამე ადგილზე გავიდა ევროპის ბოლო ჩემპიონატზე.

**— თქვენს გარდა სულ ადგილობრივები თამაშობენ?**

— ორი ამერიკელიც გვყავს. ერთი ახლახან შემოგვიერთდა, სტუდენტური კალათბურთიდან მოვიდა, ძალიან ძლიერი ჩანს. მეორე კი უფრო ასაკოვანია და კარგა ხანია, აქ თამაშობს. დანარჩენები თურქები არიან, ხოლო მე „კარშიაკაში" უცხოელად არ ვითვლები.

**— ეგ როგორ?**

— ჩვეულებრივად. ბოსმანის წესი კალათბურთშიც ამოქმედდა. გარდა ამ ორი ამერიკელი ლეგიონერისა, თურქეთის კალათბურთის ფედერაციის ახალი კანონის თანახმად, კლუბში კიდევ ერთ ევროპელს შეუძლია თამაში. ზოგ ქვეყანაში, მაგალითად, ორი და სამიც დაუშვეს, მაგრამ თურქები ჭკვიანი ხალხია, ამით ჩვენი კალათბურთი იზარალებსო, ამბობენ.

**— მოსამზადებელი პერიოდი სად გაიარეთ?**

— ანკარასთან ახლოს ორკვირიანი შეკრება გვქონდა, დღეში სამჯერ გვავარჯიშებდნენ. შემდეგ სეზონისწინა ტურნირში მივიღეთ მონაწილეობა და პირველ ადგილზე გავედით. გადამწყვეტ მატჩში იზმირისავე „ტუბორგს" ვძლიეთ დამატებით დროში. ორიოდ დღეში ანკარაში მივემგზავრებით, იქაც საერთაშორისო ტურნირი იწყება და საკმაოდ ძლიერი გუნდები იკრიბებიან.

**— ხელმძღვანელობა თუა კმაყოფილი თქვენი თამაშით?**

— ვფიქრობ, კარგი შთაბეჭდილება დავტოვე ყველა მატჩში ხუთეულში მაყენებდნენ და საშუალოდ ოცდაათ წუთს მიხდებოდა მოედანზე ყოფნა.

**— ალბათ, ჩვეულ პოზიციაზე თამაშობდით.**

— ძირითადად ასე იყო. მეოთხე ნომრად გამამწესეს. ზოგჯერ უფრო უკან მხევდნენ და მსროლელის პოზიციაზეც მიწევდა მოქმედება. მოკლედ, კარგი თვალით მიყურებენ. ვნახოთ, ჯერ მაინც ადაპტაციის პერიოდია. 12 სექტემბერს ჩემპიონატიც დაიწყება და შემდეგ უფრო კონკრეტულად შეიძლება ლაპარაკი.

საქართველოს ნაკრების წამყვანი გამთამაშებელი **ირაკლი ვაშაკიძე** კი თბილისში გატარებული შვებულების შემდეგ მოსკოვში დაბრუნდა და იქაურ „სპარტაკთან" გააგრძელა ვარჯიში. ამ კლუბს წლევანდელ სეზონში საკმაოდ სერიოზული მიზნები დაუსახავს და როგორც თავად ირაკლიმ გვითხრა, დღედღეზე ნოვოგორსკში გადაინაცვლებენ შეკრებაზე. ამიერიდან გუნდს ახალი მწვრთნელი, ათენის მსოფლიოს ჩემპიონატზე რუსთა ნაკრების დამრიგებელი სერგეი ბელოვი გაწვრთნის, ხოლო მწვრთნელყოფილი ბაშკიროვი გუნდში დარჩება და ბელოვს მიეხმარება.

**ზურაბ გონაშვილი**




ირაკლი ვაშაკიძე


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
ავთანდილ გურასაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
**კალათბურთის განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29